

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემია

A

Tourism Scientific Academy of Georgia

ISSN 1987 – 6831

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი

ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ

PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL



პროფესიონალის ხმა

ГОЛОС ПРОФЕССИОНАЛА

PROFESSIONAL`S VOICE

№ 1-2 (14)

2019

ქუთაისი КУТАИСИ KUTAISI

საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემია

A

Tourism Scientific Academy of Georgia

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი
ПЕРИОДИЧЕСКИЙ НАУЧНЫЙ ЖУРНАЛ
PERIODICAL SCIENTIFIC JOURNAL

პროფესიონალის ხმა
ГОЛОС ПРОФЕССИОНАЛА
PROFESSIONAL`S VOICE

№ 1-2 (14)

2019

ქუთაისი КУТАИСИ KUTAISI

სამართმელოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემია

Академия наук туризма Грузии
Tourism Scientific Academy of Georgia

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალი „პროფესიონალის ხმა“ დაფუძნდა 2013 წლის 1 ნოემბერს. იგი წარმოადგენს საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის პერიოდულ სამეცნიერო გამოცემას და იბეჭდება ამავე აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით. გამოდის 2013 წლის დეკემბრიდან. ჟურნალში ქვეყნდება ექსპერიმენტული, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის სამეცნიერო შრომები პედაგოგიკის, ისტორიის, ფილოლოგიის, მედიცინის, ეკონომიკის, ეკოლოგიის, სამართალმცოდნეობის, ფიზიკა-მათემატიკის, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის სფეროში. ჟურნალს მინიჭებული აქვს სერიული გამოცემების საერთაშორისო სტანდარტული ნომერი (ISSN). ჟურნალი რეფერირებულია საქართველოს ტექნიკური ინფორმაციის ქართულ რეფერატულ ჟურნალში.

Периодический научный журнал «Голос профессионала» учрежден 1 ноября 2013 года. Он является периодическим научным изданием Академии наук туризма Грузии и печатается по решению президиума Академии. Выходит с декабря 2013 года. В журнале публикуются экспериментальные, теоретические и практические научные труды в сфере педагогики, истории, филологии, медицины, экономики, экологии, правоведения, физики, математики, культуры, спорта и туризма. Журналу присвоен Международный стандартный номер серийных изданий (ISSN). Журнал реферирован в грузинском реферативном журнале технической информации Грузии.

Periodical Scientific Journal “Professional`s Voice“ was established on November 1st, 2013. Representing periodical scientific edition of Tourism Scientific Academy of Georgia it is being published under the resolution of the Academy. Is periodically issued since 2013. Different kinds of scientific works and researches such as experimental, theoretical and practical ones in the fields of Pedagogics, History, Philology, Medicine, Economics, Ecology, Law, Physics, Mathematics, Sports and Tourism are being represented. The journal has been awarded the international Standard Serial Number (ISSN) and has been refereed in the review journal of technical information of Georgia.

ჟურნალი გამოდის საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით.

სარედაქციო კოლეგია

ომარ ცხადაძე - პროფესორი /თავმჯდომარე/, ედიშერ ცხადაძე -
პროფესორი,
სერგეი ხრიპკო - პროფესორი /უკრაინა/,
დარია ჭუსუპოვა - პროფესორი /ყაზახეთი/,
ვლადიმერ შვირაშვილი - პროფესორი, **ომარ მინდაძე** - პროფესორი,
ელენე ბრინციანი - პროფესორი /უკრაინა/
მთავარი რედაქტორი - ომარ ცხადაძე
რედაქტორი - ლიანა ლორია
პასუხისმგებელი მდივანი - ლუარა გობერიძე
კორექტორი - ვლადიმერ ცხადაძე, შორენა სიხარულიძე
კომპიუტერული უზრუნველყოფა - ნონა კვერნაძე

ЖУРНАЛ ИЗДАЕТСЯ ПО РЕШЕНИЮ ПРЕЗИДИУМА АКАДЕМИИ НАУК ТУРИЗМА ГРУЗИИ РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

ОМАР ЦХАДАДЗЕ – профессор (председатель),
ЭДИШЕР ЦХАДАДЗЕ – профессор,
СЕРГЕЙ ХРИПКО – профессор (Украина),
ДАРИЯ ДЖУСУПОВА – профессор (Казахстан),
ВЛАДИМИР ЦВЕРАВА – профессор,
ОМАР МИНДАДЗЕ – профессор,
ЕЛЕНА ТРОХИМЕЦ – профессор (Украина)
Гл.Редактор- **ОМАР ЦХАДАДЗЕ**
Редактор-**ЛИАНА ЛОРИЯ**
Ответств.секр.- **ЛУАРА ГОГОБЕРИДЗЕ**
Корректоры - **ВЛАДИМИР ЦХАДАДЗЕ, ШОРЕНА СИХАРУЛИДЗЕ**
Комп. обесп.- **НОНА КВЕРНАДЗЕ**

JOURNAL ISSUED UNDER THE RESOLUTION OF THE PRESIDIUM

OF TOURISM SCIENTIFIC ACADEMY OF GEORGIA
EDITORIAL BOARD

OMAR TSKHADADZE – professor (chairman),
EDISHER TSKHADADZE – professor,
SERGEI KHRIPKO – professor (Ukraine),
DARIYA JUSSUPOVA – professor (Kazakhstan),
VLADIMIR TSVERAVA – professor,
OMAR MINDADZE – professor, Elena Trokhimets – professor (Ukraine).
Editor-in-chief - **OMARI TSKHADADZE**
Editor - **LIANA LORIA**
Executive secretary - **LUARA GOGOBERIDZE**
Proofreaders - **VLADIMIR TSKHADADZE, SHORENA SIKHARULIDZE**
Comp.supp. - **NONA KVERNADZE**

თეიმურაზ ბიორბაძე, პროფესორი.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფინანსური რისკის მათემატიკური ანალიზი

ჩვენს ქვეყანაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მათემატიკასთან მიმართებაში. თუ ადრე გამოყენებითი მათემატიკის განვითარება ძირითადად დაკავშირებული იყო საბუნებისმეტყველო მეცნიერების შესაბამის ამოცანებთან და აქედან გამომდინარე მრეწველობის დარგებთან (რაც ძირითადად სამხედრო-სამრეწველო კომპლექსების მოთხოვნილებით განისაზღვრებოდა), ახლა ამ დარგების კრიზისმა აიძულა მათემატიკოსები მოემძებნათ თავისი ცოდნის გამოყენების ახალი სფეროები.

სოციალურ-ეკონომიურმა პირობებმა მათემატიკოსთა ერთი ნაწილის ინტერესები გადაიტანა შედარებით ახალ ამოცანებზე, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე ფაქტობრივად უცნობი იყო. საბანკო, სადაზღვევო, საინვესტიციო სფეროების აქტიურმა განვითარებამ მოითხოვა ამ დარგებში ჩვენთვის სრულიად ახალი სპეციალისტების ჩართვა. ერთ-ერთი ასეთი ახალი დარგია ფინანსური მათემატიკა.

სიცოცხლის დაზღვევის პირველი კომპანია, რომელიც სამეცნიერო პრინციპებზე იყო დაფუძნებული, 1762 წელს ლონდონში შეიქმნა. ამ კომპანიის ხელმძღვანელს, რომელსაც ევალებოდა შეხვედრების რეგისტრაცია, სადაზღვევო პოლისების გამოწერა ეწოდება აქტუარიუსი (ინგლისურად - Actuary, ლათინურად - Actuarius, რაც ქართულად აღმრიცხველს ნიშნავს). 1775 წელს ამ თანამდებობაზე მათემატიკოსი დაინიშნა, მას ევალებოდა სადაზღვევო განაკვეთების ოპტიმალური მოცულობის დადგენა და კომპანიის საფინანსო ოპერაციების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მათემატიკის იმ დარგს, რომელიც ფინანსების მათემატიკურ პრობლემებს შეისწავლის აქტუარული მათემატიკა ეწოდება. აქტუარიუსი არის ადამიანი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია რისკისა და შემთხვევითობის შესაფასებ-

ლად და რომელიც თავის ცოდნას იყენებს ბიზნესისა და ფინანსების პრობლემების გადასაჭრელად, განსაკუთრებით მოღვაწეობის ისეთ სფეროში, როგორცაა დაზღვევა და დემოგრაფია, რომლებიც დაკავშირებულია შემთხვევით პროცესებთან. აქედან გამომდინარეობს, რომ აქტუარიუსს უნდა ჰქონდეს არა მარტო საკმაოდ სერიოზული მათემატიკური, არამედ ეკონომიკური და იურიდიული კვალიფიკაციაც. შესაბამის ეკონომიკურ და იურიდიულ დისციპლინებთან ერთად აქტუარული მათემატიკა ქმნის აქტუარულ მეცნიერებას, რომელიც, თავის მხრივ, აქტუარული მოღვაწეობის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს. აქტუარიუსების მომზადება ხდება უნივერსიტეტების გამოყენებითი მათემატიკის ფაკულტეტებზე.

თანამედროვე გაგებით აქტუარიუსი - ესაა სადაზღვევო მათემატიკის ექსპერტ - სპეციალისტი. ამასთან დაზღვევა (და მისი შესაბამისი მათემატიკაც) არ უნდა გავიგოთ, როგორც მხოლოდ სიცოცხლის ან ქონების დაზღვევა. დაზღვევაში იგულისხმება ფინანსური რისკის დაზღვევა ფართო გაგებით; მათ შორის მაგალითად, ფასიანი ქაღალდების ბაზარზე თამაშიც.

მოსწავლემ თუ სტუდენტმა კარგად უნდა გაიაზროს, რომ სწავლა და ცოდნა მას დაეხმარება მომავალი საქმიანობის არჩევაში, საზოგადოებისა და ქვეყნის წინაშე მოვალეობის შესრულებაში. თავის დროზე დღევანდელ სტუდენტს დაეკისრება შემოსავალზე ზრუნვა და მის წინაშე დადგება უამრავი ამოცანა: როგორ მივიღოთ და გავანაწილოთ შემოსავალი, როგორ შევქმნათ დანაზოგი და სხვა. ამ ამოცანების გადაწყვეტა სხვა საკითხებთან ერთად მოითხოვს ფინანსურ და სადაზღვევო დაწესებულებებთან ურთიერთობის წესების კარგ ცოდნას. ეს, განსაკუთრებით, საჭირო გახდა მას შემდეგ, რაც საქართველო დაადგა საბაზრო ეკონომიკის განვითარების გზას.

თანამედროვე საბაზრო ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი ფინანსურ ბაზრებზე ფასიანი ქაღალდებით ოპერაციებს მიეკუთვნება. ეს ოპერაციები შეიცავენ გარკვეულ რისკებს და საჭიროა რისკების შესწავლა და ანალიზი. ფინანსური მათემატიკა შეისწავლის ამ პრობლემებსაც, რომელიც არსებითად იყენებს ალბათობის თეორიის

და მათემატიკური სტატისტიკის მეთოდებს. განვიხილოთ ფინანსური ბაზრის ორი ფასიანი ქაღალდის მოკლე განმარტება:

1. ობლიგაცია ანუ ბონი - ეს არის ვალდებულება ფასიანი ქაღალდის სახით, რომელსაც უშვებს სახელმწიფო, ბანკები, კორპორაციები, სააქციო საზოგადოებები და სხვა ფინანსური ინსტიტუტები თანხის მოზიდვის მიზნით. ობლიგაციებში ინვესტირების ძირითადი მიმზიდველობა მდგომარეობს იმაში, რომ მის მფლობელს რეგულარულად უხდინან თანხას გარკვეული წესით და ობლიგაციის დაფარვის მომენტში კი ხდება სრული თანხის გადახდა. ობლიგაციის მთლიანად ურისკო ფასიან ქაღალდად მიჩნევა არ შეიძლება; მაგალითად, იმიტომ, რომ არსებობს კორპორაციის გაკოტრების რისკი (სახელმწიფოს შემთხვევაშიც კი; მაგალითად, 1918 – 1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში არსებობდა ბონი, მაგრამ რუსეთის ოკუპაციის შედეგად მან თავისი ღირებულება დაკარგა).

2. აქცია - ეს არის ფასიანი ქაღალდი რომელსაც უშვებენ კორპორაციები, კომპანიები, ფირმები თანხის მოზიდვის მიზნით (ისე, როგორც ობლიგაციების შემთხვევაში). აქციები ძირითადად ორი სახისაა - ჩვეულებრივი და პრივილეგიური. ჩვეულებრივი აქციის მფლობელი კომპანიის მოგებიდან ღებულობს დივიდენდს, რომლის სიდიდე კომპანიის წარმატებულ საქმიანობაზეა დამოკიდებული. კომპანიის გაკოტრების შემთხვევაში ასეთი აქციონერი მთლიანად კარგავს თავის ინვესტიციას. პრივილეგირებული აქციის მფლობელს კი გარანტირებული აქვს თავისი ინვესტიციის მთლიანად დაკარგვის ნაკლები რისკი. სამაგიეროდ, ასეთი ინვესტორი კომპანიისგან ღებულობს დივიდენდს, რომლის სიდიდე არ იზრდება კომპანიის შემოსავლის ზრდასთან ერთად. აქცია რისკიანი ფასიანი ქაღალდია, რადგან მისი მნიშვნელობები დროში შემთხვევით იცვლება და დამოკიდებულია უამრავ ფაქტორზე. აქციებში თანხის ინვესტირება ძირითადად მიმზიდველია არა დივიდენდების მიღებით, არამედ სწორედ აქციის ფასების შესაძლო მკვეთრი ცვლილებებით; ინვესტორს აქვს შანსი მიიღოს დიდი მოგება აქციის დაბალ ფასში ყიდვით და მისი მაღალ ფასში გაყიდვით.

პოპულარული ფასიანი ქაღალდია - ევროპული ოფციონი, მაგრამ ჩვენ დავუბრუნდეთ აქტუარიუსების საქმიანობას. აქტუარიუსებს

ხშირად სოციალურ მათემატიკოსებსაც უწოდებენ, რადგან ისინი გან-
მსაზღვრელ როლს თამაშობენ არა მარტო სადაზღვევო კომპანიების
პოლიტიკისა და სტრატეგიის განსაზღვრაში, არამედ საპენსიო და სხვა
სოციალური ფონდების საქმიანობის წარმართვაში; სახელმწიფო
აქტუარიუსები პასუხისმგებელნი არიან ეროვნული დაზღვევის, სა-
ხელმწიფო საპენსიო და სხვა პროგრამების საქმიანობაზე.

აქტუარიუსები ტრადიციულად მთავარ როლს თამაშობენ სი-
ცოცხლის დაზღვევაში. სიკვდილიანობისა და სიცოცხლის ხანგრძლი-
ვობის ალბათობათა კომბინირება, ფინანსების მათემატიკის მეთოდე-
ბით, ამ პროფესიის ადრეული განვითარების წინაპირობა იყო.

შეუცდომლად, შეუძლებელია წინასწარ განისაზღვროს რომე-
ლიმე პიროვნების სიცოცხლის ხანგრძლივობა. ამ შემთხვევაში შეიძ-
ლება ვიკითხოთ, რომელი რიცხვი გამოდგება ადამიანის სიცოცხლის
ხანგრძლივობის განსასაზღვრად? არსებობს თუ არა მაქსიმალური ასა-
კი, რომლის ზემოთ სიცოცხლე შეუძლებელია? შეიძლება თუ არა ასა-
კისათვის (რომელიც გამოსახავს ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლი-
ვობას) ნებისმიერი რიცხვითი მნიშვნელობის აღება? ჩვენ, ცხადია, ვერ
დავუშვებთ, რომ ადამიანი 1000 წლამდე იცოცხლებს, რადგან ამ რიც-
ხვს, რა თქმა უნდა, დამზღვევი ორგანოები არავითარ შემთხვევაში არ
მიიღებენ სიცოცხლის ხანგრძლივობის საზღვრად. იმ ფორმულების
საფუძველზე, რომელზედაც დამყარებულია სიკვდილიანობის სტა-
ტისტიკის თანამედროვე ცხრილები, ცნობილია, რომ იმ ადამიანთა
წილი, რომლებიც 1000 წლამდე ცხოვრობენ გამოსახება ფარდობით
 $1:10^{13}$, გამყოფი რიცხვი იწერება 10^2 მილიარდი ნიშნით. ამ მტკი-
ცებას ბიოლოგიის ან სოციოლოგიის თვალსაზრისით არავითარი
აზრი არა აქვს, მაგრამ მას წმინდა სტატისტიკის თვალსაზრისით თუ
განვიხილავთ, მაშინ მივიღებთ, რომ ის ცდებს არ ეწინააღმდეგება. 100
წლის განმავლობაში 10^1 -ზე ნაკლები ადამიანი იბადება და რომ
გავამტყუნოთ ზემოთ მოცემული სტატისტიკური დასკვნა დაგვჭირ-
დება 10^{13} საუკუნე, რაც დედამიწის ასაკს 10^1 -ჯერ აღემატება. ცხა-
დია, ის უმნიშვნელო წილი, რომელიც ალბათობას გამოსახავს, პრაქ-
ტიკულად შეუძლებელია და იგი შეუძლებლობას შევუსაბამოთ, ე.ი.

სინამდვილეში ვერცერთი ადამიანი 1000 წლის ასაკამდე ვერ იცოცხლებს და ამიტომ შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ ჩვენი დაშვება უაზროა. სინამდვილეში ჩვენი დაშვება სავსებით მისაღებია და იგი ხელს შეგვიწყობს მთელი რიგი ფორმულების გამარტივებაში. გარდა ამისა, თუ გამოვრიცხავთ, რომ ადამიანს 1000 წლის ასაკამდე ცხოვრება შეუძლია, მაშინ კიდევ უფრო მეტ წინააღმდეგობას წავაწყდებით, რადგან მაშინ ჩვენ იძულებული ვიქნებით დავუშვათ მაქსიმალური ასაკის არსებობა; მაგალითად, ვთქვათ, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა არის a წელიწადი და მას არ შეუძლია იცოცხლოს a წელიწადი და 10 წამი, ამიტომ ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობის მაქსიმუმი განსაზღვრული არ არის.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, დღეისათვის დედამიწაზე, ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 71,4 წელია. მაღალგანვითარებულ ქვეყნებშიც კი, დღევანდელი მონაცემებით, სიცოცხლის ხანგრძლივობა არ აღემატება 82 წელს; მაგრამ XIX საუკუნემდე არ არსებობდა ქვეყანა, რომლის მოსახლეობის სიცოცხლის საშუალო ასაკი 40 წელზე მაღალი იყო.

სადაზღვევო საქმისადმი მიძღვნილი პირველი სამეცნიერო გამოკვლევები დაკავშირებულია ე. ჰალეის და დ. მუავრის სახელებთან: ჰალეიმ 1693 წელს შეადგინა სიკვდილიანობის პირველი ცხრილები და ეს დააკავშირა გადასახადებთან, ხოლო მუავრმა კი განიხილა სიცოცხლის სადაზღვევო შენატანის საკითხები.

სადაზღვევო საქმეში ალბათობის გამოყენება ძირითადად დაფუძნებულია დიდ რიცხვთა კანონზე, ცენტრალურ ზღვარით თეორემაზე, პუასონის განაწილებაზე, პუასონის მიახლოებაზე და სხვა. ყველაფერი ეს ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის კლასიკური კურსის ნაწილია.

განვიხილოთ სიცოცხლის დაზღვევის უმარტივესი სახე, რომელიც შემდგომში მდგომარეობს. ადამიანი უხდის სადაზღვევო კომპანიას P ლარს (ამ თანხას სადაზღვევო პრემია ეწოდება), ხოლო კომპანია იღებს ვალდებულებას, 1 წლის განმავლობაში (ადამიანის სიკვდილის შემთხვევაში), გადაუხადოს ამ ადამიანის მემკვიდრეებს C

ლარი (და არ უხდის არაფერს, თუ ადამიანი არ მოკვდა ამ ერთი წლის დროს). ცხადია, რომ $\$$ ბევრად მეტია P-ზე და აქტუარული მათემატიკის ერთ - ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა მათ შორის დამოკიდებულების დადგენა.

როცა პიროვნება P ლარად ყიდულობს სადაზღვევო პოლისს, იგი თავიდან იცილებს ფინანსურ რისკს, რომელიც დაკავშირებულია სიკვდილის მომენტის გაურკვეველობასთან. ამ რისკს თავის თავზე იღებს სადაზღვევო კომპანია. სადაზღვევო კომპანიისათვის ამ ადამიანთან დაკავშირებული სიკვდილის რისკი დამოკიდებულია ალბათობაზე: თუ ეს ადამიანი არ მოკვდება 1 წლის განმავლობაში, მაშინ თანხის გადახდის მოთხოვნა 0-ის ტოლია, ხოლო თუ ამ 1 წლის განმავლობაში ეს ადამიანი გარდაიცვალა, მაშინ 1-ის ტოლია (ე.ი. კომპანია მემკვიდრეებს გადაუხდის $\$$ ლარს).

ვთქვათ, ξ - ით აღვნიშნეთ მოთხოვნა, მაშინ იგი არის შემთხვევითი სიდიდე და გვაქვს: $P(\xi = i) = \begin{cases} P_x, & \text{თუ } i = 0 \\ q_x, & \text{თუ } i = 1 \end{cases}$

სადაც P არის ალბათობა, x - დაზღვეულის ასაკი, P_x იმის ალბათობაა, რომ x ასაკის ადამიანი კიდევ ერთ წელიწადს იცოცხლებს, ხოლო $q_x = 1 - P_x$ ალბათობაა იმისა, რომ x ასაკის ადამიანი გარდაიცვლება ამ ერთი წლის განმავლობაში. ამ შემთხვევაში ყურადსაღებია საწყისი ინფორმაცია, რადგან ეს სიდიდეები ძირფესვიანად არიან დამოკიდებული ამ ინფორმაციაზე. კერძოდ, საიდან მიიღება იმის ალბათობა, რომ შესაბამისი ასაკის ადამიანი მოკვდება ან არ მოკვდება ერთი წლის განმავლობაში? ბუნებრივია, იგი მიიღება იმ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, რომელიც ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია. იმის დასადგენად, თუ რა მოცულობისა და როგორი სახის ინფორმაციაა საჭირო, ეს უკვე ცალკე კვლევის საგანია. სტატისტიკური მონაცემები ძირეულად განსხვავდება მაღალგანვითარებული და ღარიბი ქვეყნებისათვის (მაგალითად, დიდი ბრიტანეთისა და საქართველოსათვის). ერთი ქვეყნის მცხოვრებლებს შორისაც არსებობს სხვადასხვა ჯგუფები სიცოცხლის სხვადასხვა ხანგრძლი-

ვობით. ეს დამოკიდებულია ადამიანის პროფესიაზე, ჯანმრთელობის მდგომარეობაზე, საყოფაცხოვრებო პირობებზე და სხვა ფაქტორებზე.

ყველა ამ მონაცემის შეკრებით მიიღება სიკვდილიანობის ან სიცოცხლის ხანგრძლივობის სპეციალური ცხრილები. რა თქმა უნდა, კომპანიას უნდა ჰქონდეს მსგავსი ცხრილების საკმაოდ ფართო სპექტრი მოსახლეობის სხვადასხვა ჯგუფებისათვის. ასეთი ცხრილების შედგენა, ასევე, მათი ცვლილების დინამიკის შესწავლა წარმოადგენს ძირითადად აქტუარულ ამოცანას.

უნდა აღინიშნოს, რომ სიცოცხლის ხანგრძლივობის ცხრილების შედგენა და ანალიზი სულაც არ არის ადვილი ამოცანა. დიდი ბრიტანეთის პირველმა სახელმწიფო აქტუარიუსმა ჯონ ფინლეისონმა ამ საქმიანობით გაითქვა სახელი. 1812 წლიდან 1819 წლამდე იგი დიდი ბრიტანეთის სამხედრო - საზღვაო ძალების მოსამსახურეთა ქვრივებისა და ობლების სოციალური ფონდის შექმნაზე მუშაობდა. ფინლეისონის ყველაზე მნიშვნელოვან მიღწევად ითვლება მისი მუშაობა სიკვდილიანობის ცხრილების შესაქმნელად სახელმწიფო რენტისა და გადასახადების დადგენის მიზნით, 1819 წელს მან აღმოაჩინა, რომ სახელმწიფო რენტის იმ დროისათვის არსებული ცხრილები შეცდომით იყო შედგენილი სიკვდილიანობის გაზვიადებულ მონაცემებზე დაყრდნობით. ეს სიცოცხლის დაზღვევისას დამატებითი მოგების მიღების საშუალებას იძლეოდა, მაგრამ ამავე დროს დაბრკოლებებს ქმნიდა სახელმწიფო რენტის განსაზღვრისას და გაყიდვისათვის (ანალოგიური სინამდვილე წარმოდგენილი აქვს ნ. გოგოლს თავის „მკვდარ სულელებში“, სადაც აღწერილია არა მარტო რუსული რეალობა; განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ფინლეისონი აქტუარიუსი იყო და დეტალური აქტუარული გამოკვლევა აქვს ჩატარებული).

სადაზღვევო ამოცანების გამოთვლის მთვარი შეკითხვებია: როგორ არის დაკავშირებული ერთმანეთთან ინდივიდუალური სადაზღვევო გადასახადი და თანხა, რომელსაც კომპანია იხდის? რით რისკავს ადამიანი და რით რისკავს კომპანია? როგორ გავხადოთ ეს რისკი გონივრული?

ამასთან ერთად არსებობს ორგანო, რომელიც კომპანიებს აკონტროლებს. მაგალითად, დიდ ბრიტანეთში ესაა სახელმწიფო აქტუარიუსის სამსახური. ამ ორგანოს ერთ - ერთი ძირითადი ამოცანაა იმ პირობებისა და მოთხოვნების შემუშავება, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს კომპანია, რათა საქმიანობის ლიცენზია მიიღოს. პირველ რიგში ესაა გაკოტრების ალბათობის მინიმუზაციის მოთხოვნა და ცხადია, რომ ამის მთავარი მიზანი კლიენტის ინტერესების დაცვაა. როცა რუსეთში ცნობილი ფირმა „MMM“ გაკოტრდა, ხოლო საქართველოში „ოქროს საწმისი“ და მრავალი ადამიანი მოტყუებული დარჩა, დაისვა კითხვა: სახელმწიფო ვალდებულია თუ არა დაიცვას ადამიანის ინტერესები? ამასთან საზოგადოებრივი აზრი ძირითადად იმის მომხრე იყო, რომ ხალხი თვითონაა დამნაშავე, რადგან თაღლითებს დაუჯერა, მაგრამ ეს პოზიცია არასწორია. სახელმწიფო სტრუქტურა ვალდებულია, მხოლოდ იმ შემთხვევაში გასცეს ლიცენზია თუ კომპანია შესაბამის პირობებს აკმაყოფილებს და მუდმივად უნდა აკონტროლებდეს კომპანიებს. თუ კომპანია გაკოტრდება, მაშინ აქტუარიუს - ექსპერტმა პასუხი უნდა გასცეს შეკითხვას: რამდენად დასაბუთებული იყო ლიცენზიის გაცემა? თუ ეს ასე არ არის, მაშინ გაკოტრებულ კომპანიასთან ერთად იმ ორგანომაც უნდა აგოს პასუხი, რომელმაც ლიცენზია გასცა.

ინგლისური ანდაზაა: „თუ არაფრით არ რისკავ, მაშინ ვერაფერს ვერ მოიგებ“. რა თქმა უნდა მოგება სასურველია, მაგრამ რისკი გონივრული უნდა იყოს.

ლიტერატურა

1. Panjer H, Willmot G. Insuranse risk MoDels, society of Actuaries. London 1992.
2. Ширяев А.Н. Обзорение прикладной и промышленной математики. Т.1. Москва 1994.
3. პ. ბაბილუა, ბ. დოჭვირი. ევროპული ოფციონის გათვლის ამოცანა. სამეცნიერო - პოპულარული ჟურნალი „მათემატიკა“№1. თბილისი 2013.
4. თ. გიორგაძე. ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტები. აწსუ, ქუთაისი 2016.

თეიმურაზ გიორგაძე, პროფესორი.
აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ფინანსური რისკის მათემატიკური ანალიზი რეზიუმე

ნაშრომში განხილულია ფინანსური და აქტუარული მათემატიკის პრობლემები - ფინანსური რისკის მათემატიკური ანალიზი; კერძოდ, ალბათობის თეორიისა და მათემატიკური სტატისტიკის ელემენტების ზოგიერთი გამოყენება უმარტივესი პროცესის შემთხვევაში. აგრეთვე, შეფასებულია აქტუარიუსის მოქმედების პრინციპები, ამ პროფესიის ადამიანების უმნიშვნელოვანესი წილი სახელმწიფოს აღმშენებლობისათვის და სწორი მიმართულებით სვლისათვის.

ТЕЙМУРАЗ ГИОРГАДЗЕ, профессор.Государственный университет
им. Акаки Церетели

МАТЕМАТИЧЕСКИЙ АНАЛИЗ ФИНАНСОВОГО РИСКА

Резюме

В статье рассматриваются финансовые и актуальные математические проблемы - математический анализ финансовых рисков. А именно, некоторые элементы вероятности и математической статистики могут быть использованы в случае простейшего процесса. Обоснованность актуарного принципа также оценивается. Важнейшей частью этой профессии является стремление к развитию государства и правильное направление.

TEIMURAZ GIORGADZE, professor of Akaki Tsereteli State University

MATHEMATICAL ANALYSIS OF FINANCIAL RISK

Summary

The paper deals with financial and actual math problems – mathematical analysis of financial risks. Namely, some of the elements of probability and mathematical statistics may be used in case of the simplest process. The validity of the actuarial principle is also assessed. The most important part of this profession is to strive for the development of the state and the right direction.

В настоящее время информатизация охватила все сферы человеческой деятельности. Одним из приоритетных направлений процесса информатизации современного общества является информатизация образования - внедрение средств новых информационных технологий в систему образования. Это сделает возможным:

- совершенствование механизмов управления системой образования на основе использования автоматизированных банков данных научно- педагогической информации, информационно-методических материалов, а также коммуникационных сетей;
- совершенствование методологии и стратегии отбора содержания, методов и организационных форм обучения, соответствующих задачам развития личности обучаемого в современных условиях информатизации общества;

Одним из достоинств применения мультимедиа технологии в обучении является повышение качества обучения за счет новизны деятельности, интереса к работе с компьютером. Так, например, применение компьютера на занятиях по биологии может стать новым методом организации активной и осмысленной работы учащихся, сделав занятия более наглядными и интересными.

Компьютерные мультимедийные пособия в том числе по биологии обеспечивают в той или иной мере наглядность, интерактивность и другие качества, отличающие их от учебников на бумажных носителях . Одним из достоинств применения мультимедиа технологии в обучении является повышение качества обучения за счет новизны деятельности, интереса к работе с компьютером. Применение компьютера на уроках биологии может стать новым методом организации активной и осмысленной работы учащихся, сделав занятия более наглядными и интересными.

Одним из приоритетных направлений процесса информатизации современного общества является информатизация образования - внедрение средств новых информационных технологий в систему образования. Это сделает возможным:

- совершенствование механизмов управления системой образования на основе использования автоматизированных банков данных научно- педагогической информации, информационно-методических материалов, а также коммуникационных сетей;

В условиях модернизации образования, направленной на повышение качества, доступности и эффективности образования и определяющей в качестве одного из направлений формирование ключевых компетентностей учащихся, особо остро встает проблема реализации поставленных задач при обучении биологии.

Проблема подготовки выпускников, хорошо владеющих компьютерными технологиями, приобретает особо важное значение в связи с высокими темпами развития и совершенствования науки и техники. Потребностью общества в людях, способных быстро ориентироваться в обстановке, способных мыслить самостоятельно и свободных от стереотипов.

Процесс активизации учебно-познавательной деятельности, базирующийся на практическом опыте и биологических знаниях, является основой и залогом формирования этих ключевых компетенций обучающихся.

Внедрение в процесс обучения информационные технологии обеспечивают доступ к различным информационным ресурсам и способствует обогащению содержания обучения, придает ему логический и поисковый характер, а также решает проблемы поиска путей и средств активизации познавательного интереса учащихся, развития их творческих способностей, стимуляции умственной деятельности.

Особенностью учебного процесса с применением компьютерных средств является то, что центром деятельности становится ученик, который исходя из своих индивидуальных способностей и интересов, выстраивает процесс познания. Между учителем и учеником складываются «субъект-субъектные» отношения. Учитель часто выступает в роли помощника, консультанта, поощряющего

оригинальные находки, стимулирующего активность, инициативу, самостоятельность.

В настоящее время информатизация охватила все сферы человеческой деятельности, в том числе и образование. Информатизация учебного курса биологии осуществляется, главным образом, в форме внедрения средств новых информационных технологий, в том числе мультимедийных пособий

Обучение с использованием информационных технологий является не только сообщением определённой суммы знаний учащимся, но и развитием у них познавательных интересов, творческого отношения к делу, стремления к самостоятельному "добыванию" и обогащению знаний и умений, применяя их в своей практической деятельности. Темпы и масштабы развития и применения биологических технологий в различных отраслях промышленности и областях науки быстро возрастают, особенно в США, Японии, Англии, Германии, Франции, Италии и некоторых других странах. В ряде стран утверждены национальные программы в области биотехнологии, которые должны послужить для решения важнейших проблем в области медицины (создание лекарственных препаратов для лечения некоторых, в том числе генетических, заболеваний), экологии (очистка окружающей среды, переработка отходов), сельского хозяйства (повышение продуктивности растений и животных, улучшение качества продуктов) и других

Задачи электронного учебного издания

1. Создать системное представление о биотехнологии, ее возможностях и о связях с другими науками биологического профиля.
2. Познакомить с основными разделами, понятиями и методами биотехнологии.
3. Расширить кругозор учащихся, ознакомив их с современными биологическими технологиями, а также с учеными, которые стояли у истоков этой науки.
4. Показать важность и актуальность исследований, связанных с биотехнологией.
5. Заинтересовать учащихся проблемами биотехнологии и других биологических наук.

6. Развить чувство ответственности за совершаемые действия и принимаемые решения на примере негативных экспериментов в области биотехнологии.

Современный период развития цивилизованного общества характеризует процесс информатизации.

Информатизация общества - это глобальный социальный процесс, особенность которого состоит в том, что доминирующим видом деятельности в сфере общественного производства является сбор, накопление, продуцирование, обработка, хранение, передача и использование информации, осуществляемые на основе современных средств микропроцессорной и вычислительной техники, а также на базе разнообразных средств информационного обмена. Информатизация общества обеспечивает:

- активное использование постоянно расширяющегося интеллектуального потенциала общества;
- интеграцию информационных технологий в научные и производственные виды деятельности, инициирующую развитие всех сфер общественного производства, интеллектуализацию трудовой деятельности;
- высокий уровень информационного обслуживания, визуализацию представляемой информации, существенность используемых данных.

Процессы, происходящие в связи с информатизацией общества, способствуют не только ускорению научно-технического прогресса, интеллектуализации всех видов человеческой деятельности, но и созданию качественно новой информационной среды социума, обеспечивающей развитие творческого потенциала индивида.

Одним из приоритетных направлений процесса информатизации современного общества является информатизация образования – внедрение средств новых информационных технологий в систему образования. Это сделает возможным:

- совершенствование механизмов управления системой образования на основе использования автоматизированных банков данных научно-педагогической информации, информационно-методических материалов, а также коммуникационных сетей;

Биотехнологические процессы в меньшей степени загрязняют окружающую среду отходами и побочными продуктами, кроме того, они мало зависят от климатических и погодных условий, не требуют

больших земельных площадей, не нуждаются в применении пестицидов, гербицидов и других чужеродных для окружающей среды агентов. Поэтому биотехнология в целом и ее отдельные разделы находятся в ряду наиболее приоритетных направлений научно-технического прогресса и являются ярким примером «новых технологий», с которыми связывают перспективы развития многих производств. Все высокоразвитые страны мира относят биотехнологию к одной из важнейших современных отраслей, считая ее ключевым методом реконструкции промышленности в соответствии с потребностями времени, и принимают меры по стимулированию ее развития.

Перед высшей школой стоят новые задачи по дальнейшему совершенствованию подготовки специалистов в области экологии и охраны окружающей среды, а также расширению знаний по различным направлениям современной экологической науки.

В результате изучения данной дисциплины у будущих экологов формируется теоретические знания об основных направлениях современной экологической биотехнологии как междисциплинарной области научно-технического прогресса.

Особое место отведено изучению материала по альтернативным источникам энергии, в частности биотопливу, его классификации, характеристике, преимуществам и недостаткам в сравнении с традиционным топливом. С этой целью разработаны учебник, учебные и учебно-методические пособия [3-4].

პაპაპურიძე ნათელა - საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

**კოოპერატივების როლი აგრარული სექტორის
განვითარებაში**

კოოპერატივები ლათინური წარმოშობის სიტყვაა (ლათინურად co-opertio) და თანადასაქმების, თანამშრომლობას ნიშნავს. „კოოპერატივი“ იმ ადამიანთა ერთობას აღნიშნავს, რომლებიც ნებაყოფლობით გაერთიანდნენ ერთობლივი ეკონომიკური, სოციალური და კულტურული მისწრაფებებისა და საჭიროებების მისაღწევად, საერთო მფლობელობაში მყოფი დემოკრატიული პრინციპებით მართული საწარმოს მეშვეობით.

ევროკავშირში 250000 კოოპერატივია, რომელთა წევრების რაოდენობა 163 მილიონ მოქალაქეს შეადგენს (ევროკავშირის მოსახლეობის ერთ მესამედს) და 5.4 მილიონი ადამიანი დამსაქმებელია. კოოპერატივები ზოგადად ძალიან მნიშვნელოვან საბაზრო წილს ფლობენ სხვადასხვა ინდუსტრიებში.

სოფლის მეურნეობის სექტორში კოოპერატივების ხვედრითი წილი ასეთია: ნიდერლანდები-83%; ფინეთი-79%; იტალია-55%; საფრანგეთი-50%. მეტყვეობა: შვედეთი-60%; ფინეთი-31%.

კოოპერატივის ცნების მრავალგვარი და ურთიერთ გამომრიცხავი განმარტება არსებობს. საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მას კოლმეურნეობებთან და საბჭოთა მეურნეობებთან აიგივებს. თუმცა, ვერც ერთი მათგანი ამ ცნების ნამდვილ დეფინიციას ვერ უახლოვდება. ცნებათა ამგვარი აღრევის მიზეზი, სოციალურ-ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების ამგვარ სისტემასთან მიმართებაში პრაქტიკული გამოცდილების არქონაა.

დასავლეთ ევროპაში, დაახლოებით ორი საუკუნის წინ, ინდუსტრიული რევოლუციის გვიანდელ პერიოდში, როდესაც ძალიან დიდი ტექნიკური პროგრესის შედეგად განვითარდა კერძო მრეწველობა, რამაც თავის მხრივ ხელი შეუწყო მსხვილი კორპორატიული

კაპიტალის დაგროვებას, წარმოიშვა ინტერესთა კონფლიქტის საშიშროება მსხვილ კაპიტალსა და მცირე საწარმოო ძალთა (მაგ. გლეხური საოჯახო მეურნეობები) შორის. ამ პირობებში მცირე მეურნეობები საწარმოები დადგნენ ეკონომიკური საქმიანობის ორგანიზების ისეთი სისტემის განვითარების საჭიროების წინაშე, რომელიც ერთსა და იმავე დროს:

- უზრუნველყოფდა ინდივიდუალური/საოჯახო მეურნეობების თვითმყოფადობას, დამოუკიდებლობას და მათ მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური და ეკონომიკური ბაზის შენარჩუნებას;

- ხელს შეუწყობდა პროდუქციის წარმოების თვითღირებულების მაქსიმალურად შემცირებას;

- უზრუნველყოფდა ხარისხიანი საწარმოო კომპონენტებისა და წარმოების მოწინავე ეფექტიანი ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას;

- ხელს შეუწყობდა პროდუქტიულობისა და ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას; ე.ი. უზრუნველყოფდა სარეალიზაციო ბაზრებზე მისი პროდუქციის სავაჭრო პოზიციების გაძლიერებასა და გამყარებას;

- უზრუნველყოფდა მსგავსი პრობლემებისა და გამოწვევების წინაშე მდგარ მეურნეობათა/საწარმოთა/მეწარმეთა შორის თანასწორ უფლებიანობის, ერთობის ურთიერთდახმარებისა და სოლიდარობის პრინციპების დამკვიდრებას;

სწორედ ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევების საპასუხოდ განვითარდა წარმოებისა და სოციალურ-ეკონომიკური თანაცხოვების იმ დროისთვის სრულიად ახალი და უნიკალური ფორმა-კოოპერატივი. კოოპერატიულ საწყისებზე დაფუძნებული ორგანიზაციის უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი თავის თავში მოგებაზე ორიენტირებული ბიზნეს ორგანიზაციისა და სოციალური საწარმოს ნიშანთვისებებს აერთიანებს.

კოოპერატივის წევრები ფლობენ პაის, თუმცა თითოეულ წევრზე გაპიროვნებული პაის ოდენობა განსაზღვრავს მხოლოდ დივიდენდის ოდენობას და არა წევრის უფლებამოსილებას ორგანიზაციის მართვაში. თუ სააქციო ან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგად-

დოების შემთხვევაში მეპაიეთა სამმართველო ხმების რაოდენობა თითოეულ მეპაიეზე მისი პაის ოდენობის პროპორციულია, კოოპერატივის შემთხვევაში, წევრს, მიუხედავად მის საკუთრებაში არსებული პაის ოდენობისა, აქვს მხოლოდ ერთი ხმა. ამ პრინციპს მართვის დემოკრატიული კონტროლის სიტემა ეწოდება (ე.წ. „ერთი წევრი - ერთი ხმა“), მისი მეშვეობით კოოპერატივის წევრები ერთის მხრივ თავს იცავენ მსხვილი კაპიტალის მონოპოლისტური ინტერვენციისაგან და მეორე მხრივ უზრუნველყოფენ საციალური სამართლიანობის, ერთობისა და თანასწორ უფლებიანობის დაცვას. გარდა ამისა, სპეკულაციური პრაქტიკის თავიდან ასაცილებლად, რაც მსხვილი კაპიტალის მონოპოლისტური ინტერვენციის საფუძველს წარმოადგენს, როდესაც ერთი კონკრეტული მეპაიე შესაძლებელია მხოლოდ თანხის დაბანდებითა და დივიდენდების მიღებით შემოიფარგლოს (როგორც მშპ-სა და ან სააქციო საზოგადოების შემთხვევაში).

კოოპერატივის წევრები თანხმდებიან, რომ წევრად კოოპერატივში მიიღება ინდივიდი, რომელიც მონაწილეობას ღებულობს კოოპერატივის საქმიანობაში, ანუ კოოპერატივის კაპიტალის ფორმირებაში მონაწილეობის მიღების გარდა, ეწევა შრომით საქმიანობას, ქმნის გარკვეულ პროდუქციას და ამ პროდუქციის საწარმოებლად, მისთვის დამატებითი ღირებულების შესაქმნელად და ხელსაყრელი სარეალიზაციო ბაზრების მოსაპოვებლად იყენებს კოოპერატივის სერვისებს.

კოოპერატივის კიდევ ერთი ფუნდამენტურ პრინციპს წარმოადგენს ღია და ნებაყოფლობითი წევრობა. ამ პრინციპის დასაცავად, როგორც წესი, კოოპერატივის წევრები თანხმდებიან, რომ არაწევრთათვის სერვისის გაწევა შესაძლებელია, თუმცა გარკვეულ ზღვრამდე, რაც კოოპერატივის წლიური ბრუნვის გარკვეულ პროცენტს (ყველაზე ხშირად 20-30%) არ უნდა აჭარბებდეს. აღნიშნული მექანიზმით ერთის მხრივ კოოპერატივი დაინტერესებულია წევრთა რაოდენობის გაზრდით, რაც მისთვის ეკონომიკური ბაზისა და კლიენტურის ზრდას ნიშნავს, ხოლო, მეორე მხრივ, არა წევრი ინდივიდი დაინტერესებულია გახდეს კოოპერატივის წევრი, რაც მას საშუალებას აძლევს შეუზღუდავად ისარგებლოს კოოპერატივის მიერ შეთავა-

ზებული სერვისით. კოოპერატივის ფუნდამენტური საოპერაციო პრინციპების ზემოთ აღწერილი ერთობლიობა ქმნის მომგებიანი ბიზნეს ორგანიზაციისა და სოციალური საწარმოს უნიკალურ სინთეზს. სამართლებრივი ფორმითა და საქმიანობის მიმართულებებით კოოპერატივი მოგებაზე ორიენტირებულ ბიზნეს ორგანიზაციას წარმოადგენს, თუმცა მმართველობის დემოკრატიული სისტემა, წევრთა ეკონომიკური მონაწილეობის აუცილებლობა და მათი რაოდენობის ზრდისკენ მიმართული სამოტივაციო სქემები კოოპერატივს უმთავრესად წევრთა მოგებაზე ორიენტირებულ სერვის ორგანიზაციად აყალიბებს და არა კორპორატიული კაპიტალის გენერირების პლატფორმად, როგორც ეს ხდება შეზღუდული პასუხისმგებლობის ან სააქციო საზოგადოების შემთხვევაში.

კოოპერატივები ეყრდონა საყოველთაოდ აღიარებულ შემდეგ ძირითად საოპერაციო პრინციპებს: ნებაყოფლობითი და ღია წევრობა; წევრთა მართვის დემოკრატიული სისტემა; წევრთა ეკონომიკური მონაწილეობა; ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა; განათლება; ტრენინგი და ინფორმაცია; კოოპერაცია და კოოპერატივებს შორის და საზოგადოებაზე ზრუნვა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

ნებაყოფლობითი და ღია წევრობა - კოოპერატივი ზოგადად ნებაყოფლობითი ორგანიზაციაა. მისი წევრი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ინდივიდი სქესის, რასის, რელიგიური რწმენის, სოციალური წარმოშობისა და პოლიტიკური შეხედულებების მიუხედავად, რომელსაც აქვს მისი მომსახურებით სარგებლობის სურვილი და რომელიც მზად არის აღიაროს მის წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

წევრთა დემოკრატიული სისტემა - კოოპერატივი დემოკრატიული ორგანიზაციაა, რომელიც იმართება პრინციპებით: „ერთი წევრი - ერთი ხმა“. კოოპერატივის წევრთა მიერ არჩეული წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირები ანგარიშვალდებულები არიან წევრთა წინაშე.

წევრთა ეკონომიკური მონაწილეობა - წევრები დემოკრატიული პრინციპების თანახმად, მონაწილეობას იღებენ კოოპერატივის კაპი-

ტალის ფორმირებასა და მართვაში. ამ კაპიტალის გარკვეული ნაწილი კოოპერატივის წევრთა ერთობლივ საკუთრებას წარმოადგენს. წევრობის ერთ-ერთი წინაპირობაა კოოპერატივის კაპიტალის ფორმირებაში მისი მონაწილეობა. წევრთა ერთობლივი გადაწყვეტილებით კოოპერატივის მოგების განაწილება ხორციელდება შემდეგი მიზნებისათვის:

- კოოპერატივის განვითარება;
- რეზერვების ფორმირება, რომლის გარკვეული ნაწილი განაწილებას არ ექვემდებარება;
- წევრებისთვის დივიდენდების განაწილება კოოპერატივის კაპიტალის ფორმირებაში მათი მონაწილეობის პროპორციულად, აგრეთვე წევრთა გადაწყვეტილების შესაბამისად სხვა კანონიერი მიზნებისათვის.

ავტონომიურობა და დამოუკიდებლობა - კოოპერატივი დამოუკიდებელი და ავტონომიური ორგანიზაციაა, რომელიც კონტროლდება მისი წევრების მიერ. კოოპერატივის მიერ მესამე პირთან (მთავრობის ჩათვლით) რაიმე გარიგების გაფორმების ან სხვა წყაროდან კაპიტალის მოზიდვის შემთხვევაში კოოპერატივი ხელმძღვანელობს წევრთა დემოკრატიული კონტროლისა და კოოპერატივის ავტონომიურობის პრინციპების დაცვით.

განათლება, ტრენინგი და ინფორმაცია - კოოპერატივი უზრუნველყოფს თავისი წევრების, არჩეული წარმომადგენლების, მენეჯრებისა და დაქირავებული თანამშრომლების განათლებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას, რათა შემდგომში საკუთარი წვლილი შეიტანონ კოოპერატივის განვითარებაში. კოოპერატივი ინფორმაციას აწვდის ფართო საზოგადოებას კოოპერაციული პრინციპების რაობისა და სარგებლიანობის შესახებ.

კოოპერაცია კოოპერატივებს შორის - კოოპერატივი მოწოდებულია გააუმჯობესოს თავისი წევრების მომსახურების ხარისხი კოოპერაციული მოძრაობის გაძლიერებისა და სხვა კოოპერატივების ადგილობრივ, ეროვნულ, რეგიონულ და საერთაშორისო გაერთიანებებთან თანამშრომლობით.

საზოგადოებაზე ზრუნვა - კოოპერატივი ზრუნავს მისი საქმიანობის გეოგრაფიულ არეალში მოსახლე საზოგადოებაზე/თემზე/სოფელზე მის წევრთა მიერ შეთანხმებული ღონისძიებების განხორციელების გზით.

კოოპერატიული სისტემა წარმოადგენს თავისუფალი ბაზრის პირობებში მწირი ეკონომიკური ბაზის მქონე დაბალ კონკურენტუნარიან საწარმოო ძალთა თავდაცვით რეაქციას და მსხვილი და ძლევამოსილი კორპორატიული კაპიტალის საპირწონეს. სოფლის მეურნეობის კონტექსტში ხშირ შემთხვევებში კოოპერატივებს ქმნიან მცირე საოჯახო მეურნეობები ფერმები თავისუფალი ბაზრის გამოწვევების დასაძლევად. ეს გამოწვევები ძირითადად გამოიხატება იმაში, რომ მსხვილი ბიზნესი, თავისი ბუნებიდან გამომდინარე, მიმართულია ფერმერთან არაკეთილსინდისიერი ექსპლუატაციისკენ და ამას იგი გარკვეული მონოპოლისტური პრაქტიკის დაწერგვის გზით ახერხებს; ან სხვა შემთხვევაში, მსხვილი ბიზნესი საერთოდ უგულვებელყოფს მცირე ფერმერულ მეურნეობებს, რადგან მათი დაბალი მსყიდველთუნარიანობისა და შეზღუდული მწარმოებლურობის გამო ცალკეულ მცირე მეურნეობებთან ეკონომიკური თანამშრომლობა არამომგებიანია. მსოფლიოს მოწინავე გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სოფლად სერვის კოოპერატივების განვითარება ხელს უწყობს სამომხმარებლო და სარეალიზაციო ბაზრებზე მცირე ფერმერების წვდომის გაუმჯობესებას და ორივე სახის ზემოთ აღწერილი გამოწვევის დაძლევას.

მცირე მეურნეობები, ფერმერები ბაზარზე საკუთარი სავაჭრო პოზიციების გასაძლიერებლად იყენებენ სასოფლო-სამეურნეო სერვისის კოოპერატივების მომსახურებას. ისინი ერთიანდებიან იმისთვის, რომ საჭირო საწარმოო საშუალებების, კომპონენტებისა და სერვისების (როგორცაა მექანიზაცია, სასუქები, შხამქიმიკატები, კრედიტები, კონსულტაციები და სხვა) მსხვილ მწარმოებლებთან, მომწოდებლებთან თუ შუამავლებთან მოლაპარაკებისას ერთიანი ძალით გამოვიდნენ. ამით ისინი ახერხებენ ე.წ. „სიმცირის სინდრომის“ დაძლევას, რაც ბაზარზე ცალკეული მცირე მეურნეობის ნაკლებად მოწინავე სავაჭრო პოზიციებში გამოიხატება. სხვაგვარად რომ ვთქვათ,

სასოფლო-სამეურნეო სერვისის კოოპერატივების სახით ბაზარზე წარმოდგენილია შედარებით მსხვილი „ეკონომიკური აგენტი“, რომელიც თავის თავში აერთიანებს გარკვეული რაოდენობის ცალკეული მცირე მეურნეობების შესაძლებლობებს, მოთხოვნილებებისა და პოტენციალს და რომელიც თავის მხრივ ეხმარება მას ბაზარზე მცირე მეურნეობებისთვის დამახასიათებელი სიზუსტით ავტომატურად დაძლევაში.

ზემოთ გამოთქმულიდან გამომდინარე უაღრესად მნიშვნელოვანია სერვის კოოპერატივების როლი სოფლად ეკონომიკის გამოცოცხლებასა და განვითარებაში. განვითარებულ საბაზრო ქვეყნებში არსებული კოოპერაციული სისტემების უმრავლესობა სოფლად სწორედ სერვის კოოპერატივების სახით არის წარმოდგენილი.

გამოყოფენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ორ ძირითადად ტიპს:

- საწარმოო კოოპერატივები;
- სერვისის კოოპერატივები.

საწარმოო კოოპერატივში წევრები ერთობლივად აწარმოებენ პროდუქციას. ისინი ერთობლივად იყენებენ კოოპერატივის საერთო მფლობელობაში არსებულ ძირითადად საწარმოო საშუალებებს, როგორცაა მაგალითად მიწა და მექანიზაციის საშუალებები. საბჭოთა კოლმეურნეობები და ებრაული „კიბუცები“, პრინციპში საწარმოო კოოპერატივებს წარმოადგენენ, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ ისინი არ ეფუძნებიან კოოპერატივების ფუნდამენტურ პრინციპებს, მათ საერთაშორისო თანამეგობრობა კოოპერატივებად არ ცნობს. საწარმოო კოოპერატივებში ეკონომიკური საქმიანობა ეფუძნება კონსოლიდირებულ საწარმოო საშუალებებს, რაც, ზოგიერთების აზრით, მათ ინდივიდუალურ მცირე მეურნეობებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს, თუმცა საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნებში წარმოებული მეცნიერული კვლევები გვიჩვენებს, რომ დიდი მასშტაბის ეკონომიკა პირველადი სასოფლო-სამეურნეო წარმოების დონეზე შედარებით არ გვხვდება. მეტიც, ხშირ შემთხვევაში ირკვევა, რომ საწარმოო კოოპერატივები ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებთან

შედარებით ნაკლებ ეფექტიანია. ამას ადასტურებს თუნდაც ის ფაქტი, რომ მსოფლიოს კოოპერატივების ალიანსის (ICA) მონაცემებით სამეწარმეო კოოპერატივების ხვედრითი წილი გლობალურ კოოპერაციულ სისტემაში 5%-ს არ აღემატება.

სერვისის კოოპერატივები კოოპერატივების ყველაზე მრავალრიცხოვან და ტიპურ კატეგორიას წარმოადგენს. ეს კოოპერატივები საკუთარ წევრებს წევრთა ქონებისა და მათ საკუთრებაში არსებული ძირითადი საწარმოო საშუალებების კონსოლიდაციის გარეშე ეხმარებიან საჭირო საწარმოო აქტივებისა და კომპონენტების შექმნაში, პროდუქციის გადამამუშავებასა და რეალიზაციაში, აგრეთვე საჭირო სასოფლო-სამეურნეო და მარკეტინგული კონსულტაციების მიღებაში. ამ კატეგორიას მიეკუთვნება აგრეთვე არა საბანკო სადეპოზიტო ფინანსური კოოპერატივები, თუმცა მათი საქმიანობის საბანკო ხასიათის გამო მათ, როგორც წესი, ცალკე ქვეკატეგორიებად გამოყოფენ. სერვისის კოოპერატივების ხვედრითი წილი განვითარებული ქვეყნების სასოფლო-სამეურნეო ტრანზაქციებში ყველაზე დიდია. მაგალითად აშშ-ში იგი საშუალოდ 30%-ს შეადგენს, ევროკავშირში-50%-ს, ხოლო იაპონიაში თითქმის 85%-ს.

კოოპერატივები საქართველოსთვის ზოგადად სიახლეს არ წარმოადგენს, რადგან კოოპერაციის ნიშნები საქართველოში ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში შეინიშნებოდა. ფეოდალურ ხანაში ეს კორპორაცია ძალიან მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. შედგომში კი უკვე კოოპერატივების გავითარება და ჩამოყვლიბება საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, რასაც მხარს უჭერდნენ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ანტონ ფურცელაძე, სერგი მესხი და სხვა გამოჩენილი მოღვაწეები. პირველი კოოპერატივი კი ილია ჭავჭავაძემ დაარსა 1869 წელს და მას „მომჭირნობა“ უწოდა.

ამის შემდეგ კიდევ ბევრი კოოპერატივი შეიქმნა, ასეთი იყო 1890 წელს მიტროფონე ლალიძის მიერ დაარსებული ხილეულის წყლების კოოპერატივი ქ.ქუთაისში (ივანოვსკის საწარმოს ბაზაზე), რომელიც მალე მთელ დასავლეთ საქართველოში სახელგანთქმული

გახდა. ამავე პერიოდში დიმიტრი მაჩხანელმა (ნადირაძემ) დაარსა კოოპერატივი მაჩხანში, სიღნაღის მაზრაში.

1911-1917 წლებში საქართველოში გამოდიოდა ჟურნალი „კოოპერაცია“, რომლის დამაარსებელი იყო ეკონომისტი, კოოპერატორი იასონ გაბილაია. ჟურნალში იბეჭდებოდა ისტორიები არსებული კოოპერატივების და მეწარმეების შესახებ, ასევე კოოპერატივების წესების ნიმუშები, წარმატებული კოოპერატივები, ინფორმაცია ფერმერების ევროპაში სასწავლო მოგზაურობის შესახებ და ა.შ.

1922 წელს საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ გამოცემული დეკრეტის საფუძველზე მიწა გადაიქცა სახელმწიფო საკუთრებად. ჩამოყალიბდა კოლმეორნეობები და საბჭოთა მეურნეობები, რითაც დასრულდა კოოპერატივების ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია. ეს პერიოდი გრძელდებოდა მე-20 საუკუნის 90-იან წლებამდე.

აღნიშნული მონაცემები ნათლად ადასტურებს იმას, რომ საქართველოს ჯერ კიდევ 1800-იან წლებში ჰქონდა გათვითცნობიერებული ევროპული ფასეულობები და მიმართულებები. ილია ჭავჭავაძის სიტყვები - „კოოპერაცია არის გააფთრებული სვავებისგან მშრომელი კაცის დაცვის ერთადერთი საშუალება“, იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ საუკუნის წინ ჰქონდათ გააზრებული საზოგადოებაში, სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის როლის და მნიშვნელობის შესახებ.

კოოპერატიული სისტემის წარმოშობისა და განვითარების თითქმის 200 წლიან პერიოდში ამ მოძრაობამ გლობალურ მასშტაბს მიაღწია და მეცნიერულ-დისციპლინარული ჩარჩოებშიც მოექცა. ჩამოყალიბდა კოოპერატივების მრავალი ეროვნული და საერთაშორისო გაერთიანება, რომელთა ძირითადი მიზანი კოოპერატიული პრინციპებისა და კოოპერატიული ორგანიზაციების ინტერესთა დაცვაა. სწორედ მათ 1995 წელს მიიღეს ე.წ. „კოოპერატივების იდენტობის განაცხადი“, რომელშიც ჩამოყალიბებულია კოოპერატიული პრინციპების განსაზღვრება და განმარტებები, რასაც შეუერთდა მსოფლიოს მრავალი ქვეყანა.

საქართველოში წინა საუკუნის 90-იან წლებში საკმაოდ ქაოტურად და არაგეგმაზომიერად წარმოებულმა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმამ წარმოშვა 800000-მდე მცირე გლეხური მეურნეობა, რომელიც ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე თავისი ეკონომიკური ბაზის სიმწირიდან, დაბალი მსყვიდველობითი და კრედიტუნარიანობიდან გამომდინარე მსხვილ ბიზნეს ოპერატორებთან შედარებით მეტად არათანაბარ პირობებში იდგა. სწორედ ამიტომ ამ მეურნეობათა უდიდესი უმრავლესობა დღესაც ნატურალურ, არაკომერციულ მეურნეობას მისდევს. ქვეყნის სიღარიბის ზღვარზე და მის ქვემოთ მდგარი მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობა კი სწორედ რომ ამ გლეხური მეურნეობებით არის წარმოდგენილი (საოჯახო მეურნეობების საშუალო ზომა საქართველოში 0.96 ჰა-ია).

თავისუფალი საბაზრო ეკონომიკის პირობებში დარგის სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის საწყისებზე დაფუძნებული ორგანიზაციული მოწყობა წარმოადგენს ყველაზე სიცოცხლისუნარიან სისტემას. საქართველოს კი ძლიერი პოტენციალი გააჩნია სოფლის მეურნეობის სფეროში. შეფასების თანახმად, ფერმერულ და სასოფლო-სამრეწველო ინდუსტრიის პროდუქციის გაზრდა 5-ჯერ არის შესაძლებელი არსებულ მაჩვენებლთან შედარებით. საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროს წარუმატებლობა მოდერნიზაციის კუთხით, ერთ-ერთი ძირეული მიზეზია ქვეყნის მასშტაბით არსებული სიღარიბისა. საქართველოს მთავრობა და საერთაშორისო ორგანიზაციები მხარს უჭერენ კოოპერატივების საქმიანობას და სხვადასხვა ღონისძიებებსა და პროგრამით ცდილობენ მათი სიმძლავრეების განვითარებას. საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების შესახებ“, რომლის თანახმადაც შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, რომლის მიზანია კოოპერატივების სიმძლავრეების განვითარება, სოფლის მეურნეობის აღორძინება, სასოფლო-სამეურნეო წარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება და ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება.

არსებობს ძალიან ბევრი საკითხი, რომელიც უარყოფითად ზემოქმედებს სოფლის მეურნეობის სფეროს პროდუქტიულობაზე. ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა მცირე ფერმერების შეზღუდული კომერციალიზაცია და კონკურენტუნარიანობაა. ეს მოითხოვს ფერმერების ჩართულობის ზრდას სხვადასხვა ბაზრებზე. მცირე მეწარმეებს დამოუკიდებლად მოქმედების ძალა და შესაძლებლობა აქვთ ბაზრებზე წარმატების მისაღწევად. ფერმერული კოოპერატივები მცირე ფერმერების პროდუქტიულობის და კომერციალიზაციის ზრდისთვის შესაბამისი ფორმატია, რადგანაც კოოპერაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან გადაწყვეტას მცირე მეწარმეებისთვის ეკონომიკის მასშტაბების და სხვადასხვა ბაზრებზე მოლაპარაკების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად. საქართველოში ძალიან ცოტა ფერმერული ორგანიზაციაა. ფერმერების უმრავლესობას არ აქვს შესაძლებლობა მიიღოს სარგებელი ეკონომიკის მასშტაბებიდან გამომდინარე და ვერც კონკურენტობას უწყევს იმპორტის მომწოდებლებს. საქართველოში სურსათის წარმოების ზრდისთვისა და სოფლად სიღარიბის შესამცირებლად აუცილებელია მცირე ფერმერებს შორის კოოპერაციის გაძლიერება.

ამასთან დაკავშირებით ქვეყანაში შეიქმნა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სადაც დღევანდელი მდგომარეობით დარეგისტრირებულია 1071 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი, მათი წევრების რაოდენობა კი 12 000 ადამიანს აღემატება. დარეგისტრირებული კოოპერატივების გადანაწილება რეგიონების მიხედვით შემდეგია: კახეთი-125; ქვემო ქართლი-104; მცხეთა-მთიანეთი-54; შიდა ქართლი-76; სამეგრელო-ზემო სვანეთი-96; გურია-40; აჭარა-80; სამცხე-ჯავახეთი-214; იმერეთი-129; რაჭა-ლეჩხუმი-95; თბილისი-58. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო აქტიურადაა ჩართული სამართლებრივ და მარეგულირებელ სამუშაოებში, ცნობიერების ამაღლებაში. ის ასევე ხელს უწყობს რეგისტრირებულ პირველი დონის კოოპერატივებს, რათა ისინი მეორე დონის კოოპერატივებად ჩამოყალიბდნენ, რომლებიც ბაზარზე საკუთარ პროდუქციას წარადგენენ. სააგენტო დარეგისტრირებულ კოოპერატივებს ასევე აკავშირებს სამინისტროს მიერ შემუშავებულ ან

გარე მხარდაჭერის მექანიზმებთან, რომლებიც კოოპერაციის განვითარების პოლიტიკის ღონისძიებებს ეხება. კოოპერატივების განვითარების პროცესი სრულიად ახალი მცდელობაა საქართველოში. მისი მცირე მასშტაბებიდან გამომდინარე, კიდევ ბევრია გასაკეთებელი სოფლებში თემების ცნობიერების ამაღლების კუთხით, აღნიშნული სახის წარმოების უპირატესობების შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოლუაშვილი კ. საქართველოს აგრარული განვითარების ძირითადი პრიორიტეტები, თბ., 2003.
2. დადიანი ლ. „სოციალური ინოვაციები სოფლის მეურნეობაში. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივები ევროკავშირსა და დანარჩენ მსოფლიოში: ორიენტირები საქართველოსთვის”, თბ, 2014 .
3. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, პროექტი სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის: <http://enpard.ge/ge/.pdf>
4. Schrader, 1989.
5. Abele & Frohberg, 2003
6. www.geostat.ge

ნათელა კაკაურიძე - საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

კოოპერატივების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში

რეზიუმე

ნაშრომში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობაში კოოპერაციის განვითარების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს დარგის კონკურენტუნარიანობის ზრდას და ფერმერებისათვის რესურსების ეფექტიანად გამოყენებას. კოოპერატივის განვითარება გააუმჯობესებს ფერმერების ჩართულობას ეკონომიკურ საქმიანობაში. სახელმწიფო და საერთაშორისო ორგანიზაციები აქტიურად ახორციელებენ სხვადასხვა პროექტებს კოოპერატივების, სამიზნე ჯგუფებისა და საზოგადოებას შორის. კოოპერატივი მნიშვნელოვან როლს შეასრულებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სფეროში პროდუქტიულობის ზრდისა და ქვეყანაში არსებული სიღარიბის დაძლევაში, ვინაიდან კოოპერაცია წარმოადგენს მნიშვნელოვან გადაწყვეტას მცირე მეწარმეებისთვის ეკონომიკის მასშტაბების და სხვადასხვა ბაზრებზე მოლაპარაკების შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.

НАТЕЛА КАКАУРИДЗЕ, академик Академии наук туризма Грузии

РОЛЬ КООПЕРАТИВОВ В РАЗВИТИИ АГРАРНОГО СЕКТОРА

Резюме

В работе отмечено, что в сельском хозяйстве поддержка развития кооперации будет способствовать росту конкурентоспособности отрасли и эффективному использованию ресурсов фермеров. Развитие кооператива улучшит участие фермеров в экономической деятельности. Государство и международные организации активно осуществляют различные проекты среди кооперативов, целевых групп и обществности. Кооперативы осуществят важную роль в сфере сельского хозяйства Грузии в деле повышения продуктивности и преодоления существующей в стране бедности, так как кооперация представляет

собой важное решение для мелких фермеров в масштабе экономики и на различных рынках для улучшения возможностей договора.

NATELA KAKAURIDZE, Academician of the Georgian Academy
of Sciences of Tourism

THE ROLE OF COOPERATIVES IN THE DEVELOPMENT OF THE AGRICULTURAL SECTOR

Summary

The paper notes that in agriculture, support for the development of cooperation will contribute to the growth of competitiveness of the industry and the efficient use of farmers' resources. The development of a cooperative will improve the participation of farmers in economic activity. The state and international organizations are actively implementing various projects among cooperatives, target groups and the public. The cooperatives will play an important role in the Georgian agricultural sector in improving productivity and overcoming the country's poverty, as cooperation is an important solution for small farmers on an economic scale and in various markets to improve the possibilities of the contract.

ბაკაურიძე მარინა, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსი

აგრარულ სექტორში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

სოფლის მეურნეობა ეკონომიკის ძალიან მნიშვნელოვანი დარგია. ის ახდენს მოსახლეობის სურსათით და მრეწველობის ნედლეულით უზრუნველყოფას. სოფლის მეურნეობის განვითარება სხვადასხვა ფაქტორებზეა დამოკიდებული, მაგრამ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი მაინც ბუნებრივი პირობებია (რელიეფი, ნიადაგები, კლიმატი, მიწის ზედა წყლები, მცენარეთა და ცხოველთა სამყარო).

საქართველო სუსტი ეკონომიკის მქონე განვითარებადი ქვეყანაა 3 723,5 მილიონი მოსახლეობით. აქედან ქალაქად ცხოვრობს 57,2%, სოფლად კი 42,8%. საქართველოს ტერიტორიაა 69 700 კვადრატული კილომეტრი ანუ 7 მილიონი ჰექტარი. იგი მეტად მრავალფეროვანია თავისი მდიდარი ბუნებით, ფიზიკურ-ფეოგრაფიული, ნიადაგობრივი და კლიმატური თავისებურებებით. ქვეყნის ტერიტორიის 1/2 ტყითაა დაფარული. სოფლის მეურნეობის სავარგულებისათვის გამოსადეგი მთელი სახნავი ფართობის მხოლოდ 40%-მდეა ათვისებული, რაც საკმაოდ დაბალია და თითოეულ მოსახლეზე 0,16 ჰექტარს შეადგენს.

1992 წლიდან საქართველომ მოიპოვა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და დაიწყო საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. დღეისათვის კი შესაძლოა ითქვას, რომ სოციალისტური აგრარული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის ძირითადი ეტაპი დასრულებულია. მთლიანად შეიცვალა აგრარული სტრუქტურა, დამთავრდა სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა პრივატიზაციის პროცესი, ჩამოყალიბდა საადგილმამულო ურთიერთობათა ახალი სისტემა. სოფლის მეურნეობამ, როგორც ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთმა ძირითადმა დარგმა დაიწყო ფუნქციონირება სრულიად ახალ, საბაზრო ეკონომიკურ გარემოში და შეიძინა საბაზრო ეკონომიკისათვის დამახასიათებელი სპეციფიკა და ნიშნები.

ცვლილებები მოხდა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განლაგებასა და სპეციალიზაციაში, ფორმირებულია სასურსათო ბაზარი, ხელახლა დაიწყო დარგში ინტეგრაციის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი, აგროსექტორში ვითარდება მეწარმეობა და აგრობიზნესი. შეიქმნა სასურსათო ბაზარი, ხელახლა დაიწყო დარგში ინტეგრაციის, სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის პროცესი, აგროსექტორში ვითარდებოდა მეწარმეობა და აგრობიზნესი. შეიქმნა სასურველი პირობები საკუთრების მეურნეობრიობის სხვადასხვა ფორმის სასოფლო-სამეურნეო საწარმოთა თანაბარუფლებიანი ფუნქციონირებისათვის.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში გატარებული რეფორმების მიუხედავად ის ჯერ კიდევ კრიზისულ მდგომარეობაშია და ნელი ტემპით ვითარდება. მცირე ზომის ფერმერი ვერ უზრუნველყოფს სასოფლო-სამეურნეო წარმოების მაღალეფექტიანობას, მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით საქართველოს სოფლის მეურნეობაში სამუშაო ძალის 54%-ია დაკავებული. აგრარული სექტორის ტექნოლოგიურ ჩამორჩენილობის პირობებში უაღრესად დაბალია შრომის მწარმოებლურობა და სხვა მაჩვენებლები, რაც საბოლოო ჯამში ამ სექტორის პროდუქციის დაბალკონკურენტუნარიანობაში აისახება. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ქვეყანამ დაკარგა სტაბილური ბაზრების ძირითადი ნაწილი, რომლებიც მუდმივად მოიხმარდნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციას. მკვეთრად შემცირდა ექსპორტზე ორიენტირებული ჩაის ფოთლის, ყურძნის, მარცვლეულის, ხორცისა და კვერცხის წარმოება, ასევე მნიშვნელოვნად არის შემცირებული პროდუქციის წარმოება, როგორც სოფლის მეურნეობაში, ასევე მრეწველობაში, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს მთლიანად ქვეყნის ეკონომიკას. შექმნილი მდგომარეობიდან გამოსასვლელად საჭიროა ისეთი მექანიზმების შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს კრიზისიდან თავის დაღწევას. ქვეყანაში ეროვნული ეკონომიკის დაახლოებით 17% პირდაპირაა დამოკიდებული სოფლის მეურნეობის სექტორზე, საშუალო მოსავლიანობა პოტენციურის მხოლოდ 1/3 არ გამოიყენება წარმოებაში. სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტი 2018 წლის მონაცემებით 34%-ით სჭარბობს ექსპორტს.

ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფას საკვები პროდუქტებით, როგორც ვიცით, საბოლოო ჯამში სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა განსაზღვრავს. პროდუქციის წარმოება ადამიანის მიზანდასახული საქმიანობაა. ეს უკანასკნელი კი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ამა თუ იმ ქვეყნის საერთო ეკონომიკურ განვითარებაზე, მომსახურებისა და სარეალიზაციო ქსელის სწორ ორგანიზაციასა და სხვა ფაქტორებზე. კრიზისის სოფლის მეურნეობაში და მისი წარმოების ვარდნა მძიმე დარტყმას აყენებს მთელს ეკონომიკას, ვინაიდან ამას ბუნებრივი რესურსების დანაკარგებამდე მივყავართ და ამ დანაკარგების ანაზრაურება ქვეყანას სურსათის იმპორტით უხდება. ამიტომ ენიჭება დიდი მნიშვნელობა საქართველოს აგრარული სექტორის განვითარების პრობლემების გამოვლენას და პერსპექტივების დასახვას.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში უმეტეს შემთხვევაში არ იწარმოება პროდუქცია იმ რაოდენობით, რომ სოფლის მოსახლეობამ დაიკმაყოფილოს აუცილებელი მოთხოვნები. მეტად სავალალო მდგომარეობა შეიქმნა სასურსათო პროდუქტებით მომარაგების საქმეში. ყველაზე დიდ პრობლემას წარმოადგენს ის, რომ მოხდა გლეხების გაუცხოება მიწასთან. გამოსავალი კი ისევ და ისევ არის, რომ უნდა განვითარდეს სოფლის მეურნეობა და დაინერგოს ახალი ტექნოლოგიები. გასული საუკუნის 90-იან წლებში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ნათესი ფართობების შემცირების ტენდენცია დღესაც გრძელდება და ოფიციალური მონაცემებით 2016 წელს დამუშავებული ფართობების მოცულობა შემცირებულია 2,9-ჯერ.

საქართველოს სოფლის მეურნეობა უკიდურესად არაეფექტურია, რადგან შედეგები არ შეესაბამება დასაქმების მოცულობას, სოფლის მეურნეობის მოსავლიანობა უკიდურესად დაბალია. მაგალითად, ხორბლის მოსავლიანობა ბოლო მონაცემებით გაზრდილია 1,4 ტონიდან 2,6 ტონამდე, მაგრამ ეს მაინც არ არის საკმარისი. ძალიან დაბალია კარტოფილის მოსავლიანობა, რომელიც მხოლოდ 12,3 ტონაა, ასევე დაბალია ბოსტნეულის მოსავლიანობა - 8,2 ტონა. რაც შეეხება მეცხოველეობის დარგის პროდუქტიულობის მაჩვენებელს, დაბალია მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მერძეული პროდუქტიულობა და

იგი ბოლო პერიოდში უმნიშვნელოდ არის გაზრდილი, საშუალო წლიურად 1364 ლიტრიდან 1421 ლიტრს შეადგენს. პირუტყვის პროდუქტიულობის დაბალი მაჩვენებელი ნათლად მიუთითებს მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების გამოუყენებელ რეზერვებზე, რომლის სამომავლოდ ათვისება სოფლის მეურნეობის ეფექტიანობის ზრდის მნიშვნელოვანი რეზერვაა.

ამჟამად საქართველოში სოფლის მეურნეობაში დასაქმებულია ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის 54%-ზე მეტი. ბოლო ორი ათეული წლის განმავლობაში ეს მონაცემები პრაქტიკულად უცვლელი რჩება. თუმცა მცირდება სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოცულობა და მისი წილი მთლიან შიდა პროდუქტში. თუ გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წილი მთლიან შიდა პროდუქტში 33%-ზე მეტს შეადგენდა, ამჟამად იგი 9%-ს არ აღემატება და შიდა ბაზრის მოთხოვნის მხოლოდ 14%-ს უზრუნველყოფს. ამის ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ მიწის ეკონომიკური ნაყოფიერების არასრულად გამოყენების შედეგად ვერ ხდება მიწაზე კერძო საკუთრების პოტენციურ შესაძლებლობათა რეალიზაცია, რის შედეგადაც პროდუქციის წარმოება მცირდება.

სპეციალისტების გაანგარიშებით, მიწის ეფექტიანობის შესაძლებლობანი საქართველოში მესამედიც არ არის დღეს გამოყენებული. ეს კი ცხადია აგრარული სექტორის განვითარებას აფერხებს სერიოზულად. საქართველოში აგრარული სექტორი მრავალი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დგას. პროდუქტიულობა ძალზე დაბალია, ქვეყანაში სიღარიბის ხანგძლივი მაღალი დონის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზია საქართველოს სოფლის მეურნეობის მოდერნიზების კრახი. სავარგულების საერთო რაოდენობა 42%-ით შემცირდა. წლების მანძილზე კი მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობის ხვედრითი წილის თითქმის უცვლელი მდგომარეობა (დაახლოებით 8-9%) რამდენიმე მიზეზითაა გამოწვეული. ამ მიზეზებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს:

- მიწების დანაწევრება, დაქუცმაცება;

- სექტორისათვის საჭირო ცოდნისა და გამოცდილების გაზიარება, ტექნოლოგიების გადაცემის ნაკლებობა;

- სოფლის მეურნეობის პროდუქციის მაღალი ღირებულება და ძვირი ფინანსური რესურსები;

- თანამედროვე მექანიზაციის მომსახურების ნაკლებობა;

- ბაზრებზე ნაკლები ხელმისაწვდომობა და ზოგადად დეგრადირებული სასოფლო ინფრასტრუქტურა.

ქვეყანას, რომელსაც აქვს მსხვილი სოფლის მეურნეობის სექტორი, კლიმატური პირობებით განპირობებული აშკარა შედარებითი უპირატესობა სოფლის მეურნეობაში, თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებით მინიჭებული წვდომა მსოფლიოს ბაზრებზე, უნდა შეეძლოს სურსათის ექსპორტის გაზრდა, მაგრამ დაბალი მოსავლიანობისა და დაუმუშავებელი ტერიტორიების გამო ქვეყანა მეტწილად იმპორტზეა დამოკიდებული. სექტორის წინაშე დგას ასევე რამდენიმე ძირითად პრობლემა:

- ინვესტიციების სიმცირე, კრედიტებზე შეზღუდული მისაწვდომობა (სექტორზე მთელი სესხების მხოლოდ 1% მოდის);

- სოფლის მეურნეობაში სათანადო კვლევითი, საგანმანათლებლო და სასწავლო სისტემის ნაკლებობა;

- საირიგაციო სისტემების და სხვა ინფრასტრუქტურის სავალალო მდგომარეობა.

საქართველოში კი სურსათის ექსპორტის ზრდის სამი ძირითადი მიმართულება არსებობს:

- ხარისხის გაუმჯობესება და არსებული საექსპორტო საქონლის თხილის, სასმელების (ღვინო, წვენები, მინერალური წყლები) ჩირისა და ტრადიციული ქართული პროდუქტების (ჩურჩხელის, სულგუნის და მაწვნის) რაოდენობის გაზრდა;

- ამ ეტაპზე ძირითადად არამოთხოვნად ბაზრებზე ექსპორტირებული პროდუქციის გაუმჯობესება, რათა შესაძლებელი გახდეს ახალ მოთხოვნად ბაზრებზე გასვლა;

- ახალი საქონლის, განსაკუთრებით სერთიფიცირებული, ორგანული და მაღალი დამატებული ღირებულების ნიმუშების პროდუქ-

ციის წარმოება, როგორცაა ახალი და გაყინული კენკროვანები (მოცვი, მაცვალი, ყოლო), მაღალი ღირებულების მატარებელი ახალი და გადამუშევებული ხილი (კივი, ფეიხოა) და სამკურნალო მცენარეები.

საქართველო დიდი საექსპორტო პოტენციალისა, კვლავ დამოკიდებულია სასოფლო-სამეურნეო საქონლის იმპორტზე, რის შედეგად ქვეყანაში კვების პროდუქტების თვით დაკმაყოფილების მაჩვენებელი ძალზე დაბალია. 1974 წელს გაეროს გენერალური ანსაზღვის მიერ მიღებული რეზოლუციის თანახმად კვების უსაფრთხოების მინიმალური დონე 80-85%-ს შეადგენს. ქვეყანა კვების უსაფრთხოების რისკის ქვეშაა, თუ ადგილობრივ დონეზე მოხმარებული საკვები პროდუქციის 15-20%-ზე მეტი იმპორტირებულია.

ორი მთავარი ფაქტორი, რომლებიც დღეისათვის ასევე ზღუდავს საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ექსპორტის ზრდის შესაძლებლობებს, არის:

- ნედლეულის დეფიციტი;
- საექსპორტო ჯაჭვის ცუდი ორგანიზება ფერმერებისაგან საექსპორტო ტვირთების მიწოდებამდე.

იმისათვის, რომ მეტი პროდუქცია გავიტანოთ ექსპორტზე უნდა შევძლოთ მეტი საქონლის წარმოება. არსებობს გადამამუშაველი ქარხნები, მაგრამ სამწუხაროდ არ გვაქვს საკმარისი საკუთარი ნედლეული, რათა სრულად ავითვისოთ საკუთარი პოტენციალი. ხოლო პირველადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დეფიციტს განაპირობებს: საკუთრებაში არსებული მიწების დანაწევრება, ძველი ვენახებისა და პლანტაციების (მანდარინი, ჩაი) დეგრადაცია. ბაღების უმეტესობა 50-იან წლებშია გაშენებული. რაც შეეხება თხილთან, ატამთან, ვაშლსა და სხვა ხილთან დაკავშირებული მდგომარეობას, იგი შედარებით უკეთესია, თუმცა სახეზე გვაქვს იაფფასიანი სანერგე მასალის გამოყენება, რაც იწვევს მოსახლეობის შემცირებას და მავნებლებისა და მცენარეთა დაავადებებისადმი დაუცველობას. დღეისათვის სუნიანი ბალინჯო (ფაროსანა) წარმოადგენს საფრთხეს საქართველოში თხილისა და ციტრუსის წარმოების, რაც არის ევრობაზარზე ექსპორტის საყრდენი.

საქართველოს სოფლის მეურნეობაში აგრეთვე სახეზე გვაქვს ფერმერთა ცოდნის სიმცირე. ფერმერთა უმნიშვნელო ნაწილს აქვს გავლილი ტრენინგები მოსავლის წარმოებასა და ფერმის მართვაში. ზოგიერთს განათლება საბჭოთა პერიოდში აქვს მიღებული, რომელიც ეფუძნებოდა ფერმისა და წარმოების იმ წყობას, რომელიც დღეისათვის აღარ არსებობს. ამასთან ქვეყანაში მწირია საგანმანათლებლო სისტემის დაფინანსება და ვერ ხდება ფერმერებისათვის იმ ინფორმაციის მიწოდება, რომელიც საჭიროა სურსათის ღირებულებათა ჯაჭვში კონკურენტულობისათვის.

ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ფერმერულ მეურნეობაში საექსპორტო ჯაჭვის ცუდი ორგანიზება, რაც ართულებს და ხარჯიანს ხდის საექსპორტო ტვირთებს. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მცირე მოცულობებიც კი არ არის ჯეროვნად მომზადებული, რათა დააკმაყოფილოს ექსპორტის სტანდარტები. სოფლად გაბატონებული არაფორმარული ურთიერთობების გამო სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის დამახარისხებელი საწარმოების მფლობელები უარს ვერ ამბობენ დაბალი ხარისხის და ცუდად დაფასოებული მოსავლის მიღებაზე. შესაბამისად ექსპორტის მცირე მოცულობის გამო, საქართველოს ექსპორტიორების უმრავლესობა მოკლებულია ახალ ბაზრებზე შესვლისათვის საჭირო რესურსებს, რის გამოც ქართული სურსათის ექსპორტი დიდ წილად შემოიფარგლება რუსეთისა და დსთ-ის ქვეყნების ნაკლებად მოთხოვნადი, დაბალი ფასებისა და კლებადი ბაზრებით.

დღეისათვის სოფლის მეურნეობაში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები არის ძალიან მცირე და ის შეადგენს 0.8%-ს, რაც ძირითადად ხორციელდება თხილის წარმოების, ღვინის დამზადების, წყლის ჩამოსხმისა და სხვა სფეროებში. სოფლის მეურნეობის სექტორი ნაკლებ მიმზიდველი იყო საბანკო სექტორისათვის, მაგრამ ეს მდგომარეობა შედარებით გამოსწორდა და სოფლის მეურნეობის სექტორზე გაცემული კრედიტების წილმა მთლიან საკრედიტო სტრუქტურაში 4,0% შეადგინა.

ქვეყანაში ზოგადად სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდა ძირითადად ექსტენსიური გზით, მაღალი რისკის პირობებში ხორციელდება, ხოლო რაც შეეხება მელიორაციას, ქიმიზაციას და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინტენსიფიკაციის სხვა ფაქტორებს, ისინი ჯერ-ჯერობით მხოლოდ მინიმალური დონით გამოიყენება, ამიტომ არის, რომ მარცვლეულის, კარტოფილის, ბოსტნეულის და სხვ სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობა ქვეყანაში დაბალია. მიწის პრივატიზაციის მიუხედავად საწარმოო ინფრასტრუქტურის მოუგვარებლობამ სოფლად უკუპროცესი გამოიწვია. ბოლო პერიოდში ინტენსიურად დაიწყო სოფლის მოსახლეობის ქალაქში გადინება, რაც თავისთავად უარყოფითად აისახა ქვეყნის სოფლის მეურნეობის განვითარებაზე.

აუციელებელია გატარდეს რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ამ პროცესის მეტ-ნაკლებად შეჩერებას. უმთავრესი ფაქტორი, რაც ხელს შეუწყობს აგრარულ სექტორში არსებული კრიზისის დაძლევას ისაა, რომ სწორად განხორციელდეს დარგში რეფორმები, მიზნობრივად დაიხარჯოს სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი ფინანსები. მიზნობრივი ბიუჯეტური დაფინანსებები სოფლის მეურნეობაში უმჯობესი იქნება პირველ რიგში გამოყენებული იქნას ნიადაგის პროდუქტიულობის ასამაღლებლად, მელიორაციისათვის, ინფრასტრუქტურისათვის, ასევე აუციელებელია წარმოებულ იქნას მაღალკონკურენტული საქონელი. ზემოთ აღნიშნული რეფორმების გატარება ხელს შეუწყობს ამ სექტორის გამოცოცხლებას, შრომის მწარმოებლურობის ამაღლებას, მოსახლეობის შემოსავლების ზრდას და ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფას.

2014 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭომ მოიწონა ევროკომისიის მიერ შემუშავებული „ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სტრატეგია“, რომლის საფუძველზეც მოხდა საქართველოს ჩართვა „ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში“. შემუშავდა ხუთწლიანი გეგმა, რომლის განხორციელებაც მნიშვნელოვნად დაეხმარა საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის საქმეში. 2014 წლის 27 ივნისს საქართველოში ხელი მოეწერა ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას,

რომელიც მოიცავს თავისუფალ სავაჭრო სივრცეს და საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქტებს გზას უხსნის ევროკავშირის ბაზრისკენ. შეტანხმების შედეგად საბაჟო ტარიფები მოეხსნება საქართველოდან ექსპორტირებულ ყველა პროდუქციას. იგი ითვალისწინებს სამი ტიპის გამონაკლისს:

1. თავისუფალი ვაჭრობა სატარიფო განაკვეთების კვლევების ფარგლებში. ამ კატეგორიაში შედის ერთადერთი პროდუქტი - ნიორი;

2. პროდუქტები, რომლებზეც ჯერ არ ვრცელდება შეტანის ფასი, მაგრამ რომელთა იმპორტის გადასახადის (ღირებულების შესაბამისი) კომპონენტი გაუქმებულია, რაც იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული გადასახადის ოდენობა არ იქნება დამოკიდებული ექსპორტირებული საქონლის მოცულობაზე, არამედ დადგინდება შეტანის ფასი. საქართველოს ექსპორტიორებისათვის საინტერესოა ამ კუთხით: პომიდორი, კიტრი, ტკბილი ფორთოხალი, ვაშლი, მსხალი;

3. პროდუქტები, რომლებზეც ვრცელდება გაყალბების საწინააღმდეგო მექანიზმი: ღორის, საქონლის და ცხვრის ხორცი, ფრინველის ხორცი, რძის პროდუქტები, კვერცხი, ბურღულეული, შაქარი, სოკო, ალაო, ქატო, ტკბილი სიმინდი და სხვა.

იმისათვის, რომ საქართველოში წარმოებული საქონელი საბაჟო ტარიფების გარეშე შევიდეს ევროკავშირის ბაზარზე, მან უნდა დააკმაყოფილოს საქონლის წარმოშობასთან დაკავშირებული პირობები. ამიტომ საჭიროა საქონლის პრეფერენციული წარმოშობის სერთიფიკატის აღება, რომელიც გაიცემა შემოსავლების სამსახურის მიერ. წარმოშობის სერთიფიკატი ძალაში იქნება ექსპორტიორ ქვეყანაში მისი გაცემის დღიდან 4 თვის განმავლობაში. საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროდირექტივებთან უნდა განხორციელდეს ეტაპობრივად და დასრულდეს 2030 წელს.

საქართველოში სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის, როგორც საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, აუცილებელია ერთობლივი მოქმედება, რათა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს მცირე მეურნეობათა მხარდაჭერა. ამ მიზნით საჭიროა, რომ 2020 წლისათვის ბიუჯეტის სახელმწიფო ხარკებში 105%-ით გაიზარდოს სოფ-

ლის მეურნეობის სამინისტროს ბიუჯეტი. განვითარდეს ინფრასტრუქტურა სოფლად და ფართოდ დაინერგოს უფასო სასოფლო-სამეურნეო სწავლების სამსახურები, გაძლიერდეს ეკონომიკური რეგულაციები და დაინერგოს პროგრამები, რომლებიც წახალისებენ სუპერმარკეტებსა და ქალაქების საცალო სავაჭრო ქსელის ობიექტებს, რომ მეტი საქონელი შეიძინონ ადგილობრივი მცირე მეურნეობებიდან, მათ შორის კოოპერატივებიდან, მოხდეს ინსტიტუციური და ფინანსური მხარდაჭერა, რისთვისაც აუცილებელია:

- ხელი შევუწყოთ მცირე მეურნეობებს დაარეგისტრირონ მიწა საკუთრებაში, რათა გამოიყენონ საკუთრების უფლება ბანკიდან არებული სესხების უზრუნველყოფის მიზნით;

- მთავრობის მიერ დაფინანსებული შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროექტი გარდაიქმნას სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო ბანკად, რომლის კრედიტები ხელმისაწვდომი იქნება ნებისიერი ზომის ფერმერისათვის და კოოპერატივისათვის;

- გაგრძელდეს აგრო-დაზღვევის პროგრამის დახვეწა, რომელიც საბოლოო ჯამში უნდა ჩამოყალიბდეს სახელმწიფო ან ორმხრივ მფლობელობაში არსებულ ეროვნულ სააგენტოდ;

- სახელმწიფო შესყიდვების დროს პრიორიტეტი მიენიჭოს მცირე მეურნეობებს.

არსებულმა ანალიზმა თვალნათლივ დაგვანახა, რომ აუცილებელია საქართველოში შევინარჩუნოთ არსებული პოზიტიური ტენდენციები, როგორცაა სოფლის მეურნეობის ექსპორტის ზრდა, სახელმწიფოს მხრიდან მხარდაჭერა და სოფლის მეწარმეთა წახალისება, აგროტურიზმისა და ღვინის სექტორის განვითარება, რომლის დიდი პოტენციალის პროგრესი ბოლო ათწლეულის განმავლობაში თანდათან შესამჩნევი ხდება.

გამოყენებული ლიტერატურა

1. კოლუაშვილი, საქართველოს სოფლის მეურნეობა, თბ., 2010.
2. ბურკაძე ვ. საქართველოს აგრარულ სექტორის კრიზისიდან გამოყვანის ზოგიერთი ღონისძიებების შესახებ. საქ. მეცნიერებათა აკადემიის შრომების კრებული 2. თბ. 2001.
3. საქართველოს სოფლის მეურნეობა. სტატისტიკური პუბლიკაცია 2017 თბ. 2018.
4. ყოველთვიური საერთაშორისო რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „ეკონომიკა“. თბ. 2019
5.
<http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000495/giglas%20disertacia%20bolo.pdf>
6. <http://www.nplg.gov.ge/dlibrary/collect/0002/000162/disertacia.pdf>
<http://acda.gov.ge/index.php/geo/static/118>

ბაპაურიძე მარინა, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

აგრარულ სექტორში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საქართველოს აგრარულ სექტორში არსებული პრობლემები და დასახულია მათი გადაჭრის გზები. აგრარულმა სექტორმა უნდა უზრუნველყოს თავისი უპირველესი ამოცანა - ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოება, საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაფართოება და საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრება. გრძელვადიან პერსპექტივაში, ნათლად იკვეთება ის უმნიშვნელოვანესი ამოცანები, რომელიც საქართველოს აგროსასურსათო სექტორმა უნდა გადაჭრას ქვეყნის სასურსათო უზრუნველყოფის მისაღწევად: პირველ რიგში, აწარმოოს კონკურენტუნარიანი საექსპორტო პროდუქცია, რომელიც ხელს შეუწყობს ქვეყნის საერთაშორისო ბაზარზე დამკვიდრებას და საექსპორტო შემოსავლების ზრდას.

МАРИНА КАКАУРИДЗЕ, академик Академии наук туризма Грузии

ПРОБЛЕМЫ, СУЩЕСТВУЮЩИЕ В АГРАРНОМ СЕКТОРЕ, И ПУТИ ИХ ПРЕОДОЛЕНИЯ

Резюме

В работе рассмотрены существующие в аграрном секторе Грузии проблемы и намечены пути их преодоления. Аграрный сектор должен обеспечить свою первейшую задачу – безопасность продуктов страны, расширение производства экспортной продукции и занять свое место на международном рынке. В долгосрочной перспективе ясно выделены те важнейшие задачи, которые должен решить агропродуктовый сектор Грузии для достижения обеспеченности продуктами: в первую очередь производить конкурентоспособную экспортную продукцию, которая будет способствовать занятию своего места на международном рынке и росту экспортных доходов.

MARINA KAKAURIDZE, Academician of the Georgian Academy of
Sciences of Tourism

**PROBLEMS EXISTING IN THE AGRICULTURAL SECTOR AND
WAYS TO OVERCOME THEM**

Summary

The paper considers the problems existing in the agrarian sector of Georgia and outlines ways to overcome them. The agricultural sector should ensure its primary task - the safety of the country's products, the expansion of export production and take its place in the international market. In the long run, the most important tasks that the Georgian agri-food sector must achieve in order to ensure food security are clearly identified: first of all, produce competitive export products that will help to take its place in the international market and increase export earnings.

პაპაპურიძე ნათელა, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

ორგანიზაციული ცვლილებების მართვა თანამედროვე ფირმაში

თანამედროვე ფირმაში ორგანიზაციული ცვლილებების მართვის პროცესი მოითხოვს მენეჯერისაგან პირობების შექმნის უნარს ადამიანების აქტიურობის, ინიციატივის, შემოქმედების გამოვლენისათვის, მათი აქტიური მოტივაციის განვითარებისათვის. მცდარი იქნება ჩავთვალოთ, რომ გუნდის ლიდერი აქტიურად უნდა ჩაერიოს ყველა მიმდინარე პროცესში. ეს ყოველთვის არ იქნება ქვეყნის საუკეთესო ხაზი. ჯგუფის დინამიკის გაგება და მიმდინარე სიტუაციის ხედვის უნარს შეუძლია დაეხმაროს ხელმძღვანელს გადაწყვეტოს, როდის არის აუცილებელი მცირე ჩარევა პროცესებში, რომელსაც არაფერი საერთო არ გააჩნია მოვლენების საჭირო მსვლელობის თავზე მოხვევასთან.

ხელმძღვანელის ან ლიდერის ჯგუფის სხვა წევრებთან ურთიერთობის პირადი სტილის თავისებურებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბრძანების პროცესებზე. განვიხილოთ რიგი მახასიათებლები, რომლებსაც პირობითად შეიძლება უწოდოთ როგორც „ლიდერის ტიპი“. ლიდერის ტიპის ქვეშ გულისხმობენ მახასიათებელ თავისებურებებს, რომლებიც განსაზღვრავენ ლიდერის ხელქვეითებთან ურთიერთობების მთელ სისტემას. დასავლეთ მკვლევარებს (ს. მანე და გ. სიმე) ეკუთვნით ლიდერობის ერთერთი ახალი ტიპოლოგია. ავტორების აზრით, „უფრო ადეკვატური არის ის ლიდერი, რომელსაც შეუძლია მართოს სხვები ისეთი მიმართულებით, რომ მათმა მართოს თავისი თავი“. ლიდერობას ჯგუფში გააჩნია „რესურსული“ ხასიათი – ის დროის განმავლობაში გადადის სხვადასხვა ადამიანებთან გარემოებებიდან გამომდინარე. ჯგუფის სხვადასხვა წევრები თავისი ცოდნის და გამოცდილების გამო დროის სხვადასხვა პერიოდებში გამოდიან „რესურსების“ როლში ჯგუფისათვის. ისინი თამაშობენ ლიდერის

როლს მანამ, სანამ ისინი ამ როლში სასარგებლო არიან ამ ჯგუფისათვის, ხოლო ხელმძღვანელის როლი იქამდე დაიყვანება, რომ შექმნას ამისათვის საჭირო პირობები.

ლიდერობის თანამედროვე კონცეფცია ხაზს უსვამს ისეთ მის ფასეულობას, როგორცაა ხელქვეითებში თვითხელმძღვანელობის უნარის ამაღლება.

ძირითადი მიდგომები ლიდერობის თეორიის შესწავლისათვის:

1. თვისებების თეორია
2. ქცევითი მიდგომა
3. სიტუაციური მიდგომა
4. ადაპტაციური მიდგომის თეორია

თვისებების თეორია ან მიდგომა პირადული თვისებების პოზიციიდან – ამ თეორიის შესაბამისად ლიდერი შეიძლება იყოს არა ნებისმიერი ადამიანი, არამედ მხოლოდ ის, ვისაც გააჩნია პირადული თვისებების განსაზღვრული ნაკრები. ესენია: ინიციატივანობა, ინტელექტი, ნებისყოფა, გაბედულება, აქტიურობა, ენერგიულობა, სიმტკიცე, გულითადობა, პასუხისმგებლობა, სანდობა, სოციაბელურობა, მჭევრმეტყველება და სხვა. ჩამოთვლილი თვისებები არის აუცილებელი, მაგრამ არასაკმარისი ადამიანის წამოსაყენებლად ლიდერის პოზიციაში. მხოლოდ პირადული თვისებების ნაკრები არ წარმოადგენს ლიდერობის გარანტიას, ვინაიდან ასეთი ლიდერობის ეფექტიანობა ძნელად პროგნოზირებადია.

ქცევითი მიდგომა თამაშობს წამყვან როლს ლიდერობის თეორიებში – ეს მიდგომა აყენებს ლიდერის ორგანიზაციული საქმიანობის ეფექტურობას პირდაპირ დამოკიდებულებაში მისი ქცევის სტილისაგან სხვა ადამიანების მიმართ. მისი სპეციფიურობა მდგომარეობს ლიდერობის სტილების დადგენაში მთავარი კრიტერიუმების გამოყოფის საფუძველზე, ჩადებული მართვის არსში და მზრმანებლური უფლებამოსილების ფორმების რეალიზაციაში. ეს კრიტერიუმი – დონეა, რომელამდეც ლიდერი დელეგირებს თავიანთ უფლებამოსილებებს და რომელიც გადამწყვეტად გავლენას ახდენს მისი ქცევის და ურთიერთობების მანერაზე და სტილზე.

სტილების კლასიფიკაცია კ. ლევინის მიხედვით – ავტორიტარული ტიპის ლიდერი მოქმედებს დამოუკიდებლად, არ ითვალისწინებს გარშემომყოფების აზრს, მისი თანამშრომლებთან ურთიერთობის ნახევარზე მეტი სახე ატარებს განსაკუთრებით მბრძანებლურ ხასიათს. ლევინმა დააფიქსირა, რომ როგორც კი ავტორიტარული ლიდერი გადიოდა ოთახიდან ექსპერიმენტალური ჯგუფის წევრები მკვეთრად ამცირებდნენ საქმიანობის დონეს.

დემოკრატიული ლიდერი ორგანიზაციის საქმიანობაში ეყრდნობა სხვების დახმარებას და მხარდაჭერას, მოხერხებულად იყენებს ავტორიტეტული თანამშრომლების გავლენას დარაზმულობის და დისციპლინის განმტკიცებისათვის. ჯგუფის წევრების მიერ აღქმული როგორც „ერთერთი ჩვენთაგანი“.

სტილების კლასიფიკაცია რ. ლაიკერტის მიხედვით. მოცემულ კლასიფიკაციას საფუძვლად უდევს დიხოტომია: „ლიდერი, ორიენტირებული საქმეზე, ლიდერი, ორიენტირებული ადამიანზე“. საქმეზე ორიენტირებული ლიდერი, უპირველეს ყოვლისა, ზრუნავს საქმიანობის შინაარსზე და ამოცანებზე. ადამიანზე მიმართული ლიდერი მთავარ ყურადღებას აქცევს ადამიანური ურთიერთობების სრულყოფას.

ექსპლუატატორულ-ავტორიტარული სტილი – ლიდერებს, რომლებიც მას მიეკუთვნება, გააჩნია ავტორიტეტის გამოსახული მახასიათებლები.

კეთილგანწყობით-ავტორიტარული სტილი – ასეთ ლიდერებს შეუძლია დაამყარონ ავტორიტარული ურთიერთობები ხელქვეითებთან, მაგრამ უშვებენ, რომ მათ შეზღუდულად მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილებების მიღებაში. მოტივაცია აქ შეიქმნება დაჯილდოებით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში – სასჯელით.

კონსულტაციური სტილი ვლინდება მნიშვნელოვანი, მაგრამ არასრული ნდობით ხელქვეითების მიმართ. არსებობს ორმხრივი ურთიერთობები, მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები მიიღება ზედა ხელმძღვანელობაში, ხოლო ბევრი კონკრეტული გადაწყვეტილებები მინდობილი აქვს ხელქვეითებს,

სტილი, რომელიც დაფუძნებულია მონაწილეობაზე გულისხმობს უპირატესად თვითმმართველობას, ჯგუფურ მონაწილეობას ძირითადი გადაწყვეტილებების მიღებაში.

რ. ბლეიკის და დ. მოუტონის მმართველობითი გისოსი – მის საფუძველში დევს ორგანიზაციული საქმიანობის ორგანოზომილებიანი წარმოდგენა, რომელშიც გამოიყოფა ხუთი ძირითადი სტილი: გაერთიანებული მართვა, როდესაც ლიდერი იყენებს პირად ძალისხმევას მინიმუმს და ანალოგიურ მინიმუმს ითხოვს სხვებისგან იმისათვის, რომ მიაღწიოს მუშაობის მხოლოდ ისეთ ხარისხს, რომელიც საშუალებას მისცემს თავიდან აიცილოს ორგანიზაციის დაშლა.

მართვა, რომლის დროსაც ლიდერი ყურადღებას ამახვილებს ხელქვეითებთან მეგობრულ ურთიერთობებზე, მაგრამ ნაკლებად ზრუნავს საქმიანობის ეფექტურობაზე.

ძალაუფლება–დაქვემდებარება, როდესაც ლიდერი მთლიანად ჩართულია საქმიანობის ეფექტიანობის უზრუნველყოფაში, მაგრამ ნაკლებ ყურადღებას აქცევს პოზიტიური ურთიერთობების მხარდაჭერას ორგანიზაციაში.

ორგანიზაციული მართვა, რომელიც გულისხმობს ლიდერის მისწრაფებას უზრუნველყოს მისაღები ხარისხი და მოქმედების ეფექტურობის და თანამშრომლების კარგი მორალური განწყობის ბალანსი. ჯგუფური მართვა („ჯგუფი“), რომლის დროსაც ლიდერი მუდმივად ანაწილებს ყურადღებას ხელქვეითებს და მუშაობის ეფექტიანობას შორის. ამით ის აღწევს იმას, რომ შემსრულებლები შეგნებულად იზიარებენ ორგანიზაციის მიზნებს. შედეგად უზრუნველყოფილია ორგანიზაციული ფუნქციონირების მაღალი შედეგებიც და კარგი ადამიანური ურთიერთობები.

სიტუაციური მიდგომა ანუ „ლიდერობის თეორია როგორც სტიუაციის ფუნქციის“ – ამ თეორიის ძირითადი დებულებაა: ლიდერობა – ეს არა იმდენად პიროვნების ან ჯგუფის ფუნქციაა, რამდენადაც სხვადასხვა ფაქტორების და სიტუაციების რთული ზემოქმედების შედეგია. აქ ლიდერს როლს არ „აძლევენ“, ის თვითონ

„იღებს“ მას. და ამიტომ ლიდერი ხდება ის, ვინც თავის თავზე აიღებს ძირითად პასუხისმგებლობას ჯგუფური ამოცანების შესრულებაზე.

ადაპტაციური მიდგომა – ამ მიდგომის შესაბამისად მართვა უნდა იყოს მოქნილი, ხოლო ლიდერობის სტილი – ადაპტაციური, მორგებული კონკრეტულ მმართველობით სიტუაციებს და პირობებს. ლიდერს რაც უფრო მეტი აქვს „სტილების რეპერტუარი“, მით უფრო მეტად შეუძლია მას გადაერთოს ერთი სტილიდან მეორეზე, მით მაღალია მისი საქმიანობის საერთო ეფექტიანობა.

მაშასადამე, გავცანით ლიდერობის თეორიის ოთხ მიდგომას, შევეცდებით უპასუხოთ შეკითხვას – ვინ არიან ლიდერები და რა არის ლიდერობა? ჯერ ერთი, ლიდერი – ეს ინდივიდია, რომელიც ფლობს ჯგუფის თვალსაზრისით უფრო გამოკვეთილ „სასარგებლო“ თვისებებს, რის გამოც მისი საქმიანობა მოცემული საზოგადოების ინტერესების დასაკმაყოფილებლად აღმოჩნდება უფრო პროდუქტიული. მეორეც, ლიდერი – ეს პირია, რომელსაც საზოგადოება ანიჭებს უფლებას გადაწყვეტილებების მიღებაში, მეტად მნიშვნელოვანის ჯგუფური ინტერესის თვალსაზრისით. ამ ლიდერის ავტორიტეტი ეყრდნობა უნარს დარაზმოს, გააერთიანოს სხვები საერთო მიზნის მისაღწევად. ასეთი პირი არეგულირებს ურთიერთობებს ჯგუფში, ინარჩუნებს მის ფასეულობებს ჯგუფებს შორის ურთიერთობებში, გავლენას ახდენს საერთო ფასეულობების (მიზნების) ფორმირებაზე და ზოგიერთ შემთხვევაში სიმბოლიზირებს მათ.

მაშასადამე, ლიდერობა გამოდის როგორც სოციალური საქმიანობის დიფერენციაციის ერთერთი საბაზო მექანიზმი და ვარაუდობს განსაკუთრებული (ლიდერული) მდგომარეობის მიღწევას განსაზღვრული პირის (ინდივიდუალური ლიდერობა) ან ჯგუფის განსაზღვრული ნაწილის (ჯგუფური ლიდერობა) მიერ ჯგუფის (კლასის) სხვა წევრების მიმართ.

ლიდერობის მთავარი ნიშნები:

- მაღალი აქტიურობა და ინიციატივობა ჯგუფის მიერ ერთობლივი ამოცანების გადაწყვეტილების დროს;

- მკაფიოდ გამოხატული უნარი ზემოქმედება მოახდინოს სხვა ადამიანებზე;
- უფრო შესამჩნევი გამოვლენა პიროვნული თვისებების, რაც ეტალონურია მოცემული ჯგუფისათვის.

ლიდერობა – ჯგუფური განვითარების რთული სოციალურ-ფსიქოლოგიური პროცესია. მისი შედეგია ჯგუფური სტრუქტურის წარმოქმნა, სტაბილიზაცია და განვითარება, მისი ოპტიმიზაცია და სრულყოფა. გარდა ამისა, ლიდერობა არის ჯგუფის ერთდროული სტრუქტურისა და დიფერენციაციის ერთერთი სახე. ყოველი წევრი გამოვლინდება მასში ინდივიდუალურად, ყველა თავისი საქმიანი და პიროვნული თვისებებით, ხოლო ჯგუფი აღიარებს მის დამსახურებას და გარშემომყოფებზე გავლენის მოხდენის უნარს.

რთულია გავიგოთ განსხვავება ქცევის ტიპს შორის, რომელიც ორიენტირებულია ჯგუფური მუშაობის მხარდაჭერაზე, და ქცევის ეგოისტურ ტიპს შორის: ერთი და იგივე ქცევითი ფუნქციის შესრულება, მაგალითად, ურთიერთობების რეგულირება ან „მეკარეს ფუნქციის“ შესრულება შეიძლება იყოს მიმართული როგორც ჯგუფში ჰარმონიის შენარჩუნებაზე, ასევე პირადი ინტერესების დაკმაყოფილებაზე

ყურადღების გამახვილება არარსებულ ნაკლოვანებებზე სხვების წინადადებებში ან წვლილში მათი პოზიციების შერყვევის მიზნით. მიდგომები ჯგუფის მიერ ორგანიზაციული ცვლილებების მართვისათვის შეიძლება განვიხილოთ ორი საწინააღმდეგო შემადგენელის პოზიციიდან: „ავტორიტარულობა“ და „მონაწილეობა“.

ავტორიტარულობისკენ მიდრეკილი ლიდერობის სტილს შეუძლია ხელი შეუშალოს ჯგუფში პირადი ურთიერთობების მხარდაჭერას, მაგრამ ამ სტილისგან არც ერთი არ იძლევა წარმატების გარანტიას ჯგუფის მიზნების მიღწევაში. ყოველი სტილის მისაღებობა დამოკიდებულია გარემოებაზე.

დემოკრატიული მიდგომა შეიძლება აღმოჩნდეს სასარგებლო, როდესაც ჯგუფისაგან საჭიროა შესაძლებლობების მაქსიმუმის მიღება. მიუხედავად ამისა, კრიზისის პირობებში ან დიდი დამაბულობის

დროს უფრო მისაღები შეიძლება გახდეს მართვის ავტორიტარული სტილი. ავტორიტარული ტიპის ჯგუფის ლიდერი მიუთითებს რა არის გასაკეთებელი და ამ დროს მაქსიმალურად იყენებს თავის ძალაუფლებას, უშვებს მხოლოდ მინიმალურ გავლენას საქმის ვითარებაზე ჯგუფის წევრების მიერ, მაგრამ ხელმძღვანელობის ავტორიტარული სტილის ლიდერსაც არ შეუძლია დაიყვანოს ნულამდე ჯგუფის წევრების როლი, ვინაიდან განკარგულების მიღების შემდეგ ჯგუფის წევრებმა უნდა მოახდინონ მათი ინტერპრეტირება და შესაბამისად რეაგირების მოხდენა. ჯგუფში ყოველთვის არსებობს დაშვება ქმედებების განსაზღვრულ ცდომილებაზე შეცდომების ან კომუნიკაციების არაკორექტულობის გამო. ასევე ლიდერის ძალაუფლება არასოდეს არ შეიძლება იყოს ნულის ტოლი მიუხედავად ლიდერის მონაწილეობის დონისა. ადიზესის მიხედვით, ორგანიზაციული ცვლილებების მართვის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის შედეგიანობა და ეფექტურობა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში.

ამისათვის მენეჯერმა სწორად და დროულად უნდა შეასრულოს ოთხი ფუნქცია: დააკმაყოფილოს ბაზრის და კლიენტების მოთხოვნები (P), იყოს გარანტი დადგენილი წესების დაცვის (A), წახალისოს მეწარმეობა (E), კომპანიაში შექმნას თანამშრომლობის ატმოსფერო (I). ფუნქციები P და A მიეკუთვნება მოკლევადიანს, ხოლო E და I – გრძელვადიანს. ასოების PAEI შეხამება ცნობილია როგორც „ადიზესის კოდი“. და ეს მიდგომა ხასიათდება ძალიან მაღალი ფუნქციონალურობით. სასიცოცხლო ციკლის ყოველ ეტაპზე ფუნქციები განვითარებულია არათანაბრად. ყველა ოთხივე ფუნქციის აყვავების და დასუსტების თანმიმდევრობას ასახავს ორგანიზაციის სასიცოცხლო ციკლი. იმის გაგება თუ მენეჯმენტის რომელი სტილი უნდა დომინირებდეს კომპანიის განვითარების ზუსტად მოცემულ, კონკრეტულ ეტაპზე, საშუალებას აძლევს ხელმძღვანელს მიაღწიოს წარმატებას და თავიდან აიცილოს ბევრი სერიოზული შეცდომა, რომელსაც ადიზესი უწოდებს მმართველობით პატოლოგიებს. ამავე დროს იმისათვის, რომ არ დაუშვან ორგანიზაციის გადასვლა ფაზაში, რომელიც ნიშნავს აქტიურობის

დაცემის დასაწყისს (სტაბილიზაციის, არისტოკრატიზმის და ა.შ.), საჭიროა ფუნქციების ბალანსის დაცვა, რომელიც შეესაბამება აყვავების ფაზას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ხომერიკი თ. მენეჯმენტის საფუძვლები. თბ. 2008
2. ჯულაყიძე ე. მენეჯმენტის საფუძვლები. ქუთაისი. 2019
3. ეჯიბაძე ო. სტრატეგიული მართვა. თბ.2003
4. Друкери П. Задачи менеджмента в XXI веке. М. 2010
5. Амабайл Т. Креативное мышление в бизнесе. М.2016

პაპაშურიძე ნათელა, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

ორგანიზაციული ცვლილებების მართვა

თანამედროვე ფირმაში

რეზიუმე

ნაშრომში აღნიშნულია, რომ თანამედროვე ფირმაში ორგანიზაციული ცვლილებების მართვის პროცესი მოითხოვს მენეჯერისაგან პირობების შექმნის უნარს ადამიანების აქტიურობის, ინიციატივის, შემოქმედების გამოვლენისათვის, მათი აქტიური მოტივაციის განვითარებისათვის. ხელმძღვანელის ჯგუფის სხვა წევრებთან ურთიერთობის პირადი სტილის თავისებურებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ ბრძანების პროცესებზე. ორგანიზაციული ცვლილებების მართვის დანიშნულება მდგომარეობს იმაში, რომ უზრუნველყოს ორგანიზაციის შედეგიანობა და ეფექტურობა მოკლევადიან და გრძელვადიან პერიოდში.

НАТЕЛА КАКАУРИДЗЕ, академик Академии наук туризма Грузии

**УПРАВЛЕНИЕ ОРГАНИЗАЦИОННЫМИ ПЕРЕМЕНАМИ
В СОВРЕМЕННЫХ ФИРМАХ**

Резюме

В работе отмечено, что в современных фирмах процесс управления организационными переменами требует от менеджера умения создать условия для выявления активности, инициативы, творчества людей, развития их активной мотивации. Особенности взаимодействия личного стиля руководителя группы с другими членами оказывают значительное влияние на процессы приказов. Назначение управления организационными переменами состоит в том, чтобы обеспечить результативность и эффективность фирмы в краткосрочном и долгосрочном периодах.

Natela Kakauridze, Academician of the Georgian Academy of Sciences of
Tourism

ORGANIZATIONAL CHANGE MANAGEMENT IN MODERN FIRM

Summary

The paper notes that in modern firms, the process of managing organizational change requires the manager to be able to create conditions for identifying people's activity, initiative, creativity, and developing their active motivation. Features of the interaction of the personal style of the group leader with other members have a significant impact on the processes of orders. The purpose of organizational change management is to ensure the effectiveness and efficiency of the company in the short and long term.

ბაბაურში მარინა, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

**კომპანიათა მენეჯმენტის და ინტეგრაციის პროცესების
თავისებურებები საქართველოში**

XIX საუკუნის დასასრულს განვითარებული ქვეყნების ეკონომიკა მოიცვა ინდუსტრიული წარმოების განვითარებამ. წარმოების მოცულობის ზრდა კი მოითხოვდა დიდი რაოდენობის კაპიტალის დაბანდებს, რაც კაპიტალის კონცენტრაციითა და ცენტრალიზაციით განხორციელდა. ერთი მხრივ, კაპიტალის კონცენტრაცია, იწვევდა კაპიტალის დაგროვებას და ხელს უწყობდა ცენტრალიზაციას, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალის ცენტრალიზაცია თავის მხრივ ხელს უწყობდა მის კონცენტრაციას. ორივემ ერთად განაპირობა წარმოების გამსხვილება და მონოპოლიურ გაერთიანებათა სხვადასხვა ფორმების (ტრესტი, სინდიკატი, კონცერნი) ჩამოყალიბება. მაგრამ მონოპოლიებმა არა თუ გაანადგურეს კონკურენცია, არამედ პირიქით, კიდევ უფრო გაამწვავეს იგი. მეორე მსოფლიო ომმა კიდევ უფრო გააძლიერა მონოპოლიზაციის პროცესი და გაამძაფრა კონკურენცია. განსაკუთრებულად გაძლიერდა ის მონოპოლიები, რომლებიც წარმოადგენდნენ სამხედრო მრეწველობას (ატომური მრეწველობა, სარაკეტო და ტექნოლოგიური წარმოება). თანამედროვე პირობებში კიდევ უფრო გაფართოვდა კონკურენტული ბრძოლის სფერო, წარმოიქმნა კონკურენციის ახალი ფორმები და შეიცვალა კონკურენტული ბრძოლის მეთოდები. უკანასკნელ წლებში განვითარება ჰპოვა წარმოების კონცენტრაციის და ცენტრალიზაციის ისეთმა ფორმამ, როგორცაა დივერსიფიკაცია. რაც შეეხება საქართველოს რეალობას გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს წარმოშობილმა ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა და იდეოლოგიურმა კრიზისმა ობექტურად აუცილებელი გახადა საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა. იგი პრივატიზაციის განხორციელებით დაიწყო, რამეთუ ახალი ეკონომიკა კერძო საკუთრების უპირატესობას და ზოგადად საკუთრების მრავალფეროვნებას გულისხმობდა. შედეგად, მასიური წარმოებისა და სრული დასაქმების ეკონომიკა ჩაანაცვლა უმუ-

შევრობამ და ეკონომიკურმა სტაგნაციამ. განადგურდა და გაიყიდა არსებული საწარმოო სიმძლავრეები. კრიზისმა პირველ პრობლემად გადარჩენა წარმოაჩინა. გადარჩენა კი მცირე ბიზნესის განვითარებით დაიწყო, რომელიც საუკეთესო შემთხვევაში არსებულის ბაზაზე, უმეტეს შემთხვევაში კი ახალ ნიადაგზე აღმოცენდა. შემდგომი განვითარება კი კონკურენციის პოლიტიკამ განსაზღვრა, რომლის მიზნებია: მომხმარებელთა მოთხოვნების დაკმაყოფილება, კარტელებისა და სხვა ანტიკონკურენციული გაერთიანებების კონტროლი, შერწყმების და შთანთქმის კონტროლი, დომინირებული მდგომარეობის ბოროტად გამოყენების კონტროლი და ა.შ. ასე, რომ თავისი რეალიზაციის პროცესში კონკურენცია წარმოშობს მონოპოლიას და რეგულირებას, როგორც თავისსავე შინაგან მომენტებს, რაც განაპირობებს კონკურენციის არა გაქრობას არამედ მის გადარჩენას. თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ რეალურ ეკონომიკაში ადგილი აქვს აღნიშნული პროცესების დარღვევას, რომლის ხანგრძლივი შენარჩუნება აფერხებს მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესს და იწვევს ეკონომიკის დამუხრუჭებას. ამის თავიდან აცილების მიზნით დაშვებულია გამონაკლისები, როგორცაა შერწყმა და შთანთქმა, რომელიც ხელს უწყობს საქონლის წარმოების და მიმოქცევის გაუმჯობესებას, ტექნიკურ-ეკონომიკურ პროგრესს და უზრუნველყოფს მომხმარებლის კეთილდღეობას. შერწყმა და შთანთქმა ხშირად ერთადერთი გზა ხდება მცირე ან ნაკლებად მომგებიანი კომპანიებისათვის ბაზარზე დასარჩენად ან სულაც გადასარჩენად. ისტორიულად შერწყმისა და შთანთქმის პროცესი ტალღისებურად მიმდინარეობდა. მეცნიერ-მკვლევართა მიდგომები მისი ეტაპიზაციის შესახებ განსხვავებულია. ზოგიერთი მკვლევარი (მედუა გოცირიძე „კორპორაციული მენეჯმენტი“ თბილისი. 2018) ექვს ეტაპს აღიარებს, სხვები რვას. ჩვენი დამოკიდებულება კი ასეთია:

პირველი ეტაპი XIX საუკუნის 60-70-იან წლებს უკავშირდება, როდესაც სამრეწველო მონოპოლიები მონოპოლიური მოგების მიზნით საქონლისა და გასაღების თავმოყრას (ცენტრალიზაციას) ახდენდნენ. ისინი ერთეულ შემთხვევებს წარმოადგენენ და ჩანასახის მდომარეობას ასახავდა. ეს ეტაპი საქართველოში სამრეწველო განვითარე-

ბით წარმოჩინდა. მის სახეს წარმოადგენდა მარტივი კაპიტალისტური კოოპერაცია და მანუფაქტურა.

მეორე ეტაპი 1873 წლის მსოფლიო კრიზისის უკავშირდება და XIX საუკუნის ბოლომდე გაგრძელდა. კრიზისმა მრავალი წვრილი საწარმო გაანადგურა და კონცენტრაციის საფუძველზე ხელი შეუწყო მონოპოლიების წარმოშობას. კერძოდ, საქართველოში 200-ზე მეტი ადგილობრივი მრეწველის გაერთიანებით წარმოიშვა მონოპოლისტური სინდიკატი „შავი ქვა“.

მესამე ეტაპი XX საუკუნის დასაწყისის უკავშირდება 1900-1903 წწ კრიზისმა განვითარებულ ქვეყნებში ინდუსტრიის განვითარება გამოიწვია, რომელიც ეკონომიკაში კაპიტალის კონცენტრაციითა და ცენტალიზაციით წარმოჩინდა. რასაც შედეგად მონოპოლიების წარმოშობა მოჰყვა ძირითადად მრეწველობაში და მეურნეობის თითქმის ყველა დარგში. ჰორიზონტალური და ვერტიკალური შერწყმის სახით წარმოიქმნა ტრესტები, რამაც გარკვეული ეკონომიკური პრობლემები შექმნა, ამიტომ აშშ-ში მიიღეს შერმანის ანტიმონოპოლიური კანონი. აღნიშნული პროცესები შედარებით მოგვიანებით საქართველოშიც განვითარდა, რაც ეკონომიკაში კაპიტალისტური მრეწველობის განვითარებით მიმდინარეობდა, მონოპოლისტური კაპიტალიზმის ფორმა მიიღო და შერწყმისა და შთანთქმის მრავალი მაგალითით წარმოჩინდა.

მეოთხე ტალღა 1916-1960 წწ მოიცავდა. ამ დროს მსოფლიო ეკონომიკა მოიცვა საკუთრებისა და ფინანსური ნაკადების „გადანაწილებამ“. იგი ოლიგოპოლიების დომინირებით ხასიათდებოდა. პირველი და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი პერიოდი მრეწველობის სწრაფი განვითარებითა და ეკონომიკური ბუმით გამოიხატა. დაბალი სარგებლის მქონე კაპიტალი მოგების ზრდის შესაძლებლობას იძლეოდა, თუმც დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. რაც შემდგომ დიდ დეპრესიაში (1929-33 წწ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი) აისახა. ეს ეპოქალური გავლენა აისახა საქართველოს პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობაზე, როგორც რევოლუციებით, სამამულო ომით, ასევე საკუთრების გადანაწილებით.

მეხუთე ეტაპი 1960-1970 წწ პერიოდია, რომელსაც კონ-გლომერანტების წარმოქმნის ეპოქასაც უწოდებენ, რამეთუ ადგილი ქონდა სხვადასხვა დარგისა და პროფილის კომპანიების შერწყმა-შთანთქმას. 1967-1969წწ ბუმის პერიოდია. ჩამოყალიბდა მსოფლიო საფონდო ბაზარი, განხორციელდა ფასიანი ქაღალდების საერთაშორისო ემისიები (პირველი ამერიკული სახაზინო ვექსილები, იაპონური სახელმწიფო ობლიგაციები და ა.შ.) მსოფლიო ეკონომიკა ხასითდებოდა კომპანიების დივერსიფიკაციით. მსოფლიო კრიზისის დამღევა სახელმწიფოს როლის გაძლიერებაში გამოიხატა. მნიშვნელოვნად თვალსაჩინო გახდა სახელმწიფოს როლი ეკონომიკაში. მასიური წარმოების ეპოქამ შერწყმა-შთანთქმის პროცესები განსაკუთრებით, მანქანათმშენებლობისა და კოსმოსის დარგებში გააძლიერა. ამ დროს საქართველოს ეკონომიკა განვითარებული სოციალიზმის ეპოქაში იყო და აღნიშნული პროცესები მრეწველობის დარგებში საშუალო საწარმოთა გაერთიანებაში გამოიხატებოდა. სოფლად კოლმეურნეობების გაერთიანების საფუძველზე საბჭოთა მეურნეობების, ხოლო შემდგომ აგროსამრეწველო კომპლექსის შექმნაში მდგომარეობდა.

მეექვსე ეტაპი XX საუკუნის 80-იანი წლებია. ამ დროს გარდამტეხი ცვლილებები განხორციელდა კავშირგაბულობასა და საინფორმაციო საშუალებებში. ინტერნეტმა შეცვალა განვითარებული სამყარო. საქმიანობა გააქტიურეს საერთაშორისო სავალუტო და საფონდო ბაზრებმა. კონკურენციამ გააღრმავა შერწყმისა და შთანთქმის პროცესები. შეირყა საბჭოთა სისტემა. გამძაფრდა ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის. საქართველოში პოლიტიკურმა არასტაბილურობამ განაპირობა ნედლეულის და გასაღების ბაზრების (საბჭოთა მოკავშირე რესპუბლიკების სახით) დაკარგვა. თვალსაჩინო გახდა კრიზისი და-ნაჩენ მსოფლიოში.

მეშვიდე ტალღა XX საუკუნის დასასრულია 1990-2000 წლებში განვითარებულ ქვეყნებში გააქტიურდა კორპორაციების როლი არამართო ეკონომიკაში, არამედ სახელმწიფოში. რაც აისახა გამოთქმაში - „სახელმწიფო-სახელმწიფოში“. მათ დაიწყეს თავიანთი საქმიანობის გადატანა სხვადასხვა ქვეყნებში. მათ შორის საქართვე-

ლოში შეიქმნა უცხოური კორპორაციების შემოსვლის პრეცედენტები შვილობილი კომპანიების სახით.

მერვე ეტაპი 2001 წლიდან დაიწყო და დაკავშირებულია ოქროსა და ენერგომატარებლების ბაზრებზე საერთაშორისო ფინანსური ნაკადების ტრანსფორმაციასთან. მას შედეგად შერწყმისა და შთანთქმის პროცესების გაძლიერება მოჰყვა, გლობალიზაცია, ეკონომიკური ექსპანსია, სავაჭრო ბარიერების მოხსნა და ა.შ. გახდა ჰორიზონტალური ინტეგრაციის გაძლიერებისა და მეგაგლობალური გარიგებებისა და გაერთიანებების საფუძველი. რაც **2008 წლის** მსოფლიო კრიზისით დასრულდა. ეს პერიოდი როცა ჩამოყალიბდა სამომხმარებლო საზოგადოება და მსოფლიო ბაზარი მომსახურებაზე ორიენტირებული გახდა. ამიტომ შერწყმა-შთანთქმის გარიგებებმა ძირითადად მომსახურების დარგებში გადაინაცვლა. თუმცა მსოფლიო კრიზისმა შეამცირა გარიგებათა რაოდენობა. ეს პროცესები მკვეთრად აისახა საქართველოს ეკონომიკაში. რაც კიდევ უფრო გაამძაფრა შიდა პოლიტიკურმა და კომფლიქტურმა გარემოებებმა.

მეცხრე ტალღა დღესაც გრძელდება და შერწყმისა და შთანთქმის ცვალებადი დინამიკით ხასიათდება. განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი გახდა მსოფლიოში შერწყმა-შთანთქმის გარიგებები 2019 წელისათვის. 22 უმსხვილესი მეგა გარიგების ღირებულება 345.3 მილარდ დოლარამდე გაიზარდა. საქართველოში დღევანდელ პირობებში მნიშვნელოვანი გახდა შერწყმა გარიგებების საშუალებით საწარმთა ოპტიმიზაცია. იგი მეურნეობის ყველა დარგს შეეხო, განსაკუთრებით კი საბანკო, საფინანსო, კომუნიკაციის, ფარმაცევტული, განათლების და სხვა დარგებს. მაგალითად, საბანკო სექტორში მნიშვნელოვანი შერწყმა-შთანთქმა განხორციელდა თი-ბი-სი ბანკსა და ბანკი „რესპუბლიკას“ შორის; კომუნიკაციების სფეროში შპს „კავკასუს ონლაინსა“ და შპს „მაგთიკომ“-ს შორის; Geocell-სა და კომპანია Silknets შორის; მაღალი სამედიცინო ტექნოლოგიების სფეროში „ევექსა“ და „გნ კო“-ს შორის.

დიდი გარიგებებით ხასიათდება ელექტროტექნიკის ბაზარი. კომპანია „ალტა“-სა და კომპანია „ოკ“-ის შორის. შერწყმისა და ინტეგ-

რაციის პროცესებმა მოიცვა განათლება. თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტს დღევანდელი მდგომარეობით 2011 წლიდან შეერწყა 16 კვლევითი ინსტიტუტი. 2006 წელს გაერთიანდა ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ნიკო მუსხელიშვილის სახელობის ქუთაისის ტექნიკური უნივერსიტეტი, ხოლო 2010 წელს სუბტროპიკული მეურნეობის სოხუმის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი და დღეს აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელწოდებით ფუნქციონირებს. თბილისის პუშკინის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი და ილია ჭავჭავაძის უცხო ენათა უნივერსიტეტი შეერწყა და დღეს ილიაუნის სახელით ფუნქციონირებს. საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა შთანთქა თავისი ფილიალი ინსტიტუტები რეგიონებში და ა.შ. მოყვანილი მაგალითები იძლევა ასეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას, რომ საქართველოში მიმდინარეობს ორგანიზაციათა შერწყმა-შთანთქმის პროცესები, რამაც დადებითი შედეგები უნდა მოიტანოს ეკონომიკაში და პირიქით ხელი არ შეეწყოს მონოპოლიზებას, არ შეიქმნას კარტელური შეთანხმების საფრთხე და ა.შ. რაც კონკურენციის სააგენტომ მონოპოლიის ქცევის განმსაზღვრელი კანონებით უნდა დაარეგულიროს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ერქომაიშვილი გ., ხარაიშვილი ე. ფირმის ეკონომიკა. თბ., 2011.
2. როგორ დავიწყო ბიზნესი. გზამკვლევი. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. თბ., 2011.
3. სამადაშვილი უ. ბიზნესი ყველასათვის კითხვებსა და პასუხებში. თბ., 2008.
4. ჩახაია გ. მცირე მეწარმის სამაგიდო წიგნი. თბ., 2011.
5. Ali M., Brookson S., Bruce A. and others. Managing for Excellence. DK, USA, 2009.
6. Moran G., Johnson S. Business Plans Plus. Alpha, USA, 2011.

ბაბაურიძე მარინა, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

**კომპანიათა შერწყმის და ინტეგრაციის პროცესების
თავისებურებები საქართველოში
რეზიუმე**

თანამედროვე სამყაროში გაფართოვდა კონკურენტული ბრძოლის სფერო, წარმოიქმნა კონკურენციის ახალი ფორმები და შეიცვალა კონკურენტული ბრძოლის მეთოდები. შედეგად შეიცვალა კონკურენტული უპირატესობების მოპოვების შესაძლებლობები. ცალკეულმა კომპანიებმა და კორპორაციულმა სტრუქტურებმა გამოსავალი თავისი საქმიანობის დივერსიფიკაციაში ჰპოვა, სხვებმა - საწარმოების და საქმიანობის სახეების შერწყმა-შთანთქმაში. ნაშრომში განხილულია შერწყმისა და შთანთქმის განვითარების ეტაპები განვითარებული ქვეყნებისა და საქართველოს მაგალითზე.

КАКАУРИДЗЕ МАРИНА, академик Академии наук туризма грузии

**ОСОБЕННОСТИ ПРОЦЕССОВ СЛИЯНИЯ И
ИНТЕГРАЦИИ КОМПАНИЙ В ГРУЗИИ**

Резюме

В современном мире расширилась сфера конкурентной борьбы, возникли новые формы конкуренции и изменились методы конкурентной борьбы. В результате изменились возможности достижения конкурентного преимущества. Отдельные компании и корпоративные структуры нашли выход в диверсификации своей деятельности, другие – в слиянии-поглощении предприятий и видов деятельности. В работе рассмотрены этапы развития слияния и поглощения на примере развитых стран и Грузии.

KAKAURIDZE MARINA, Academician of the Georgian Academy
of Sciences of Tourism

**FEATURES OF THE PROCESSES OF MERGER AND
INTEGRATION OF COMPANIES IN GEORGIA**

Summary

In the modern world, the scope of competition has expanded, new forms of competition have arisen and methods of competition have changed. As a result, the ability to achieve a competitive advantage has changed. Some companies and corporate structures found a way out in diversification of their activities, others in mergers and acquisitions of enterprises and types of activities. The paper considers the stages of development of mergers and acquisitions on the example of developed countries and Georgia.

თმარ მინდაძე, იურდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ქუთაისის აკ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**თჯახში ძალადობის ფორმები მისი გამომვლენის
აღკვეთისა და დასჯის სამართლებრივი რემუიროების
პრობლემები მოქმედ კანონმდებლობაში**

პუბლიკაცია მოიცავს ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შესახებ.

სამართალდამცავი ორგანოების როლი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში რადიკალურად შეიცვალა, სამართალდამცველმა ორგანოებმა გააცნობიერა რა ამ სამართალდარღვევის არსი, შეცვალა თავისი დამოკიდებულება პრობლემისადმი და პრიორიტეტი მსხვერპლის უსაფრთხოებას მიანიჭა, შესაბამისად, თანდათან შეიცვალა გამოძიების წარმოების, დაკითხვის ოქმის, შედგენის, მუშაკთა გადამზადების და საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურებთან მუშაობის მეთოდები. ოჯახში ძალადობა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების მიზნით ხდება.

საქართველოში ჩატარებული კვლევის შედეგად, უმრავლესობა ოჯახში ძალადობის ძირითად მიზეზად უმუშევრობას, ალკოჰოლიზმს, ნარკომანიასა და სხვა სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს ასახელებს. თუმცა ჩამოთვლილი ფაქტორები მხოლოდ ძალადობის ხარისხზე მოქმედებენ და, გარკვეულწილად, პროვოკაციების ელემენტებად შეიძლება განიხილებოდეს, რაც შეეხება მიზეზებს, ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტები ძალაუფლება და კონტროლია.

დღეს საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულია, რომ ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახის წევრებს არ ეხებათ და ძალადობა, ის ოჯახში მოხდება და მის გარეთ, აუცილებლად უნდა აღიკვეთოს. შესაბამისად ბევრმა სახელმწიფომ ამ პრობლემის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად სპეციალური კანონმდებლობები შექმნა ან უკვე არსებულ კანონმდებლობებში ცვლილებები შეიტანა.

„ოჯახური ძალადობის“ დეფინიცია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობაშიც გაჩნდა. აღნიშნულმა დეფინიციებმა ოჯახური ძალადობა აღიარა ისეთ ქმედებად, როცა სახელმწიფო ვალდებულია პრობლემის პრევენციისათვის გარკვეული ღონისძიებები გაატაროს და მასზე დამოკიდებული პირები შემდგომი ძალადობისაგან დაიცვას. სახელმწიფომ საზოგადოების წინაშე ვალდებულია იკისრა, ებრძოდეს ძალადობას ოჯახში და იზრუნოს მისი პრევენციისათვის.

საკვანძო სიტყვები: ავანტიურიზმი, ალტერნატივა, ანომალია, აფექტი, შურისძიება, ძალადობა.

ოჯახში ძალადობა მოიცავს ქმედებების ფართო სპექტრს - ერთჯერადი ძალადობრივი აქტიდან დაწყებული, ძალადობის მასობრივი ფორმებით დამთავრებული. ოჯახში ძალადობას გააჩნია საკუთარი მახასიათებლები და თავისებურებები, ანუ ის კრიტერიუმები, რომლის მიხედვით ხდება ოჯახში ძალადობის იდენტიფიცირება.

ოჯახში ძალადობა გულისხმობს ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევას ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ძალადობით ან იძულებით. აღსანიშნავია, რომ ამით სისხლის სამართლის კანონმდებლობაში პირველად განისაზღვრა ოჯახში ძალადობის დეფინიცია, რითაც მომზადდა იურიდიული საფუძველი დამცავი და შემაკავებელი ორდერების გამოსაცემად.

კონსტიტუციურ უფლებებსა და თავისუფლებებში იგულისხმება ყველა ის უფლება, რომელიც გარანტირებულია საქართველოს უზენაესი კანონით. კერძოდ, კანონის წინაშე თანასწორობა, სიცოცხლის უფლება, თავისუფალი განვითარების უფლება, პატივისა და ღირსების ხელშეუვალობა, ადამიანის წამების, არაჰუმანური, სასტიკი ან პატივისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის დაუშვებლობა, თავისუფლების ადკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის დაუშვებლობა, სიტყვის, აზრის, სინდისის, აღმსარებლობისა და რწმენის

თავისუფლება, საკუთრების და მემკვიდრეობის უფლება, განათლების მიღების უფლება და სხვა.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ კანონის მიზანია:

1) შექმნას ოჯახის წევრთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ხელშეუხებლობის, ოჯახური ღირებულებების დაცვის საკანონმდებლო გარანტიები.

2) შექმნას ეფექტიანი საკანონმდებლო მექანიზმები ოჯახში ძალადობის გამოვლენის, აღკვეთისა და თავიდან აცილებისათვის.

3) უზრუნველყოს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთათვის მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა.

4) შექმნას ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის საფუძვლები.

5) უზრუნველყოს სხვადსხვა ინსტანციებს შორის თანამშრომლობა ოჯახში ძალადობის თავიდან აცილებისათვის.

ახალმა კანონმა ხუთი სახის ძალადობის ფორმა შემოიტანა, კერძოდ:

1) ფიზიკური ძალადობა: ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას, ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც იწვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანების დაზიანებას ან სიკვდილს.

2) ფსიქოლოგიური ძალადობა: შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს.

3) ეკონომიკური ძალადობა: ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი ან ნორმალური განვითარების სხვა პირობების უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელებას, აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით შეზღუდვას.

4) სექსუალური ძალადობა: ისეთი კავშირი ძალადობით, ძალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმანკობის გამოყენებით, სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვანის მიმართ.

5) იძულება: ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება ანდა რომლისაგან თავის შეკავება მისი უფლებაა ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.

მოქმედი კანონის მიხედვით მსხვერპლი არის ოჯახის წევრი, რომელმაც განიცადა ფიზიკური, ფსიქოლოგიური, სექსუალური ძალადობა ან იძულება, ხოლო მოძალადე არის ოჯახის წევრი, რომელმაც ოჯახის სხვა წევრის მიმართ ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, ეკონომიკურ, სექსუალურ ძალადობას ახორციელებს. რაც შეეხება ოჯახის წევრის ცნებას, მხოლოდ და მხოლოდ კანონის მიზნებისათვის ეს ცნება გაფართოებულია. ოჯახში წევრად ითვლება დედა, მამა, პაპა, ბებია, მეუღლე, შვილი (გერი), შვილობილი, მიმღები ოჯახი (დედობილი, მამობილი), შვილიშვილი, და, ძმა, მეუღლის მშობლები, სძიე, რძალი, აგრეთვე, ყოფილი მეუღლე, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები და მეურვე.

საქართველოს კანონი ოჯახური ძალადობის ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის უფლებამოსილი ორგანოს ან თანამდებობის პირის მიერ მსხვერპლთა დაცვისა და ძალადობისათვის გარკვეული მოქმედებების შეზღუდვის უზრუნველსაყოფად, დროებითი ღონისძიების სახით, დამცავ და შემაკავებელ ორდერს იყენებს.

დამცავი ორდერი არის პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გამოცემული აქტი, რომლითაც, ოჯახური ძალადობის შემთხვევაში, განისაზღვრება ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები. ეს ღონისძიებები არ გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ პირის მიმართ დაწყებულია სისხლისსამართლებრივი დევნა და მას აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა.

შემაკავებელი ორდერი არის პოლიციის კომპეტენტური თანამდებობის პირის მიერ გამოცემული აქტი, რომლითაც განისაზღვრება ოჯახური ძალადობის შემთხვევაში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის დროებითი ღონისძიებები და რომელიც გამოცემიდან კანონით დადგენილი დროის, 24 საათის განმავლობაში, დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს.

მსხვერპლთა დაცვის დროებით ღონისძიებებში იგულისხმება მოძალადისაგან მსხვერპლის მასზე დამოკიდებული პირის დაცვის ზომები, მოძალადისაგან მსხვერპლის, მასზე დამოკიდებული პირის გარიდებისა და თავშესაფარში მათი მოთავსების საკითხები.

თავშესაფარი გულისხმობს ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დროებით საცხოვრებელ ან დროებითი განთავსების ადგილს, რომელიც მსხვერპლთა ფსიქოლოგიურ-სოციალური რეაბილიტაციას, იურიდიულ და სამედიცინო დახმარებასა და დაცვის ღონისძიებებს ემსახურება. დღეს საქართველოში სახელმწიფო თავშესაფარი გვაქვს, ასევე არსებობს არასამთავრობო ორგანიზაციების ბინაზე არსებული თავშესაფრები, რომლებიც მსხვერპლთა დახმარებისა და რეაბილიტაციას დონორი საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით უზრუნველყოფენ.

აღსანიშნავია ის მდგომარეობა, რომ ოჯახში ძალადობის შემთხვევები მხოლოდ სპეციალური კანონით არ რეგულირდება, ამისათვის დამატებით გამოიყენება სისხლისსამართლებრივი, ადმინისტრაციული და სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები.

სისხლისსამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, რომლებიც შეიცავენ სისხლის სამართლის დანაშაულის ისეთ ნიშნებს, როგორცაა სხეულის განზრახ მძიმე დაზიანება, გაუპატიურება. თავისუფლების უკანონო აღკვეთა, ცემა ან სხვაგვარი ძალადობა, რომელმაც გამოიწვია ჯანმრთელობის სერიოზული მოშლა ან შრომისუნარიანობის მნიშვნელოვანი დაქვეითება ან დაკარგვა და სხვა ამგვარი.

სამოქალაქო სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად სამოქალაქო

ლაქო სამართლის კოდექსით დადგენილი წესით. კერძოდ, 292-ე მუხლის თანახმად, პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახ ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს ვალდებულია აუნაზღაუროს მას ზიანი, ასევე, არამატერიალური ზიანის შემთხვევაში სამოქალაქო სამართლის კოდექსის 413 მუხლის თანახმად.

არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით.

სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევაში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მექანიზმები გამოიყენება იმ შემთხვევაში, თუ სამართალდამრღვევი კანონმდებლობის შესაბამისად არ იწვევს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას და მისი აღკვეთა შესაძლებელია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ნორმების შესაბამისად.

ფრიად საყურადღებოა და საზოგადოებისათვის აუცილებელია იცოდეს დამცავი და შემაკავებელი ორდერების იურიდიული მნიშვნელობა.

საქართველოს კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ გამოიყენება არა ზოგადად საოჯახო ურთიერთობებში, არამედ ოჯახში ძალადობის აღკვეთისათვის. თავისი მიზნების ეფექტურად შესრულების უზრუნველსაყოფად კანონში განსაზღვრულია სახელმწიფო დაწესებულებების ცალკეული სტრუქტურული ერთეულების უფლებამოსილებები. კანონის მიხედვით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო ოჯახში ძალადობის ფაქტებზე ახორციელებს პირველად რეაგირებას. კანონი მიმართულია, ძალადობის აღკვეთის, მსხვერპლთა დასჯის, მოძალადისაგან განცალკავებისა და ძალადობის განმეორებით თავიდან აცილებისათვის. ოჯახში ძალადობის ფაქტები მიეკუთვნება ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯად საქმეს, ხოლო სხვა დანარჩენი სამართალურთიერთობისათვის, რომელიც შეიძლება გამომდინა-

რობდეს ოჯახური ძალადობისაგან, მაგალითად, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, სხეულის განზრახ მიმე დაზიანება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი დაცვის მექანიზმები.

კონკრეტულ შემთხვევებში შესაძლოა მოძალადის მიმართ გამოყენებულ და ამოქმედებულ იქნას ორი ან მეტი მექანიზმი. დასახელებული ორდერები არის დროებითი შემზღუდავი ხასიათის ღონისძიებების განმახორციელებელი აქტი, რომელიც ოჯახში ძალადობის შემთხვევაში მიმართულია ძალადობის ფაქტის ოპერატიული აღკვეთისაკენ მსხვერპლის დაცვის მოძალადისაგან და მსხვერპლის დაშორების და ძალადობის შემდგომი გამოვლინების აღკვეთისაკენ. მისი მიღება ხდება ოპერატიულად და სამართალწარმოებაც მიმდინარეობს შემჭიდროებულ მოკლე ვადებში. ამკრძალავი ღონისძიება, რომელიც მტკიცდება ორდერით, კანონით წინასწარ არ არის განსაზღვრული, ყოველი კონკრეტული ქმედების მიმართ გამოყენებულ უნდა იქნას კონკრეტული ადეკვატური, მოქნილი დაცვის სწრაფი მექანიზმი. [1].

რაც შეეხება უშუალოდ დამცავ ორდერს, ის გამოიცემა პირის განცხადების საფუძველზე პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების ფორმით, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.[2]. ამ ორდერით განისაზღვრება მოძალადის მიმართ ამკრძალავი ღონისძიების გამოყენების ადეკვატური ფორმები, რომელიც მიმართულია ძალადობის აღკვეთისა და მსხვერპლის დაცვისაკენ.

მოქმედი კანონით დამცავი ორდერის გამოცემა შესაძლებელია აგრეთვე იმ შემთხვევებში, როცა ოჯახში ძალადობის ნიადაგზე სახეზეა სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დასჯადი ქმედება.[3]. თუ ჩადენილი ქმედებიდან გამომდინარე მოძალადეს აღკვეთ ღონისძიებად შეფარდებული არა აქვს პატიმრობა და ის პატიმრობაში არ იმყოფებოდა, მსხვერპლის თხოვნით სასამართლო მიიღებს გადაწყვეტილებას დამცავი ორდერის გამოცემის შესახებ და განუსაზღვრავს მოძალადეს შემზღუდავ ღონისძიებას, რომელიც მიმართული იქნება მსხვერპლის დაცვისაკენ. კონკრეტულ შემთხვევაში საუბარია ოჯახური ძალადობის ნიადაგზე აღძრულ სისხლის

სამართლებრივ დევნასთან და არა სხვა სახის დანაშაულებრივ ქმედებაზე.

რაც შეეხება შემაკავებელ ორდერს, მას გამოსცემს პოლიციის უფლებამოსილი პირი. შინაგან საქმეთა მინისტრის 2006 წლის 11 სექტემბრის №1070 ბრძანებით, „შემაკავებელი ორდერის და შემაკავებელი ორდერის ოქმის ფორმების დამტკიცების, აგრეთვე, მათი შედგენის უფლებამოსილი პირების განსაზღვრის შესახებ“.[3]. ასევე შინაგან საქმეთა სამინისტროს, კერძოდ, მინისტრის 2010 წლის 24 მარტის №333 ბრძანებით განისაზღვრა იმ პოლიციელთა ნუსხა, რომელთაც აქვთ უფლებამოსილება ოჯახში ძალადობის შემთხვევაში ფაქტზე ოპერატიული რეაგირებისათვის მსხვერპლის დაცვის უზრუნველყოფის მიზნით გამოსცენ შემაკავებელი ორდერი, რომელიც გარკვეულ შეზღუდვებს, დროებითი ხასიათის ამკრძალავ ღონისძიებებს უწყებს მოძალადეს.[2].

მოქმედი კანონმდებლობის თანახმად სასამართლო წარმოადგენს ერთად, ერთ ორგანოს, რომელსაც გააჩნია უფლებამოსილება, პირის მიმართ შემზღუდველი ხასიათის ღონისძიების გამოყენების შემთხვევაში მოახდინოს მისი დაკანონება და განუსაზღვროს ამკრძალავი ღონისძიებები პიროვნებას, ორდერი დასამტკიცებლად წარედგინება სასამართლოს მისი გამოცემიდან 24 საათის განმავლობაში .[2]

დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნის უფლება აქვს მსხვერპლს - პირს, ვინც უშუალოდ განიცადა მოძალადის მხრიდან ძალადობა, ოჯახის წევრს, კერძოდ, მათ უფლება აქვთ მიმართონ დამცავი ორდერის გამოცემის მოთხოვნით სასამართლოს, ოჯახის ერთი წევრისაგან მეორე წევრის დაცვის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ ძალადობრივი აქტი მიმართულია კონკრეტული პირის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ოჯახის წევრის სტატუსი, ამ შემთხვევაში, აძლევს უფლებას პირს მიმართოს სასამართლოს ოჯახის წევრის ინტერესების დასაცავად.[2].

შესაძლებელია მსხვერპლი იმდენად იყოს დათრგუნული ძალადობით, ეშინოდეს მასზე დამატებითი ძალადობრივი აქტის განხორციელების, განიცდიდეს ოჯახის სხვა წევრების მიმართ შიშს იყოს მა-

თი მხრიდან მუდმივი ძალადობის ობიექტი, ან არ სურს განცხადების შეტანის გამო გახდეს მორიგი ძალადობის პირდაპირი ობიექტი, დათრგუნულია, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა არ აძლევს მას საშუალებას თავად მიმართოს სასამართლოს მოძალადისაგან დაცვის მიზნით, ამ შემთხვევაში განცხადებას სასამართლოში, მსხვერპლის

თანხმობით წარუდგენს პირი, რომელიც მსხვერპლს უწევს სამედიცინო, იურიდიულ და ფსიქოლოგიურ დახმარებას, ხოლო არასრულწლოვნის მიმართ ძალადობის შემთხვევაში - ასევე მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს.

დამცავი ორდერის გამოცემის უფლება აქვს შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პოლიციელს. განსხვავებით დამცავი ორდერისა ოჯახში ძალადობის ფაქტზე რეაგირებისათვის პოლიციის უფლებამოსილი პირის გამოძახების უფლება აქვს ნებისმიერ მოქალაქეს.

რაც შეეხება დამცავ ორდერს, ის გამოიცემა 6 თვემდე ვადით, რაც იმას ნიშნავს, რომ საქმის გარემოებიდან გამომდინარე შეიძლება გამოყენებულ იქნეს ნებისმიერი ვადა ერთი დღიდან ექვს თვემდე.

დამცავი ორდერის მოქმედების ვადის შეცვლის საკითხს წყვეტს სასამართლო.

დამცავი ორდერის მოქმედება არ წყდება, ანუ პირობები არ უქმდება, თუ სასამართლო გადაწყვეტილებით გაგრძელებულია ორდერის მოქმედების ვადა და მისი პირობები ეხება ოჯახის სხვა წევრის, უპირველესად ბავშვის ინტერესებს.

შემაკავებელი ორდერი გამოიცემა ერთ თვემდე ვადით და მას ამტკიცებს ან დამტკიცებაზე უარს ამბობს სასამართლო. სასამართლო შემაკავებელი ორდერის დამტკიცების ან დამტკიცებაზე უარის თქმის შესახებ უფლებამოსილი პოლიციელის განცხადებას განიხილავს მისი მიღებიდან 24 საათის განმავლობაში, რის შემდეგაც გამოსცემს გადაწყვეტილების შემაკავებელი ორდერის დამტკიცების ან მასზე უარის თქმის შემთხვევაში.

დამცავი და შემაკავებელი ორდერი სავალდებულოა შესასრულებლად ორივე მხრისათვის, მაგრამ, თუ გარემოება რადიკალურად შეიცვალა და მხარეები ერთობლივი განცხადების საფუძველზე მიმა-

რთავენ სასამართლოს ორდერის გაუქმების მოთხოვნით სასამართლო განიხილავს ამ განცხადებას ადმინისტრაციული კანონმდებლობის თანახმად და წყვეტს მისი მოქმედების პირობებს .[2].

დამცავი და შემაკავებელი ორდერი მზადდება არანაკლებ 4 ეგ-ზემპლარისა, ამათგან ერთი ბარდება მსხვერპლს, ერთი ბარდება მოძალადეს, ერთი რჩება სასამართლოში და ერთი კი ორდერის გამცემ ორგანოში. ორდერი ძალაში შედის გამოცემისთანავე.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1.საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი თბ. 2017 წელი
- 2.აღნიშნული ბრძანებების სრული ტექსტი შს სამინისტროს ვებ-გვერდზე
- 3.აღნიშნული ბრძანებების სრული ტექსტი შს სამინისტროს ვებ-გვერდზე
- 4.საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარები თბ. 2017 წელი გვ.265
- 5.პაატა ტურავა „საქართველოს პოლიციის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების შესაბამისობა ადამიანის უფლებათა ევროპულ სტანდარტებთან ... სტატიათა კრებული „ადამიანის უფლებათა დაცვა და სამართლებრივი რეფორმა საქართველოში „კონსტანტინე კორკელიას რედაქტირებით თბ. 2014 გვ.119

ომარ მინდაძე, იურდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.
ქუთაისის აკ.წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი

**ოჯახში ძალადობის ფორმები მისი გამოვლენის ალკვიმისა და
დაცვის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები მოქმედ
კანონმდებლობაში**

სამართალდამცავი ორგანოების როლი ოჯახური ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში რადიკალურად შეიცვალა, სამართალდამცველმა ორგანოებმა გააცნობიერა რა ამ სამართალდარღვევის არსი, შეცვალა თავისი დამოკიდებულება პრობლემისადმი და პრიორიტეტი მსხვერპლის უსაფრთხოებას მიანიჭა, შესაბამისად, თანდათან შეიცვალა გამოძიების წარმოების, დაკითხვის ოქმის, შედგენის, მუშაკთა გადამზადების და საზოგადოების სხვადასხვა სტრუქტურებთან მუშაობის მეთოდები. ოჯახში ძალადობა ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების მიზნით ხდება.

ОМАР МИНДАДЗЕ, доктор юридических наук, профессор.

ГОСУДАРСТВЕННЫЙ УНИВЕРСИТЕТ А.ЦЕРЕТЕЛИ

Р е з ю м е

Формы насилия в семье, проблемы правового регулирования по его пресечению и защите в действующем законодательстве

Публикация содержит информацию о мерах по борьбе с насилием в семье, регулируемых законодательством Грузии.

Роль правоохранительных органов в борьбе с насилием в семье резко изменилась за последние двадцать лет. Осознав суть этого правонарушения, правоохранительные органы изменили свое отношение к проблеме и приоритеты дали безопасности жертвы. Соответственно, постепенно изменились методы расследования, составления протокола допроса, переподготовки работников и работы с различными структу-

рами общества. Насилие в семье происходит с целью установления власти и контроля над одним членом семьи.

OMAR MINDADZE, Doctor of Legal Science. Professor of the ATSU

**FORMS OF DOMESTIC VIOLENCE, PROBLEMS
OF LEGAL REGULATION OF PREVENTION AND
PROTECTION IN LEGISLATION**

Summary

The publication contains information about measures against domestic violence regulated by the Georgian legislation.

The role of law enforcement agencies in the fight against domestic violence over the past twenty years has changed dramatically, law enforcement agencies have realized the essence of this crime, changed their attitude to the problem and the safety of the victim has become a priority, therefore the investigation methods, interrogation protocol, retraining of workers and various structures have changed. by society. Domestic violence occurs by one family member to establish power and control another.

ნაბო შორეულიანი, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

პირველი მსოფლიო ომი შურნალ „კლდის“ შემასაბით

ამ დიდ ისტორიულ მოვლენას „კლდისტები“ იმედიანად შეხვდნენ და ყოველ ღონეს ხმარობდნენ, რომ ომში რუსეთის დამარცხების შემთხვევაში, საქართველოს „წისქვილზე მიეგდოთ ყველა, აქედან გამომდინარე ნაკადი“. მაგრამ ამის აშკარა განცხადება ძალიან სახიფათო იყო, ამიტომ „კლდე“ დიდ სიფრთხილეს იჩენდა, როცა ომთან დაკავშირებულ მოვლენებს აშუქებდა. „კლდისტებს“ შეგნებული ჰქონდათ, რომ „პატარა ერებმა მეტად სიფრთხილით უნდა ასწონ-დასწონონ თავიანთი ნაბიჯები, რომ აქლემთ ჩხუბის დროს კოზაკებივით არ გაიქყლიტონ“. რევაზ გაბაშვილი დაკვირვებული მოქმედებისკენ მოუწოდებდა თანამომხმეთ და ბულგარეთის, რუმინეთის, საბერძნეთის მაგალითები მოჰყავდა: „ამ ერებს „კბილები უკაწკაწებთ“, მაგრამ ბედის ცვალებადობისა ემინათ და ამიტომ ყოყმანობენ, ომში ჩაბმას არ ჩქარობენ“.

მიეცემოდათ თუ არა საშუალება „კლდისტები“ მაშინვე ერთა კონსოლიდაციას ქადაგებდნენ. პირველი მსოფლიო ომის დროს, როცა არა მარტო პატარა, არამედ დიდი ქვეყნების წინაშეც აღიმართა თავისუფლების დაკარგვის აჩრდილი „კლდემ“ მოწოდებით მიმართა ქართველთ-გაერთიანებულიყვნენ, დაევიწყებინათ კლასობრივი, წოდებრივი თუ პარტიული უთანხმოებანი, რათა მსოფლიოში მიმდინარე დიდი კატაკლიზმების დროს არ გათქვეფილიყვნენ და საკუთარი სახე არ დაეკარგათ.

„კლდემ“ მოხერხებულად გამოიყენა რუსეთის ე.წ „განმათავისუფლებელი“ მისია ომში და ერთხელ კიდევ შეახსენა იმპერიულ მთავრობას, რომ მისი მოვალეობა უპირველეს ყოვლისა, თავის სახელმწიფოში შემავალ ხალხებზე ზრუნვა იყო და შემდეგ სხვებზე. „ ამ ომს განმათავისუფლებლის სახელი ვუწოდეთ, ეს ომი ჩვენ შორეულების განსათავისუფლებლად დავიწყეთ, შორეულები გვიყვარს, რათ გვეჯავრება მახლობლები?“

„კლდის“ ჯგუფმა I მსოფლიო ომში გერმანიის ბლოკი აირჩია და მას დაუკავშირა ქართველი ერის გათავისუფლების იდეა. რევაზ გაბაშვილი იგონებდა, რომ „კლდე“ თავის პოზიციას ომთან დაკავშირებებით „თითქმის ახდილად“ გამოთქვამდაო, მაგრამ ჩვენ ასეთი განცხადება გადაჭარბებულად მიგვაჩნია. „კლდისტები“ დიდ სიფრთხილეს იჩენდნენ ომის შესახებ სტატიების წერისას, რადგან ემინოდათ თავიანთი პოზიციის გამო, რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში საქართველოსთვის იმპერიის მთავრობის რისხვა არ დაეტეხათ თავს. „კლდე“ ცდილობდა, მთავრობისთვის ქართველებისადმი სულ მცირე ეჭვიც კი გაექარწყლებინა. ამის საუკეთესო მაგალითია ე.წ. „სევასტოპოლის დეპეშა“, რომელიც „კლდეში“ გამოქვეყნდა 1915 წლის 8 მარტს. ეს დეპეშა გაუვრცელებია პეტროგრადის სატელეფონო სააგენტოს. ამ სააგენტოს კორესპონდენტის ცნობით, ამ დოკუმენტს გერმანიის ემისარი ვიწედან უგზავნიდა კონსტანტინეპოლში გერმანიის საელჩოს და გზაში რუსებს ჩაუგდიათ ხელში. ამ დეპეშით გერმანელი ემისარი იტყობინებოდა, რომ მაჰმადიანური საქართველო კარგად იყო მომზადებული, ქრისტიანული საქართველოს მომზადება პროკლამაციებით კი ფერხდებოდა, რადგან უნდობლად უყურებდნენ ქართველები გერმანელებს და არ იყვნენ დარწმუნებულნი მათ მხარდაჭერაში. ქართველთა ნდობის მოსაპოვებლად დეპეშის ავტორი ითხოვდა ჯარისკაცებს და დამატებით იარაღს, გადმოსხმის ადგილი უნდა ყოფილიყო ნატანების მისადგომები. ჩამოსული გემი ბორტზე აიყვანდა ქართულ კომიტეტს და დეპეშის ავტორს. საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტსა და გერმანიის საგარეო საქმეთა კომიტეტს შორის მართლაც იყო დადებული ხელშეკრულება, რომლის პირობები ითვალისწინებდა ლაზისტანში, კერძოდ, ვიწეში ქართული ლეგიონების შექმნას, რომელთა შეიარაღებასა და გაწვრთნაში გერმანიის სარდლობა დიდ დახმარებას აღმოუჩენდა ქართველებს. ასეთი ლეგიონები, მართლაც შეიქმნა, მათში შედიოდნენ ქართველი მაჰმადიანები და ქრისტიანი ქართველი მოხალისენი. მაგრამ ყოველივე ამის გაცხადება საერთო ქართულ საქმეს ზიანის მტეს არაფერს მოუტანდა, ამიტომ „კლდე“ მთელი მონდომებით გაილაშქრა ამ „შეთითხნილი

ცილისწამების“ წინააღმდეგ. „კლდეისტები“ ამტკიცებდნენ, რომ არავითარი შეთანხმება არ ყოფილა გერმანელებსა და ქართველებს შორის, რომ ეს ჭორი ქართველთა მტრების მოგონილი იყო. „კლდის“ პუბლიცისტები მოაგონებდნენ რუსეთის მთავრობას ქართველთა იმ ერთგულებას, რასაც ისინი იმპერიისთვის დიდებისა და გამარჯვების მოსაპოვებლად იჩენდნენ. რევაზ გაბაშვილი გულდაწყვეტითაც კი აღნიშნავდა, რომ სამწუხაროდ პოლიტიკაში ბატონობდა ანდაზა: „სიკეთისთვის სიკეთე არავის უქმნიაო“. „კლდემ“ შემდეგ ნომერში უკვე გამოაქვეყნა პეტერბურგის სააგენტოს კომენტარი „სევასტოპოლის დეპეშაზე“. სააგენტოს აზრით, გერმანიის ემისარის დოკუმენტი იყო კლასიკური მაგალითი იმისა, თუ როგორ ცდილობდა გერმანიის დიპლომატია მოწინააღმდეგე მხარეში გაუგებრობა და არეულ-დარეულობა შეეტანა.

ჩვენ ვერ დავამტკიცებთ იმას, რომ რუსეთის მთავრობამ დაიჯერა ქართველთა თავდაგაკლული ერთგულება. ჩვენი აზრით, მთავრობამ არ ჩათვალა საჭიროდ საქართველოსთან-იმპერიის საზღვარზე მდებარე ამ მნიშვნელოვან სტრატეგიულ ქვეყანასთან უნდობლობის ჩამოგდება და დავის გაგრძელება გაცხარებული ომის დროს და „სევასტოპოლის დეპეშა“ გერმანელთა მორიგ დიპლომატიურ ხრიკად მიიჩნია.

როგორც უკვე ავღნიშნეთ, საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტმა ხელშეკრულება დადო გერმანიასთან, ავსტრიასთან და ოსმალეთთან. „კლდეისტებს“ არ მოსწონებიათ ოსმალეთთან დადებული ხელშეკრულების პირობა-ქვეყნის შიგნით აჯანყების მოხდენისა, როგორც კი ოსმალთა ჯარი შემოვიდოდა ჩვენი ქვეყნის საზღვრებში. შეთანხმების ამ დიდმა ნაკლმა კინაღამ საფრთხეში ჩააგდო ქართველობა, როცა საქართველოს ტერიტორიაზე შემოჭრილ ოსმალებისთვის, რამდენიმე აჭარელსაც დაუჭერია მხარი. რუსეთის ხელისუფლებამ ეს მთელი აჭარის დალატად მიიჩნია და აჭარა მოღალატედ გამოაცხადა. მთელი ქართული საზოგადოება შეძრა ე.წ. „აჭარის საქმემ“. ატყდა განგაში ჟამთა სიავის გამო გამაჰმადიანებული აჭარელი ძმების დასაცავად. „კლდემაც“ არაერთი წერილი დაბეჭდა ამ თემაზე.

„კლდისტემმა“ აჭარელთა თავს დატეხილი უბედურება მთელი ქართველი ერის უზრუნველობის და დაუდევრობის შედეგად ჩათვალეს, რადგან იმპერიის მთავრობა არავის შეუწყუბებია და ომის გამო გაჭირვებაში ჩავარდნილი აჭარლებისთვის დახმარების აღმოჩენა არავის უთხოვია. მეზობელმა სომხებმა კი რა არ იღონეს, „დღე და ღამე ბუკნადარასა სცემენ, გამოქცეულ სომხებს დაეხმარეთო“. საერთო პროტესტმა გასჭრა და მხოლოდ 9 კაცი მისცა რუსეთის მთავრობამ პასუხისგებაში. მაგრამ ამით არ დამთავრებულა „აჭარის საქმე“. აჭარაში ეგზეკუცია ჩააყენეს და მთელი პროვინცია ყაზახებს გაამარცხინეს. ამასაც არ დასჯერდა მეფის ხელისუფლება და სასტიკი ხერხის გამოყენება სცადა იმპერიული მიზნების განსახორციელებლად. მთავრობამ მოითხოვა, რომ საქართველოს „მოხალისეთა რაზმები“ გამოეყვანა ოსმალეთის წინააღმდეგ; ამ რაზმებს აჭარლები უნდა აეყარათ და ოსმალეთში გადაერეკათ. ამ ფანდიით ორი კურდღლის დაჭერა უნდოდა მთავრობას–სამუდამოდ ჩატეხვა ქართველი და მაჰმადიანი ქართველების შემაკავშირებელი ხიდისა და დიდი ტერიტორიის გათავისუფლება ტახტის ერთგული სომხებისა რუსების ჩასახლებლად. მოხალისეთა რაზმების შედგენაზე უარის თქმა ღალატად იქნებოდა შეფასებული, ამიტომ ქართულმა საზოგადოებამ ასეთი გამოსავალი მოძებნა: რევაზ გაბაშვილის მოგონებებს თუ დავეყრდნობით, „თავადაზნაურობამ დაასახელა მომავალი რაზმების უფროსად – ჩვენი მეგობარი, თავის პატრიოტიზმით ცნობილი, მოხუცი გენერალი ალექსანდრე ვაჩნაძე. ამ პირველ ჩვენს გამარჯვებას მოჰყვა დანარჩენი–სრული: თბილისის და ქუთაისის რაზმის ფაქტიურ უშუალო უფროსად, ჩვენივე მეგობარი გიორგი ჯანდიერი, მის თანაშემწედ–ესტატე მაჩაბელი და „ადიუტანტად“– დათა ვაჩნაძე. ამგვარმა პატრიოტულმა შემადგენლობამ რაზმების ხელმძღვანელების, თვით ამ რაზმების დანიშნულებაც შეცვალა. რევაზ გაბაშვილის თქმით, ალ.ვაჩნაძემ ოფიცრებსა და ჯარისკაცებს გაჭირვებაში ჩავარდნილი მოძმე აჭარლებისთვის დახმარების აღმოჩენა მიზნად დაუსახა.

რადგანაც, ჩვენი კვლევის ობიექტი მხოლოდ ჟურნალი „კლდეა“, ამიტომ სრულად ვერ წარმოვაჩინეთ მთელი პირველი მსოფლიო ომის

მსვლელობისას ეროვნულ–დემოკრატიულ მოღვაწეთა საქმიანობისა და სხვადასხვა მნიშვნელოვან მოვლენებზე მათ პოზიციებს, რადგან „კლდე“ 1915 წლის შუახანებამდე გამოდიოდა მხოლოდ.

ამგვარად, ჟურნალი „კლდე“ უკონპრომისო ბრძოლას ეწეოდა საქართველოს კეთილდღეობისათვის, მაგრამ დროის შესაფერის სიფრთხილესაც იჩენდა. სწორედ ამ სიფრთხილის გამო ძალიან შეფარვით წარმოაჩინეს „კლდეისტებმა“, რომ I მსოფლიო ომში გერმანიის ბლოკს უჭერდნენ მხარს და მას უკავშირდებოდნენ საქართველოს განთავისუფლების იდეას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. რ.გაბაშვილი–„რაც მახსოვს“ თბ.1992 წ.
2. ჟურნალი „კლდე“–„ნაციონალიზმი, ინტერნაციონალიზმი და კოსმოპოლიტიკა“ 1915 წ. №1
3. ჟ. „კლდე“–„აჭარა და აჭარლები“. 1915 წ. №8
4. ჟ. „კლდე“– „ომი და ჩვენი მომავალი“ 1915 წ. №11
5. ჟ. „კლდე“–„მერქეკოვსკი და ჩაგრული ერების ბედი რუსეთში“ 1915 წ. №12

ნათი შორშოლიანი, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა
აკადემიის აკადემიკოსი

პირველი მსოფლიო ომი ჟურნალ „კლდის“ შეფასებით

რეზიუმე

სტატიაში ავტორი მიმოიხილავს ჟურნალ „კლდის“ უკონპრომისო ბრძოლას საქართველოს კეთილდღეობისათვის და დოკუმენტურ მონაცემებზე დაყრდნობით წარმოგვიდგენს I მსოფლიო ომის მსვლელობისას ეროვნულ–დემოკრატიულ საქმიანობასა და მათ მხარდაჭერას გერმანიის ბლოკისადმი.

НАТО ЖОРЖОЛИАНИ, академик Академии наук туризма Грузии
ОЦЕНКА ПЕРВОЙ МИРОВОЙ ВОЙНЫ ЖУРНАЛОМ „КЛДЕ“

Резюме

В статье автор обозривает безкомпромисную борьбу журнала „Клде“ за процветание Грузии и на основе документных данных представляет нам деятельность национал - демократов и их поддержку германскому блоку во время хода первой мировой войны.

NATO ZHORZHOLIANI, Academician of the Georgian Academy of
Sciences of Tourism

**THE FIRST WORLD WAR IS ESTIMATED BY MAGAZINE "THE
ROCK"**

In the article the author reviews the uncompromising struggle of the magazine "The Rock" for the well-being of Georgia and it represents the activities of the National Democrats and their support based on the documentary data on the German bloc during the First World War.

ვლადიმერ წვერაშვა, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი. ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტი

არტურ ლაისტი და საქართველო

საკვანძო სიტყვები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, თედო სახოკია, არტურ ლაისტი, ქუთაისი, საქართველო, 1884 წელი, 1892 წელი, 1927 წელი.

პირველი უცხოელი, ვინც იშვიათი გამძლეობით და მაღალი შეგნებით სიბერემდე მიიტანა საქართველოს მწერლობისა და ისტორიის სიყვარული, ეს იყო მხოლოდ არტურ ლაისტი. მან თავისი ცხოვრება მთლიანად დაუკავშირა საქართველოს, გახდა ქართველი ხალხის გულითადი მეგობარი და მოჭირნახულე. დაწერა მრავალი წიგნი და გამოკვლევა ქართველ მწერლებსა და საზოგადო მოღვაწეებზე. წიგნში: „საქართველოს გული“ არტურ ლაისტის სიყვარულით ლაპარაკობს ყოველ მათგანზე, სიმპათიითა და პატივისცემით ეპყრობა ქართული მხატვრული სიტყვის თვალსაჩინო ამაგდრებს (ს. არველაძე, 1991:197).

არტურ ადოლფის ძე ლაისტი 1852 წელს დაიბადა პოლონეთის ქალაქ ბრესლაუში (ვროცლავი) სილეზიელი გერმანელი პედაგოგისა და პუბლიცისტის ოჯახში. 22 წლისამ, მამის პროფესიას, ჟურნალისტობას ეხიარა და როგორც პოლონური ენის სრულყოფილად მცოდნე ერთდროულად ვარშავის სამ გერმანულ გაზეთში თანამშრომლობდა (რ. სურმანიძე, 2017:101).

საქართველო არტურმა ნიკო ნიკოლაძის წერილებით გაიცნო, შემდეგ ევროპაში მოგზაურობის დროს შეხვდა მწერალს და ეპიგონური რომანტიზმის წარმომადგენელს, ფრიდრიხ ფონ ბოდენშტედტს (1819-1892), რომელიც კრავად იცნობდა საქართველოს, აქ დიდხანს ცხოვრობდა და ამ ქვეყანას მრავალი ნაწარმოები მიუძღვნა. არტურის ინტერესი იმდენად დიდი იყო, რომ საქართველოში ჩამოსვლამდე შეისწავლა ქართული ენა, შეაგროვა მასალები და პერიოდულად აქვეყნებდა გერმანულ და პოლონურ ჟურნალ-გაზეთებში.

არტურ ლაისტის პუბლიკაციები საქართველოსადმი დიდი მოწიწებით და სიყვარულით გამოირჩეოდა, ამიტომ არაერთხელ ქარ-

თული პრესაც გამოეხმაურა, ილია ჭავჭავაძემ კი იგი 1884 წელს ერთი თვით საქართველოში მიიწვია.

ამ სტუმრობას დიდ შეფასებას აძლევდნენ ქართველი მოღვაწეები, რაც მაშინდელ პრესაშიც აისახა: „ამ დღეებში ესტუმრა ჩვენს ქალაქს ბ-ნი არტურ ლაისტი, რომელმაც რამდენიმე წერილი დაბეჭდა ევროპულ ჟურნალ-გაზეთებში საქართველოს ისტორიისა და ლიტერატურაზე, რომელიც სამი წელიწადი იქნება, რაც დიდი ხალისითა და სიყვარულით სწავლობს ქართულ ენას, ისტორიასა და ლიტერატურას, თვალყურს ადევნებს ქართველთა ცხოვრებას და წარმატებას და თავის შესწავლისა და ცოდნის ნაყოფს უზიარებს ევროპის მკითხველ საზოგადოებას (გაზ. „დროება“, №118, 3 ივნისი, 1884:2-3).

ამ წერილის გამოქვეყნებას წინ უძღოდა სადილი, რომელიც ილ. ჭავჭავაძემ გამართა არტურ ლაისტის საპატივცემულოდ. სადილზე მასპინძელმა მიიწვია ქართველი მწერლები, ჟურნალისტები. სტუმარს ილიამ მიმართა სიტყვა-სადღეგრძელოთი, რომელიც მჭერმეტყველების ნიმუშს წარმოადგენს და ასახავს უცხოეთიდან საქართველოში მოსიყვარულე მეგობრების ჩამოსვლას (რ. სურმანიძე:103).

ერთი წლის შემდეგ არტურ ლაისტი საკუთარი ნებით ჩამოვიდა საქართველოში, სადაც ივანე მაჩაბლის დახმარებით „ვეფხისტყაოსნის“ თარგმანს მიჰყო ხელი. 1892 წლიდან იგი საბოლოოდ დამკვიდრდა საქართველოში და აქვე, როგორც თვითონ უწოდებდა, „სამშობლონაცვალ“ ქვეყანაში 75 წლისა 1927 წელს მიიცვალა.

ქართველი მოღვაწეების თანადგომით არტურ ლაისტმა შესძლო გერმანულ და პოლონურ ენებზე გადაეთარგმნა ქართული პოეზიის ნიმუშები, შეადგინა ერთ აღმანახად, რამაც სათანადო გამოხმაურება გამოიწვია ევროპაში. გარდა ამისა, გერმანელმა მწერალმა ერთ-ერთ ჟურნალში გამოაქვეყნა ვრცელი სტატია ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის შესახებ.

არტურ ლაისტმა თვითონ გაიცნო და შემდეგ მთელი ევროპას გააცნო ქართველი ხალხი, რომელსაც, ილიას თქმით, უცემს დიდი გული კაცობრიობის წარმატებისა, სიკეთისა და ბედნიერებისათვის.

მთელი ორმოცი წელი არტურ ლაისტი გერმანელთა შეუცვლელი ელჩი იყო საქართველოში, ბევრი ამ დათესა და გააკეთა თავისი ერის სიყვარულისათვის ჩვენს ქვეყანაში. ამ ხნის განმავლობაში იგი იყო განუყრელი მეგობარი ილია ჭავჭავაძისა, ასევე იცნობდა და მეგობრობდა აკაკის, აგრეთვე ბევრ მაშინდელ გამოჩენილ ქართველ მოღვაწეებს.

საქართველოში ჩამოსვლის მომენტიდან არტურ ლაისტი ქართული საზოგადოების აუცილებელი წევრი ხდება. გულმოდგინედ ეცნობა ხალხის ცხოვრებას, ეროვნული კულტურის მონაპოვრებს, აკაკისთან და დავით ერისთავთან ერთად ყოველ შაბათს ესწრება ქართული დასის წარმოდგენებს, ყველგან და ყოველთვის იქაა, სადაც მისი მეგობრები ილია, აკაკი და სხვები იყვნენ.

არტურ ლაისტი აღვიწერს ილიას და აკაკის შეხვედრებსა და საუბრებს; ეს ორი მეგობარი ხშირად ხვდებოდა ერთმანეთს იაკობ გოგებაშვილის, დავით სარაჯიშვილის და სხვა ქართველ მოღვაწეთა ბინებში. მათი მსჯელობის საგანი საზოგადო საქმე იყო და არტურ ლაისტიც ეწაფებოდა ოლიმპიელთა აზრებსა და ნაკვესებს. ამით იგი კიდევ უფრო ღრმად სწავლობდა ქართველთა ბუნებას, ზნეს და ხასიათს, საუკუნოვან ტრადიციებს.

ილია-აკაკის ეპოქა! ილია და აკაკი! შემთხვევითი როდია ამ ორი სახელის დაწყვილება! არტურ ლაისტი თვლიდა, რომ ქართული ხელოვნების დედაბოძი მე-19 საუკუნეში მაინც წყობილსიტყვაობა იყო, რომელიც ახალი სულით აღივსო ილიას და აკაკის მეოხებით. ახალ ცხოვრებას ილია და აკაკი უფრო შეეფერებიანო, უთქვამს არტურ დაისტს (ს. არველაძე:198).

ნახევარი საუკუნის განმავლობაში ისინი თითქმის მხარი მხარს იდგნენ ქართული გონებრივი ცხოვრების ასპარეზზე, მაღლა ეჭირათ და იცავდნენ მის იდეალებს! ორთავენი ერთნაირი გულისწყრომითა და თავდავიწყებით ებრძოდნენ ყველას, ვინც კი ზურგი აქცია თანამემამულეებსა და სამშობლოს მომავლის რწმენას; თვით უმძიმეს დროსაც არ კარგავდნენ იმედს, თავიანთი ხანგრძლივი სიცოცხლის უკანას-

კნელ წლებშიც იმდენად შეჰყურებდნენ ქართველი ერის კულტურული ცხოვრების მომავალ აღორძინებას.

არტურ ლაისტის ქუთაისური შთაბეჭდილებები ძირითადად ორი კუთხით იქცევენ მკითხველის ყურადღებას. ერთის მხრივ, მწერლის დროინდელ ცნობილ ქუთაისელთა დახასიათებითა და მეორეს მხრივ, - ჩვენი ქალაქის ღირსშესანიშნაობათა წარმოჩენით (ა. ნიკოლეიშვილი, ოთ. ნიკოლეიშვილი, 2012:204).

ერთ შემთხვევაშიც და მეორეშიც არტურ ლაისტმა თავის მონათხრობში საკმაო რაოდენობით შემოიტანა მემუარული ელემენტები, რითაც მისი შთაბეჭდილებების ემოციური ზემოქმედების ხარისხი კიდევ უფრო მეტად გაიძაფრა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ყურადღება, პირველ ყოვლისა, ამ დიდი სიყვარულისა და მოწიწების წარმოჩენას გვინდა მივაქციოთ რასაც არტურ ლაისტის ხაზგასმით, აკაკი წერეთლის მიმართ გამოხატავდნენ ხოლმე ქუთაისელები (ავ. ნიკოლეიშვილი, ოთ. ნიკოლეიშვილი, 2012:204).

აკაკი, როგორც ლირიკოსი შეუდარებელი იყო. იგი ვერ ეგუებოდა, უფრო სწორად, ვერ იტანდა, როგორც ლაისტი იტყოდა, ეპიკური ობიექტურობის ბორკილებს და ამიტომ მისი პოემები და დრამები სავსეა ლირიზმით. ამ მხრივ, იგი დიდ ბაირონს გავს. ყოველი მისი თხზულება ძლიერად მოქმედი ლირიზმითაა აღბეჭდილი. აკაკის პოეტური სული უკვდავია და იცოცხლებს არა მხოლოდ წიგნებში, არამედ ხალხის გულსა და გონებაში. ყურადღებას აქცევს არტურ ლაისტისეული აზრი იმის შესახებ. თუ რა შეადგენს აკაკის პოეზიის უდიდეს ღირსებას. ჩემი აზრით, და გემოვნებით, - განმარტავდა იგი, - აკაკი ყველაზე უფრო ლამაზად და ძლიერად საქართველოს სიყვარულს დამდეროდა; მის სევდიან ხვედრსა და მომავლის სასოებას ისეთი მომხიბვლელიობით გამოხატავდა, რომ სულსა და გულს სწვდებოდა...“ (ს. არველაძე:198).

არტურ ლაისტის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ იმერეთისა და „მის უმთავრეს მარგალიტად ქცეული ქუთაისის სილამაზის სადიდებლად საუკუნეების განმავლობაში ჟღერდა ჩონგური“, ღმერთმა მხოლოდ აკაკის ათქმევინა ამ ქალაქის „დიდი ქებათაქება და

იქამდის“, ვიდრე ამ ქალაქის „ლამაზნი ასულნი ხიბლავენ მის ვაჟებს, ვიდრე რიონი მოშხუის მწვანე ხეობით და მისი დაუდეგარი ტალღების მიისწრაფვიან შავი ზღვისაკენ, ცოცხალი იქნება აკაკის სიმღერაც“ (ავ. ნიკოლეიშვილი, ოთ. ნიკოლეიშვილი, 2012:205).

არტურ ლაისტი შენიშნავდა, რომ დასავლეთ საქართველო, კერძოდ, იმერეთი, მდიდარ მასალას აძლევდა მწერლობას იუმორისათვის - სასაცილო მხარეთა განვითარებას ხელს უწყობს მათი ტემპერამენტი, ცოცხალი და მოძრავი ხასიათი, იმერეთმა, ლაისტის თქმით, ქართულ მწერლობას აკაკის სახით მისცა მწველი იუმორისტული ნიჭის შემოქმედი. თუმცა, ისიც მახვილად შენიშნა, რომ იგი თავისი იუმორით თვითონვე ერთობოდა, კერძო ცხოვრებაში ჰლევდა ამ ნიჭს და ვერ გამოიყენა იგი მთლიანი მხატვრული ნაწარმოების შესაქმნელად.

აკაკის უბადლო ლირიკული ქმნილებანი მთელი ხალხის კუთვნილებად იქცა. უადრესად ხალხურია აკაკის მთელი პოეზია, მისი ყველა ლექსი და სიმღერა, რომლებიც ესოდენ პოპულარულია უცხოელ მკითხველთა შორისაც. და თუ გერმანელი ხალხი იცნობს აკაკის და მღერის „სულიკოს“, ეს არტურ ლაისტის დამსახურებაცაა.

არტურ ლაისტს ხიბლავს ქართული ადათ-წესები, ეთნოგრაფია, რომელსაც მწერლები გარკვეულ ადგილს უთმობენ მხატვრულ ნაწარმოებში. თუმცა ძალზე იშვიათად, რაოცა ქართველთა უმდიდრესი ტრადიციები მთელ მსოფლიოს ინტერესების საგანი შეიძლება გახდეს. მათ შორის, ვინც საკმაოდ ვრცლად და საფუძვლიანად შეისწავლა საქართველოს ზოგი კუთხის ადათ-წესები, ავტორს მხედველობაში ყავს თედო სახოკია და მისი დიდი ნაშრომი „მოგზაურობანი“, რომელიც ცხრაასიანი წლების დასაწყისში იბეჭდებოდა „მომამბეში“.

თავის მხრივ, არც თედო სახოკია რჩება ვალში და საკმაოდ შინაარსიანად გადმოგვცემს არტურ ლაისტის დვაწლს საქართველოში. იგი ცდილობს „მჭიდროდ დაგვახლოვოს გერმანულ ხალხთან, მათ ინტელიგენციასთან, მათი გული ჩვენ მოგვაგებინოს და ჩვენი - მათ* ეხმარება ყველა ქართველ ახალგაზრდას, ვინც კი სასწავლებლად მიდის გერმანიაში, რჩევა-დარიგებას აძლევს, სარეკომენდაციო წერილებს ატანს გერმანიაში პროფესორებთან, გზას ულოცავს. არტურ

ლაისტი ცდილობს საქართველოდან გერმანიაში გაამგზავროს მთელი რიგი ქართველი ხელოსნების ხელობის უკეთესად შესასწავლად* გერმანიის მთავრობასთან შუამდგომლობს - გამოაგზავნოს გერმანიიდან ხელოსნები, ინსტრუქტორები ქართველთა შორის სხვადასხვა ხელობის გასავრცელებლად. თვალსაჩინოდ, პრაქტიკულად ... აარსებს გერმანულ-ქართველთა მეგობრობის საზოგადოებას, გერმანული ენის კურსებს“ (თ. სახოკია, 1984;76).

სახელოვანი ქართველი მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი და ხატოვანი სიტყვის ოსტატი ამითაც არ დაკმაყოფილდა. მან თარგმნა არტურ ლაისტის „საქართველოს გული“. დაურთო წინასიტყვაობა და 1923 და 1927 წელს, ე.ი. ჯერ კიდევ არტურ ლაისტის სიცოცხლეში ორ ნაწილად გამოსცა.

ამგვარად, არტურ ლაისტი ევროპელ ავტორთაგან ყველაზე გამორჩეული პიროვნებაა, იმითაც, რომ მან საქართველო პირდაპირი მნიშვნელობითაც იქცა მის მეორე სამშობლოდ, ხანგრძლივი დროის განმავლობაში იგი ცხოვრობდა საქართველოში და სამუდამო განსასვენებლადაც აქ განისვენებს თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ავ. ნიკოლეიშვილი, ოთ. ნიკოლეიშვილი, ევროპელი ავტორები ქუთაისის შესახებ (XV-XIX საუკუნეები), ქუთ., 2012
2. თ. კილაძე, არტურ ლაისტი, როგორც კულტურათაშორისი მედიატორი. თბ., 2016
3. რ. სურმანიძე, ქართულ-გერმანული ურთიერთობანი. ბათ., 2017
4. ს. არველაძე, აკაკი და არტურ ლაისტი. ჟურ. „განთიადი“, №11-12, ქუთ., 1991

ვლადიმერ წვერავა, პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტი. ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტი

არტურ ლაისტი და საქართველო რეზიუმე

ქართული კულტურის პოპულარიზაციას ავსტრიაში, პოლონეთსა და გერმანიაში ეწეოდა ქართველი ხალხის მეგობარი არტურ ლაისტი. იგი საქართველოში რამდენიმე ხნით ნამყოფი გერმანელი პოეტი-მოგზაურის ფრიდრიხ ბოდენშტედტის შთაგონებით ქართული ენის შესწავლის მიზნით 1884 წელს ჩამოვიდა.

არტურ ლაისტი ჩამოსვლისთანავე დაუკავშირდა ი. ჭავჭავაძეს, აკ. წერეთელს, ივ. მაჩაბელს, ი. გოგებაშვილს, რ. ერისთავს, თ. სახოკიას და სხვ. ქართველ საზოგადო მოღვაწეებს. იგი საინტერესო ცნობებს აწვდიდა ყველა იმ ევროპელს, რომლებთანაც მას კავშირი ჰქონდა და რომლებსაც საქართველო აინტერესებდათ.

1885 წელს არტურ ლაისტმა გამოაქვეყნა საქართველოზე „მოგონებები“. მან ასევე ი. ჭავჭავაძისა და ივ. მაჩაბლის დახმარებით თარგმნა და გამოაქვეყნა 1889 წელს „ვეფხისტყაოსანი“. იგი 1892 წლიდან სამუდამოდ დასახლდა საქართველოში. არტურ ლაისტს ილია ჭავჭავაძემ შეარქვა „მორეული თავისიანი“. 1927 წელს არტურ ლაისტი გარდაიცვალა და იგი დასაფლავებულია დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

VLADIMIR TSVERAVA, Professor of the ATSU

ARTHUR LAIST AND GEORGIA

Arthur Laist, friend of Georgian people, popularized Georgian culture in Austria, Poland and Germany. He arrived in Georgia in 1884, with the inspiration of a German poet-traveler Friedrich Bodenstedt, to study Georgian Language.

As soon as he arrived in Georgia, he contacted Ilia Chavchavadze, Akaki Tsereteli, Ivan Machabeli, Iakob Gogebashvili, R. Eristavi, T. Sakhokia

and other Georgian public figures, He provided interesting information to all Europeans with whom he had a connection and who were interested in Georgia.

In 1885 Arthur Laist published the “Memoirs” about Georgia. He also translated and published “The Knight in the Panther’s skin in 1889 with the help of Ilia Chavchavadze and Ivan Machabeli. Since 1892 he settled in Georgia forever Ilia Chavchavadze called Arthur Laist “Distant relation”. Arthur Laist died in 1927 and is buried in Didube Pantheon of Writers and Public Figures.

გიორგი იობაშვილი – აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის საქართველოს ისტორიის
მიმართულების დოქტორანტი

გერმანელი არქიტექტორები და მხატვრები საქართველოში

საკვანძო სიტყვები: ფრიდრიხ ზალცმანი, ალექსანდრე ზალცმანი, ალბერტ ზალცმანი, გუსტავ რიდე, ოსკარ შმერლინგი.

კავკასიისა და კერძოდ ამიერკავკასიის უძველესი ისტორია და კულტურა, უმშვენიერესი ბუნება და აქ მცხოვრები ადამიანების განსხვავებული ხასიათი, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იზიდავდა უცხოელ-ისტორიკოსებს, მწერლებს, პოეტებს და მხატვრებს.

მათ დაგვიტოვეს მნიშვნელოვანი ნაშრომები საქართველოს შესახებ, მეტად ფასეული ისტორიული ცნებები. იყო შემთხვევები, როცა სტუმრად ჩამოსული უცხოელი ისე მოხიბლულა ჩვენი ქვეყნით, რომელიც მისთვის მათი შთაგონების წყარო გამხდარა, რომ აქ დასახლებულა, თავისი ნაწარმოებებიც მთლიანად საქართველოსთვის მიუძღვნა.

ჩვენს სტატიაში გვინდა რამდენიმე გერმანელი არქიტექტორისა და მხატვრის შემოქმედება განვიხილოთ, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში არქიტექტურის ისტორიაში, თუმცა ყველა მათგანს ვერ ჩამოვთვლი.

XIX საუკუნის დასაწყისიდან, როცა რუსეთმა მოახერხა საქართველოს ოკუპაცია და დაიწყო რუსული მმართველობის დამყარება საქართველოში, ძირითადად თბილისის არქიტექტურაში დაიწყო ევროპელი სტილისტური თავისებურებანი. XIX საუკუნის დასაწყისიდანვე თბილისში ფეხს იკიდებს რუსული კლასიციზმი და ამ სტილის მნიშვნელოვანი ნიმუშები შენდება. XIX -ს მეორე ნახევრიდან კი რუსული და ევროპელის კვალდაკვალ სტილისტური მრავლფეროვნების გზას ადგება. კლასიციზმი გზას უთმობს ყველა ცნობილი ეპოქის

არქიტექტურული სტილების მოიშველიებას. ამ პერიოდის თბილისი ერთნაირად ითვისებს კლასიციკლურ, რენესანსულ, ბაროკულ ფორმებს.

მიუხედავად სტილისტური მრავალფეროვნებისა XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურისათვის სიახლოვე და შენობების ერთმანეთთან დამახასიათებელი აქცენტების ერთნაირი ფასადებზე მკვეთრი და დომინანტის გამოუყოფლობა, ორდერის თანაბარ-ზომიერი რიტმის უკუგდებაა და ა. შ. (მ. მანია, 2008; 8)

XIX საუკუნის თბილისში მრავალი უცხოელი არქიტექტორი, თუ ინჟინერი მოღვაწეობდა, რომელთა წვლილი ქალაქის არქიტექტურის განვითარებაში ნამდვილად ფასდაუდებელია. ევროპელ არქიტექტორთა მიერ აშენებული შენობები მტკვრის ორივე ნაპირის მთავარი არტერიებს-მარჯვენა, შოთა რუსთაველის (ყოფილი გოლივინის) და მარცხენა დავით აღმაშენებლის (ყოფილი მიხეილის, შემდეგომ გ. პლახონოვის) პროსპექტების გასწვრივ და მათ მიმდებარე კვარტლებშია გაბნეული. ევროპელმა არქიტექტორებმა დიდწილად განსაზღვრეს როგორც ამ უბნების ისე, ისტორიული თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სამოსახლო ნაწილის-სოლოლაკის ახლებური განაშენიანების მასშტაბი და სტილისტური სახეც. (იქვე)

ევროპელი და გერმანელი არქიტექტორების შემოქმედება თბილისში პირველად ძველი ქართული ხუროთმოძღვრებისა და XIX საუკუნის თბილისის არქიტექტურის ცნობილმა მკვლევარმა აკადემიკოსმა ვახტანგ ბერიძემ გამოიკვლია. მან პირველმა მოიძია დიდებული საარქივო მასალა და თბილისში შემორჩენილი შენობებთან იდენტიფიკაცია. მანვე შემოგვთავაზა ევროპელების მიერ აშენებული შენობების კლასიფიკაცია და არქიტექტორთა თუ მშენებელ ინჟინერთა ბიოგრაფიები.

თბილისში ევროპულ არქიტექტორთა მოღვაწეობის შესახებ არაერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვეს არქიტექტორებმა: თამაზ გურამიამ და თენგიზ კვიციანიამ. (მ. მანია; 10)

XIX საუკუნის თბილისის ახალი სახის ჩამოყალიბებაში, ახალი ქალაქის მხატვრული არქიტექტურული სახის შექმნაში უდიდესი

წვლილი შეიტანეს ხუროთმოძღვრებმა: ჯოვანი სკუდიერიმ, ჯუზეპე ბერნარდაჩიმ, ოტო იაკობ სიმანსონმა, ალბერტ ზალცმანმა, ლეოპოლდ ბილფელდმა, ალექსანდრე შიმკევიჩმა, ვიქტორ შრეტერმა, პაულ შრეტერმა, ალექსანდრე რიგისკიმ, ფერდინანდ ლემკულმა, იოჰან დიცმანმა და სხვა.

თბილისში მოღვაწე უცხოელ ხუროთმოძღვართა შორის ერთ-ერთი წამყვანი ადგილი გერმანელებს უჭირავთ. გერმანული შენობების ხვედრითი წონაც სხვა ევროპულ შენობებთან შედარებით ყველაზე დიდია, რაც თავის მხრივ, გერმანულ-ქართული კულტურულ ურთიერთობების თითქმის ასწლოვანი ისტორიის ერთი გამოხატულებაა.

აღსანიშნავია, რომ გერმანული, არსებული თუ აღარარსებული შენობების კონცენტრაცია ქალაქის ამ ნაწილისათვის იყო და დღესაც არის დამახასიათებელი. თბილისის გერმანულ კოლონიაში დასახლებულან და იქვე აუცილებლად საკუთარი საცხოვრებელი სახლები არქიტექტორებს: ალბერტ ზალცმანს, ლეოპოლდ ბილფელდს, პაულ შტერნს, ინჟინერ მშენებელს იოსებ რუკსს.

თბილისის კოლონიის ანალოგიური პრინციპით აშენდა ცოტათი გვიან ალექსანდერდორფიც, ახლანდელი დიდუბე, აკაკი წერეთლის პროსპექტი და მისი მიმდებარე კვარტალები.

აღნიშვნის ღირსია და ფრიად საყურადღებოა, რომ გერმანულ კოლონისტებს თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდეთ შეტანილი ძველი თბილისის შუაგულში, მტკვრის მარცხენა ნაპირზე მდებარე ერთ-ერთი უძველესი უბნის, რიყის განაშენიანების ჩამოყალიბებაშიც. რთულრელიეფიანი თბილისის ყველაზე დაბალ ნიშნულზე მდებარე რიყე მუდმივი წყალდიდობის გამო, მხოლოდ XIX საუკუნეში იქნა ათვისებული. მისი განაშენიანების მსგავსად თბილისის კოლონიის, (კუკიის მიწა გ.ი) რეგულარულ პრინციპს ემყარებოდა. ამ უბნის შენობათა ტიპს კი ე.წ. თბილისური ეზოიან-აივნიანი სახლი შეადგენდა. (მ. მანია; 12)

რიყე უკვე XIX-ს 30-იან წლებში გერმანელი კოლონისტი ხელოსნების ადგილსამყოფელი იყო. უკვე 1835 წელს აქ სახლი ჰქონდა

გეორგ კუფუს შულცს. 1843-1844 წლიდან თბილისელ კოლონისტებს ხრისტიან მერგენტადერს და ვინმე ბადეროს. 1842 წელს აქ საკუთარი სახლი აუშენებია ფრიდრიხ ზალცმანს და ა. შ. (იქვე)

სხვათა შორის უკანასკნელი, სახელმძღვანელო თბილისელი ხუროთმოძღვრის ალბერტ ზალცმანის მამა გერმანიის ქალაქ ვიუტემბერგის მკვიდრი, თბილისში 1812 წელს ჩამოვიდა. ფრიდრიხ ზალცმანი, კავკასიის საზოგადოების აგრონომი და საპატოო მოქალაქე (1845წელს) ჯერ კიდევ 1836 წელს აშენებს სასტუმროს რიყეზე მწერალი და პოეტი ფრიდრიხ ბოდენშტედტი, ნეიდჰერდტის შვილების ფრანგულის მასწავლებლად ჩამოსული თბილისსა და კავკასიაში, იგონებს ზალცმანისეულ სასტუმროს „ცისფერ ოთახს“, რომელშიც გერმანელი კოლონისტები იკრიბებოდნენ და მხოლოდ გერმანულად საუბრობდნენ რომ თავისი სამშობლო ეგრძნოთ.

ალბერტ ზალცმანი, ოსკარ შმერლინგის შორეული ბიძა, 1833 წელს დაიბადა თბილისში. მან სანკტ-პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში მიიღო განათლება და სწავლის მიზნით, მოიარა გერმანია, საფრანგეთი და ბელგია. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ზალცმანმა ააშენა კავკასიის მუზეუმი (დღეს დანგრეულია), საქალაქო ბიბლიოთეკა (დღეს დანგრეულია), ბორჯომის საზაფხულო სასახლე (დაიწვა-1992), სასტუმრო „ორიენტი“, „ცისფერი გალერეა“ კათოლიკური ეკლესია, გიმნაზია და რამდენიმე სახლი თბილისის ბურჟუაზიისათვის, რომელთა გარე ფასადებზე ცენტრალურ-ევროპული და აღმოსავლური საამშენებლო სტილი, ერთმანეთს ერწყმოდა და ვერნერულიდან აირეკლებოდა.

ალბერტ ზალცმანის ვაჟი, ალექსანდრე ჯერ მოსკოვის სამხატვრო აკადემიაში სწავლობდა, მოგვიანებით კი მიუნხენში ფრანც შტუკთან. გერმანიაში გაიცნო მხატვართა ჯგუფი „ცისფერი მხედარი“. 1910-1916 წლებში კი ჰელკრაუსა და დრეზდენის სახელოსნოებში მუშაობდა სტენოგრაფად. I მსოფლიო ომის შუა წლებში საქართველოში დაბრუნდა და იმავე პროფესიით განაგრძო მუშაობა თბილისის სახელმწიფო თეატრში. 1991 წელს ალექსანდრე ზალცმანი ბოლშევიკებს გაექცა.

არქიტექტორი პაულ შტერნი სანკტ-პეტერბურგიდან, ჰესის ასა-შენებლად ჩამოვიდა თბილისში. გერმანელმა არქიტექტორმა შრეტენმა მავრიტანული სტილის ჰესის ნაგებობისათვის გამოცხადებულ კონკურსში გაიმარჯვა და პაულ შტერნი, როგორც მშენებლობის ხელმძღვანელი, თბილისში წამოიყვანა. შტერნი აქ დარჩა და ამ პერიოდისათვის, აყვავებულ ახალ თბილისში, ააშენა სახლი დავითის ვარსკვლავის ფორმის ფანჯრებით, მისი ებრაული წარმომავლობის რემინისცენცია (დ. შპრინგჰორნი; 43)

გერმანიიდან ჩამოდის არქიტექტორი ლეოპოლდ ბილფელდი (1839-1907წწ). იგი 1890 წლების დასასრულს, გამდიდრებული ლუდის მრეწველს ვეტცელის დაკვეთითი აშენებს სასტუმრო „ვეტცელს“. თბილისის გეოფიზიკური ინსტიტუსათვის აგებს ობსერვატორიის კოშკს, მარჯანიშვილის მოედნის უკან აშენებს ევანგელისტურ ეკლესიას, ქართული ხუროთმოძღვრებისათვის ქაშუეთის ეკლესიას. მას უნდა ეკუთვნოდეს ლიკანის სასახლე ბორჯომში. (ერთი იტალიელი არქიტექტორის გეგმის მიხედვით) (იქვე)

უაღრესად საინტერესოა გერმანელი არქიტექტორების მიერ თბილისში აშენებული საცხოვრებელი სახლები. სწორედ აქ ჩანს ევროპული არქიტექტურული სტილების შერწყმა ადგილობრივ ტრადიციასთან. ისინი ითვალისწინებდნენ თბილისის უძველეს უბნებში ჩამოყალიბებული თბილისური ეზოიანი და აივნაიანი სახლების არქიტექტურულ სახეს. ამდიდრებდნენ ფასადებს ევროპული არქიტექტურული რეპერტუარით და თბილისური ეზოებით, თბილისური აივნებით, ხის გადახურული კიბეებით და სხვა. (გ. ავგუსტი, 2011; 32)

აქ აგრეთვე უნდა აღინიშნოს არქიტექტორი ალექსანდრე შიმკევიჩი (1860-1907), რომელიც დაიბადა პეტერბურგში, პოლონურ-გერმანულ ოჯახში. იგი სწავლობდა ძალიან ცნობილ კარლ მაის გერმანულ გიმნაზიაში. თბილისში მის მიერ აგებული შენობებიდან გამოირჩევა რუსთაველის სახელობის თეატრი, აბრეშუმის მუზეუმი, უმაღლესი სასამართლოს შენობა, თბილისის კონსერვატორთა და დღევანდელი გერმანიის საელჩოს შენობა. იგი იყო ლუთერული აღმსარებ-

ლობის და დაკრძალულია გერმანულ სასაფლაოზე. იქ სადაც ახლა „შერიგებას“ ლუთერული ეკლესიაა. (იქვე)

გერმანული მხატვრების ყველაზე ადრინდელი ხსენება თარიღდება 1784 წლიდან, როდესაც საქართველოში ყოფნისას გერმანელმა პორტრეტისტმა იოზეფ ჰეტინგმა დახატა ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII პორტრეტი. ცოლ-ქმარი პაულ და ელენე ფრანკები. XIX საუკუნის შუა წლებიდან ლატვიიდან ჩამოვიდნენ თბილისში. მხატვარი რიჰარდ ზომერი XIX სანკ-პეტერბურგის მხატვართა საზოგადოების წევრი იყო, როდესაც ერთ-ერთი არქეოლოგიური კომისიის დავალებით 1820-1900 პირველად ჩამოვიდა ამიერკავკასიაში. იგი იყო გატაცებული აღმოსავლური ეგზოტიკით და ერთნოგრაფიული სიუჟეტებით. 1912 წელს დასახლდა თბილისში და დაიწყო მუშაობა ხატვის მასწავლებლად. (ლადო გუდიაშვილი იყო მისი ყველაზე ცნობილი მოწაფე) (გ. ავგუსტი; 34) აგრეთვე ზომერი იყო კავკასიის კანზიმულ ხელმძღვანელთა საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი.

თბილისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის დამაარსებლის გუსტავ როდეს ინიციატივით გერმანელმა მხატვარმა მაქს ტილკემ შემოიარა საქართველოს ყველა კუთხე და შექმნა 83 მნიშვნელოვანი ნამუშევარი, რომლებშიც აღბეჭდილია მრავალნაირი, ერთნოგრაფიულად მნიშვნელოვანი სამოსი. აღსანიშნავია ცნობილი ბატალისტი პ. პორშილდის მოღვაწეობა. გერმანელი კოლონისტების შთამომავალი იყო ოსკარ შმერლინგი, მის შემოქმედებაში არის პორტრეტი, პეიზაჟები. იგი იყო საბავშვო ლიტერატურის შესანიშნავი ილუსტრატორი და გემოჩენილი კარიკატურისტი. მან შექმნა სახასიათო კოლორიტული ტიპაჟების მთელი სერია. დიდი ხნის განმავლობაში იყო ფერწერისა და ქანდაკებების სკოლის დირექტორი და სამხატვრო აკადემიის გახნისთანავე გახდა მისი პროფესორი. ალექსანდრე ზალცმანი იყო თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი. იგი დიდი ხნის განმავლობაში ასწავლიდა ფერწერას სკოლაში. შესანიშნავი მრავალმხრივი თეატრალური მხატვარი იყო ირინა შტენბერგი. თბილისელი გერმანელი იყო ბორის ფოგული, რომელმაც შექმნა

შესანიშნავი პეიზაჟები, ჩანახატები, ძველი თბილისის ნახატები შემდგომში იგი მოღვაწეობდა ევროპაში.

უნდა აღინიშნოს რომ გერმანულ არქიტექტორებს და მხატვრებს, რომლებიც მოღვაწეობდნენ საქართველოში, კერძოდ თბილისში თავიანთი წვლილი მიუძღვით საქართველოში მშენებლობასა თუ მხატვრობაში. ისინი ქართულ კულტურას ამდიდრებდნენ თავიანთი მოღვაწეობით.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. დ. შპრინგჰორნი, გერმანელები საქართველოში, თბ. 2004 წელი.
2. საქართველოში გერმანელების ისტორიის საკითხები, შემადგენელი გარი აუგუსტი, თბ. 2011 წელი.
3. მ. მანია, ევროპელი არქიტექტორები თბილისში, თბ. 2006 წელი.
4. ვ. ბერიძე, თბილისის ხუროთმოძღვრება. 1801-1917 წლები. თბ.1988, ტ-I,
5. გ. მანჯგულაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში. თბ. 1974. წელი

გიორგი იობაშვილი

აკ. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი.
ისტორია-არქეოლოგიის დეპარტამენტის
საქართველოს ისტორიის მიმართულების დოქტორანტი

გერმანელი არქიტექტორები და მხატვრები საქართველოში

რეზიუმე

კავკასიისა და კერძოდ ამიერკავკასიის უძველესი ისტორია და კულტურა, უმშვენიერესი ბუნება და აქ მცხოვრები ადამიანების განსხვავებული ხასიათი, ზნე-ჩვეულებები და ტრადიციები ჯერ კიდევ უძველესი დროიდან იზიდავდა უცხოელ-ისტორიკოსებს, მწერლებს, პოეტებს და მხატვრებს. მათ დაგვიტოვეს მნიშვნელოვანი ნაშრომები საქართველოს შესახებ, მეტად ფასეული ისტორიული ცნებები.

ჩვენ გვინდა რამდენიმე გერმანელი არქიტექტორის და მხატვრის შემოქმედება განვიხილოთ, რომელთაც დიდი წვლილი შეიტანეს საქართველოში არქიტექტურის ისტორიასა და მხატვრობაში, თუმცა ყველა მათგანს ვერ ჩამოვთვლით გარკვეული მიზეზების გამო. ესენია არქიტექტორები: ალბერტ ზალცმანი, პაულ შტერნი, ლეოპოლდ ბილფელდი და ალექსანდრე შიმკევიჩი და სხვა. მხატვრები: ალექსანდრე ზალცმანი, რიჰარდ ზომერი, მაქს ტილკე, ირინა შტენბერგი და სხვა.

GIORGI IOBASHVILI, doctorant of the ATSU

GERMAN ARCHITECTS AND ARTISTS IN GEORGIA

Rezume

The ancient history and culture of the Caucasus and in particular the Transcaucasia, the wonderful nature and the diverse character, traditions and traditions of the people living here have always attracted foreign historians, writers, poets and artists from ancient times. They left us important papers on Georgia, valuable historical notions.

We would like to discuss the creations of several German architects and artists who have contributed greatly to the history of architecture and painting in Georgia, though we cannot list them all for some reason. These include architects Albert Zaltzman, Paul Stern, Leopold Bilfeld and Alexander Shimkevich, among others. Artists: Alexander Salzman, Richard Zomer, Max Tilke, Irina Stenberg, and more.

ნინო კუჭაიძე, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის წევრი

პარაფარმაცევტიკა – ფარმაცევტული ბაზრის პერსპექტიული სფეროები

ფარმაცევტულ სექტორში, უკვე კარგა ხანია არსებობს ტერმინი „პარაფარმაცევტიკა“, რომელშიც იგულისხმება არაწამლისმიერი სააფთიაქო ასორტიმენტი, კერძოდ, სამკურნალო კოსმეტიკა, ეთერზეთები, შამპუნები, კრემები, ლოსიონები, სანიტარიისა და ჰიგიენის საშუალებები, სხვადასხვა ბიოლოგიურად აქტიური დანამატები, ბავშვთა მოვლის საქონელი.

ახალ ათასწლეულში წარმოდგენილია არსებობა კოსმეტიკური საშუალებების გარეშე. განუწყვეტლივ მიმდინარეობს კვლევა ამ სფეროში. თანამედროვე კოსმეტიკა ერთმანეთს უთავსებს პროგრესის რევოლუციურ მიღწევებს, ნატურალური და მცენარეული ნივთიერებების აქტიურ კომპონენტებს.

ამიტომაც, ფარმაცევტული კომპანიები განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობენ პარაფარმაციის მიმართულების განვითარებას. მოსახლეობაში შემოსავლების მატება მოთხოვნას ზრდის თავის მოვლის ძვირ და ხარისხიან საშუალებებზე. შესაბამისად, ეს მიმართულებაც შედარებით აქტიურად ვითარდება და იაფ, ცნობილ მწარმოებლებს სულ უფრო ჩაენაცვლებიან შედარებით ძვირი, ექსკლუზიური, კონკრეტულ პრობლემებზე მიმართული თავის მოვლის საშუალებები. სწორედ ამიტომ, ფარმაცევტული კომპანიები სულ უფრო მეტ ადგილს უთმობენ საკუთარ აფთიაქებში ამ კატეგორიის პროდუქციას. თუმცა, სწორედ ამ პროდუქტების გაყიდვის დიდი ნაწილი ქსელური მარკეტინგის კომპანიებზე მოდის.

მოსახლეობის ცალკეული ფენების გადახდისუნარიანობისა და კულტურის ამაღლება, ერთის მხრივ და აფთიაქების რენტაბელობისა და საბაზრო კონკურენციის სახეობები, მეორეს მხრივ, განაპირობებენ სააფთიაქო ასორტიმენტის გაფართოების აუცილებლობას, სწორედ პარაფარმაცევტული საქონლის ხარჯზე. ამ ჯგუფის საქონელი უკვე

მაღზედ აქტუალურია ფარმაცევტული ბაზრისათვის, ამავე დროს, მისი ნომენკლატურა არანაკლებ მრავალრიცხოვანია სამკურნალო საშუალებებთან შედარებით. მაგალითად, აშშ-ში აფთიაქების საერთო საქონელბრუნვის 55%-ს შეადგენს პარაფარმაცევტული პროდუქციის ხვედრითი წილი და ის წლიდან წლამდე მნიშვნელოვნად იზრდება. პარაფარმაცევტული საქონლის ასორტიმენტი წარმოდგენილია 10-12 ჯგუფად. აქ შედის სამკურნალო კოსმეტიკა, საკვები დანამატები, ბავშვთა და სპორტსმენთა კვების პროდუქტები, სანიტარიისა და პირადი ჰიგიენის საგნები და ა.შ.

ერთ-ერთი კომპანიის შეფასებით, ასევე პროდუქციის წლიური ბრუნვა ამერიკის ბაზარზე 31 მლრდ დოლარს აღემატება. იგივე კომპანიის მონაცემებით, აშშ-ის პარაფარმაცევტულ ბაზარზე წამყვანი ადგილი უკავია სამკურნალო კოსმეტიკურ საშუალებებსა და ბიოლოგიურად აქტიურ დანამატებს, ხოლო ბავშვთა და სპორტსმენთა კვების სეციალიზირებულ პროდუქტებს, სანიტარიისა და პირადი ჰიგიენის საშუალებებს – მეორეხარისხოვანი პოზიციები უკავია.

აღსანიშნავია ის, რომ უპირატესი მოთხოვნებით სარგებლობს მრავალმხრივი გამოყენების საქონელი, მაგალითად, შამპუნი და კონდენციონერი ერთ ფლაკონში, ჰიგიენური პომადა მზისგან დამცავი თვისებებით, კბილის პასტა გამწმენდი და მადეზოდორირებული თვისებებით და ა.შ.

საქართველოში, ისევე როგორც დსთ ქვეყნებში, აფთიაქების ზრდასთან ერთად შეიმჩნევა მათ ასორტიმენტში პარაფარმაცევტულ-საქონლის ხვედრითი წილის ზრდა, რაც სრული რეალიზაციის 10-12%-ს შეადგენს. ამავე დროს, რეალიზებულ არაწამლისმიერ საშუალებებში 50%-მდე კოსმეტიკურ საშუალებებზე მოდის.

დღევანდელი სააფთიაქო ასორტიმენტის შედარებით ძველ ასორტიმენტთან, გამოიკვეთება ორი პრინციპული განსხვავება:

1. მრავალნაირი ურეცეპტოდ გასაცემი პრეპარატები ს ხვედრითი წილის ზრდა.
2. ასორტიმენტის ახალი პარაფარმაცევტული ნაწილის ფორმირება პირველ რიგში, ეს ეხება კოსმეტიკური საშუალებებს.

აღნიშნული ცვლილებები შეესაბამება სულ უფრო დომინირებად კონცეფციას – „ყველაფერი ერთში“, როცა ერთ სავაჭრო სივრცეში მომხმარებელს მიეწოდება საქონლის მაქსიმალური რაოდენობა. ეჭვს არ იწვევს, რომ მომხმარებელთათვის უფრო მოხერხებულია ჯანმრთელობისა და სილამაზის ყველა საშუალება იყიდოს ერთ აფთიაქში, ვიდრე ეძებოს სხვადასხვა მაღაზიებში.

შიეძლება დავასკვნათ, რომ არაწამლისმიერი ასორტიმენტი აფთიაქს აუცილებლად ესაჭიროება. ჯერ ერთი, დაავადებათა პროფილაქტიკის საშუალებებზე მომხმარებელთა დიდი მოთხოვნილებაა და მეორე, ასეთი საქონლის გაყიდვის დროს ფარმაცევტი გამოდის პროფესიონალი კონსულტანტის როლში, რომელიც ჯანმრთელი ცხოვრების წესის დამკვიდრებას უწყობს ხელს.

ასეთი პროდუქცია აფთიაქში მოიზიდავს დამატებით კლიენტებს, ჯანმრთელ ადამიანებს, რომლებიც დარწმუნებულნი არიან, რომ შეიძენენ გარანტირებულად მაღალი ხარისხის საქონელს. ამ რწმენის საფუძველია აფთიაქის მაღალი სტატუსი, ვინაიდან აფთიაქში ყოველთვის იყო სანიტარიისა და ჰიგიენის არასასურველი დონე. ამავდროს, სააფთიაქო დაწესებულების მუშაკებს აქვთ მაღალი საგანმანათლებლო დონე (უმადლესი და საშუალო ფარმაცევტული განათლება), ვიდრე ჩვეულებრივი სავაჭრო ობიექტების გამყიდველებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ვლადიმერ მახარაძე, ფარმაციის ორგანიზაცია, თბ., 2015
2. გაზეთი „ფარმაკონი“, 2019
3. www.vet.ge
4. www.medicalchol-3.edu.ge

ნინო კუჭაიძე, საქართველოს ტურიზმის მეცნიერებათა აკადემიის წევრი
პარაფარმაცევტიკა – ფარმაცევტული ბაზრის
პერსპექტიული სეგმენტი

რეზიუმე

ფარმაცევტული ბაზრის განვითარების ტენდენციები საქართველოში ისეთია, რომ პარაფარმაცევტული საქონლის ნომენკლატურა და ასორტიმენტი ავთიაქებში ყოველდღიურად იზრდება, რაც მათ რენტაბელობასა და კონკურენტუნარიანობას უდაოდ გაზრდის.

НИНО КУЧАИДЗЕ, член Академии наук туризма Грузии

ПАРАФАРМАЦЕВТИКА – ПЕРСПЕКТИВНЫЙ СЕГМЕНТ
ФАРМАЦЕВТИЧЕСКОГО РЫНКА

Резюме

Тенденции развития фармацевтического рынка в Грузии таковы, что номенклатура и ассортимент парафармацевтического товара в аптеках ежедневно растет, что несомненно повышает их рентабельность и конкурентоспособность.

NINO KUTCHAIDZE, Member of the Academy of Tourism Sciences of Georgia

PARAPHARMACEUTICALS - A PROMISING SEGMENT OF THE
PHARMACEUTICAL MARKET

Summary

Trends in the development of the pharmaceutical market in Georgia are such that the nomenclature and assortment of parapharmaceutical products in pharmacies grows daily, which undoubtedly increases their profitability and competitiveness.

პირველადი სამედიცინო დახმარება და დაზღვევა

ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესში, აქტიურ მოძრაობით საქმიანობას შეიძლება მოჰყვეს მოვარჯიშეთა სხეულის ფუნქციური დაზიანება, ამიტომ გაკვეთილის ჩატარებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ტრამვის აცილებას. ამ მიმართებით მასწავლებლის ძირითად ღონისძიებას ეწოდება „დაზღვევა“. დაზღვევის ეფექტიანობა მიიღწევა უპირველეს ყოვლისა სწავლისა და აღზრდის პრინციპების დაცვით: მოსწავლეთა მაღალი შეგნებულობა და აქტიურობა, მეცადინეობათა სისტემატიურობა, სასწავლო მასალის მისაწვდომობა და მისი მტკიცე დაუფლება, ფიზიკური დატვირთვების შესაბამისი დოზირება, მოსწავლეთა კარგი დისციპლინა, მეცადინეობის აუცილებელი გარეგანი პირობების უზრუნველყოფა, ტრამვატიზმის თავიდან აცილების გადამწყვეტი პირობებია. დაზღვევა უნდა მოხდეს ყველა მოძრაობით ვარჯიშზე რომელსაც შეიძლება ტრამვა მოჰყვეს. მეცადინეობის ჯგუფური მეთოდის დროს მასწავლებელი უნდა დადგეს იმ ჯგუფის დაზღვევაზე, რომელიც ასრულებს უფრო რთულ და საშიშ მოძრაობებს. სხვა ჯგუფის დაზღვევაზე გამოყენებული იქნას მომზადებული მოსწავლეები რისთვისაც მათ წინასწარ უნდა ჩაუტარდეს სპეციალური მეცადინეობები დაზღვევის ხერხების ათვისებაში. დაზღვევის ღონისძიებებში შედის აგრეთვე მეცადინეობის პირობებისა და სავარჯიშო იარაღების საიმედოობის გასინჯვა, ვარჯიშის შესრულების დროს მოვარჯიშეთა უსაფრთხო ადგილას განლაგება და ა.შ. ფიზიკური დახმარებისა და საკუთრივ დაზღვევის სხვა ხერხების გამოყენების შემთხვევაში ის ხშირად განუყრელ კავშირშია დახმარებასთან, როგორც სწავლების მეთოდურ ხერხთან. ასეთი დაზღვევა და დახმარება გამოყენებული უნდა იქნას იმ შემთხვევაში როდესაც აშკარაა ტრამვის მიღების საფრთხე. დაზღვევა-დახმარების ბოროტად გამოყენებამ შეიძლება შეაფერხოს ვარჯიშის დამოუკიდებლად შესრულებისათვის საჭირო გულადობის, სიმტკიცის, ნებისყოფისა და

სხვა თვისებების განვითარება. როდესაც სპორტის გაკვეთილზე მასწავლებელი ტრამვატიზმის პროფილაქტიკას საკმაოდ სერიოზულად ეკიდება, ტრამვა თითქმის გამორიცხულია. დაზიანებულთა მკურნალობაში წარმატება ბევრადაა დამოკიდებული საექიმო დახმარებამდე აღმოჩენილ პირველად სამედიცინო დახმარების გაწევასთან. მასწავლებელს მისი სპეციალიზაციისაგან დამოუკიდებლად უნდა შეეძლოს სხვადასხვა დაზიანებებისას პირველადი დახმარების გაწევა.

პირველადი სამედიცინო დახმარება

ფიზიკური აღზრდის გაკვეთილებზე ხდება ისეთი დაზიანებები როგორცაა: კანის გაკაწვრა, ჭრილობები, სახსროვანი აპარატისა და კუნთების დაჭიმულობა, კუნთის გაწყვეტა, ამოვარდნილობა, მოტეხილობა, თავის ტვინის შერყევა, გულის წასვლა, ცხვირიდან სისხლდენა, მზის დაკვრა და ა.შ.

ცხვირიდან სისხლდენა

-) დავსვათ და დავაწყნაროთ.
-) თავი წინ დავუხაროთ.
-) ცერა და საჩვენებელი თითით მოვახდინოთ ზეწოლა ცხვირის ნესტოებზე, ან ნესტოებში მოვათავსოთ ტამპონები. დავადოთ ცივი კომპრესი ან ყინული ცხვირსა და კეფაზე.
-) არ მივცეთ საშუალება სისხლი ყლაპოს.
-) ეცადეთ არ ილაპარაკოს და არ დაახველოს.
-) 10-12 წუთის შემდეგ შევამოწმოთ შეწყდა თუ არა სისხლდენა, და თუ ის გრძელდება მივმართოთ ექიმს.

გულის წასვლა

-) დააწვინეთ დაზარალებული ზურგზე და აუწიეთ ფეხები ზევით. უზრუნველყავით სუფთა ჰაერის მიწოდება.
-) დროულად გამოიძახეთ გადაუდებელი სამედიცინო სამსახური.
-) მას შემდეგ რაც დაზარალებულს დაუბრუნდება ცნობიერება გაამხნევეთ და დაეხმარეთ მას ნელა წამოჯდომაში.

კრუნჩხვა

(არსებობს ეპილეფსიური და სხეულის მაღალი ტემპერატურის ფონზე)

-) თავიდან აიცილეთ თავის დაზიანება.
-) დააწვინეთ გვერდზე.
-) დაიცავით კიდურები დაზიანებისაგან.
-) არ შეზღუდოდ.
-) გაუხსენით ტანსაცმელი.
-) შეინარჩუნეთ უსაფრთხოება, ცნობიერების სრულ დაბრუნებამდე.
-) დროულად გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება.

მზის დაკვრა

-) დააწვინეთ ჰორიზონტალურ მდგომარეობაში.
-) აუწიეთ ფეხები.
-) მიეცით ცივი წყალი დასალევათ.
-) გამოიყენეთ ვენტილატორი ტემპერატურის დასაწვეათ.
-) დაიწყეთ დაზარალებულის გაგრილება.
-) გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება.

მოყინვა

-) ძალიან ფრთხილათ გახადეთ დაზარალებულს ხელთათმანები, მოაცილეთ სამკაულები. გახადეთ ფეხსაცმელი თუ დაზიანებულია ფეხი, გაათბეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი თქვენი ხელებით, არ გაუკეთოთ მასაჟი ან დაზელვა.
-) თუ მოყინულ არეს სწრაფად არ უბრუნდება ნორმალური ფერი მოათავსეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი თბილ წყალში, შემდეგ გაამშრალეთ და დაადეთ არამჭიდრო ნახვევი.
-) ასწიეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი ზემოთ, ეს შეამცირებს შეშუპებასა და ტკივილს.
-) მიმართეთ ექიმს.

მწერების ნაკბენი

-) პინცეტით ამოიღეთ ნექტარი.
-) დაადეთ ცივი კომპრესი რათა შემცირდეს ტკივილი და შეშუპება.
-) მიმართეთ ექიმს.

ტვინის შერყევა

-) მოათავსეთ უგონო მდგომარეობაში მყოფი უსაფრთხო ადგილას შეუმოწმეთ პულსი და სუნთქვა.
-) თუ დაზარალებულს არ უბრუნდება ცნობიერება სამი წუთის განმავლობაში ეჭვი მიიტანეთ უფრო სერიოზულ დაზიანებაზე.
-) თუ დაზარალებულს დაუბრუნდა ცნობიერება სამი წუთის განმავლობაში არ მისცეთ მას თამაშის გაგრძელების საშუალება, ექიმის ნებართვის გარეშე.
-) თუ დაზიანების შემდეგ მას აღენიშნება თავის ტკივილი, საერთო სისუსტე ან თუ ის ცუდად გრძნობს თავს აჩვენეთ ექიმს.

სისხლდენა

-) **კაპილარული** სისხლდენის დროს მიზანშეწონილია ჭრილობის დაბინძურებული ნაწილის წყლით ჩამოხანა.
 -) ჭრილობაზე სუფთა ნაჭრით ან ბინტით ზეწოლა და გადახვევა.
ვენური სისხლდენა - მუქი ფერისაა, შედარებით დიდი ნაკადით მოედინება ვიდრე კაპილარული.
 -) ჭრილობაზე სუფთა ნაჭრით ან ბინტით ზეწოლა და გადახვევა.
 -) დაზიანებული კიდურის ზემოთ აწევა.
 -) ექიმის კონსულტაცია.
არტერიული სისხლდენა - სისხლი ალისფერია და შადრევანივით მოედინება.
 -) მიზანშეწონილია ლახტის დადება ჭრილობის ზემოთ.
 -) ჭრილობაზე დაედოს სტერილური სახვევი.
 -) დაზარალებული სასწრაფოდ უნდა იქნას გადაყვანილი სტაციონარში.
- სისხლდენის შეჩერების შემდეგ ხდება ჭრილობის დამუშავება - ჭრილობა უნდა ჩამოიხანოს წყალბადის ზეჟანგის 3%-იანი ხსნარით, კანი ჭრილობის გარშემო უნდა გასუფთავდეს (სპირტით, წყალბადის ზეჟანგით) დააფინეთ სტერილური საფენი და გადაახვიეთ ბინტით.

ძვალ კუნთოვანი სისტემის ტრამვა

ძვლის მოტეხილობა

-) უზრუნველყავით კიდურების ან სხეულის სხვა ნაწილის უძრავ მდგომარეობაში დამაგრება.
-) გამოიძახეთ ექიმი.

მხრის ამოვარდნილობა

-) არ აამოძრავოთ სხეულის დაზიანებული ნაწილი.
-) არ შეასწოროთ ძვალი.
-) მოახდინეთ დაზიანებული ნაწილის სრული ფიქსაცია.
-) გამოძახეთ სასწრაფო სამედიცინო დახმარება.

რბილი ქსოვილის (კუნთები, მყესები) ტრამვა

-) დააფიქსირეთ სხეულის დაზიანებული ნაწილი დაზარალებული-სათვის მყუდრო მდგომარეობაში.
-) დაადეთ ყინულიანი საფენი.
-) დაადეთ ზომიერათ მჭიდრო ნახვევი, ნახვევის ქვეშ ბამბის ფენა ან რბილი საფენი.
-) აწიეთ ზემოთ და დააფიქსირეთ დაზიანებული ნაწილი.
-) გამოიძახეთ სასწრაფო დახმარება.

ხელოვნური სუნთქვა და გულის მასაჟი

უგონო მდგომარეობაში - სასუნთქი გზების გასახსნელად აუცილებელია დაზარალებულს უკან გადავეწიოთ თავი და გამოვეწიოთ ქვედა ყბა, შეამოწმეთ სუნთქვა 10 წამის განმავლობაში, დააკვირდით გულმკერდის მოძრაობას, მოუსმინეთ და შეიგრძენით სუნთქვა. თუ სუნთქვა არის - გადაიყვანეთ დაზარალებული სტაბილურ გვერდულ მდგომარეობაში. სუნთქვის არ ქონის დროს სასწრაფოდ დაიწყეთ სიცოცხლის გადარჩენა.

-) გადაიყვანეთ მყარ ზედაპირზე.
-) დააწვინეთ ზურგზე.
-) გაათავისუფლეთ მკერდი ტანსაცმლისაგან.
-) სწორად შეარჩიეთ მასაჟი - მკერდის ცენტრი.
-) მასაჟის რიტმი წუთში 100-110.
-) დაწოლის სიღრმე 5-6 სმ.
-) 30 დაწოლის შემდეგ ჩაბერეთ ორჯერ საშუალო სიმძლავრით.
-) ჩაბერვისას ცხვირზე მოუჭირეთ თითები.

გულის მასაჟს და ხელოვნურ სუნთქვას ვაგრძელებთ ექიმის მოსვლამდე ან დაზარალებულის სუნთქვის აღდგენამდე.

დამწვრობა

ნებისმიერი სახის თერმული დამაწვრობისას სასწრაფოდ გააგრი-
ლეთ დამწვრობის ადგილი გამდინარე ცივი წყლით 10 წუთის
განმავლობაში, ტკივილი დაგვიამდებთ და ბუმბუტუკები არ წარ-
მოიქმნება.

უცხო სხეული სასუნთქ გზებში

თუ ვერ ამოახველა

-) წინ გადახარეთ დაზარალებული.
-) ბეჭებს შუა ენერგიულად და წინ მიმართულად 5-ჯერ დაარტყით ხელის გული, თუ შედეგი ვერ მიიღეთ გამოიყენეთ ჰეიმლიკის მეთოდი:
-) შემოხვიეთ ხელები უკნიდან.
-) მარჯვენა ხელისგული მუშტად შეკარით და მკერდისა და მუცლის ღრუს შესაყარზე ამოსდეთ.
-) მარცხენა ხელისგული მუშტს შემოჭხვიეთ და განახორციელეთ 5 ენერგიული ბიძგი ზედა მიმართულებით.

პირველი დახმარება თვალში უცხო სხეულის არსებობისას:

1. ურჩიეთ დაზარალებულს არ დაიზილოს თვალი. დასვით ისე, რომ თვალი კარგად იყოს განათებული. არ ახლოთ ხელი უცხო სხეულს, რომელიც ფიქსირებულია თვალის კაკალში ან მოთავსებულია ფერად გარსზე; 2. გადაწიეთ ქუთუთოები საჩვენებელი და ცერა თითებით, კარგად დაათვალიერეთ დაზიანებული თვალი. თვალის კარგი დათვალიერების მიზნით სთხოვეთ დაზარალებულს ამოძრას თვალი მარჯვნივ, მარცხნივ, ზემოთ და ქვემოთ. თუ უცხო სხეული ფიქსირებულია თვალის კაკალში ან მოთავსებულია ფერად გარსზე, დაფარეთ ორივე თვალი (დაზიანებული და ჯანსაღი) სუფთა საფენით. ამით თქვენ თავიდან აიცილებთ შემდგომ დაზიანებას. უზრუნველ-ყავით დაზარალებულის გადაყვანა საავადმყოფოში; 3. თუ თვალის

დათვალეიერებისას აღმოაჩინეთ უცხო სხეული, რომელიც მოთავსებულია სკლერაზე და არ არის ფიქსირებული თვალის კაკალში, ჩამობანეთ დაზიანებული თვალი სუფთა გამდინარე წყლით; 4. თუ ზემოთ აღნიშნული მანიპულაცია უშედეგოა, ამოიღეთ ის სველი სუფთა საფენით ან ცხვირსახოცის ან სხვა ქსოვილის კუთხით. თუ უცხო სხეული მოთავსებულია ზედა ქუთუთოს ქვეშ, უთხარით დაზარალებულს, მოკიდოს ხელი წამწამებს და წამოწიოს ზედა ქუთუთო ქვემოთ. ზოგჯერ ასევე ეფექტურია თვალის რამდენჯერმე დახუჭვა წყალში. თუ ამ მეთოდების გამოყენებით უცხო სხეულის ამოღება არ ხერხდება, დაფარეთ ორივე თვალი სუფთა საფენით და უზრუნველყავით დაზარალებულის გადაყვანა საავადმყოფოში. ზემოთ მოყვანილი ტრამეებისაგან არაა დაზღვეული ფიზიკური აღზრდის სასწავლო პროცესი, ამისათვის აუცილებელია სისტემატიურად ხდებოდეს მასწავლებელთა გადამზადება, რასაც დღეს ნაკლები ყურადღება ექცევა.

ბმსიპი ჰანელიძე, ქუთაისის № 40 საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი

ბმსიპი ჰანელიძე, ქუთაისის № 40 საჯარო სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელი

პირველადი სამედიცინო დახმარება და დაზღვევა რეზიუმე

წინამდებარე შრომაში საუბარია პირველად სამედიცინო დაზღვევაზე და დაზარალებულთა დახმარებაზე სხვადასხვა ექსტრემალურ პირობებში.

БЕСИК ДЖАНЕЛИДЗЕ, Учитель физического воспитания
школа № 40 г.Кутаиси
ПЕРВИЧНАЯ МЕДИЦИНСКАЯ ПОМОЩЬ И СТРАХОВАНИЕ

Резюме

В представленной работе говорится о первичном медицинском страховании и помощи пострадавшим в различных экстремальных условиях.

BESIK DJANELIDZE, Physical education teacher school number 40 in
Kutaisi

PRIMARY CARE AND INSURANCE

Summary

The presented work speaks of primary health insurance and assistance to victims in various extreme conditions.

ს ა რ ჩ ე ვ ი

თეიმურაზ გიორგაძე – ფინანსური რისკის მათემატიკური ანალიზი	6
დარია ჯუსუპოვა – განათლების სისტემის ახალი საინიციატივო ტექნოლოგიის პროცესების დანერგვის ზოგიერთი საკითხი	15
ნათელა კაკაურიძე – კოოპერატივების როლი აგრარული სექტორის განვითარებაში	20
მარინა კაკაურიძე –აგრარულ სექტორში არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები	34
ნათელა კაკაურიძე – ორგანიზაციული ცვლილებების მართვა თანამედროვე ფირმებში	47
მარინა კაკაურიძე – კომპანიათა შერწყმის და ინტეგრაციის პროცესების თავისებურებები საქართველოში	56
ომარ მინდაძე – ოჯახში ძალადობის ფორმები მისი გამოვლენის აღკვეთისა და დაცვის სამართლებრივი რეგულირების პრობლემები მოქმედ კანონმდებლობაში.....	64
ნატო ჟორჟოლიანი –პირველი მსოფლიო ომი ჟურნალ „კლდის“ შეფასებით	76
ვლადიმერ წვერავა – არტურ ლაისტი და საქართველო	82
გიორგი იობაშვილი –გერმანელი არქიტექტორები და მხატვრები საქართველოში	90
ნინო კუჭაიძე –პარაფარმაცევტიკა – ფარმაცევტული ბაზრის პერსპექტიული სეგმენტი	98
ბესიკი ჯანელიძე –პირველადი სამედიცინო დახმარება და დაზღვევა	102

Содержание

Теймураз Гиоргадзе - Математический анализ финансового риска	6
Дария Джусупова -Некоторые аспекты внедрения средств новых информационных технологий в систему образования	15
Натела Какауридзе -Роль кооперативов в развитии аграрного сектора	20
Марина Какауридзе -Проблемы, существующие в аграрном секторе, и пути их преодоления	34
Натела Какауридзе -Управление организационными переменами в современных фирмах	47
Марина Какауридзе - Особенности процессов слияния и интеграции компаний в Грузии	56
Омар Миндадзе -Формы насилия в семе, проблемы правового регулирования по его пресечению и защите в действующем законодательстве ..	64
Нато Жоржوليани - Оценка первой мировой войны журналом „Клде"	76
Владимер Цверавა -Артур Лаист и Грузия	82
Гиорги Иобашвили -Немецкие архитекторы и художники в Грузии ...	90
Нино Кучаидзе -Парафармацевтика – перспективный сегмент фармацевтического рынка	98
Бесики Джанелидзе -Первичная медицинская помощь и страхование	102

Contents

Teimuraz Giorgadze -Mathematical analysis of financial risk	6
Daria Djusupova -Some aspects of introducing the means of new information technologies in the education system	15
Natela Kakauridze -The role of cooperatives in the development of the agricultural sector	20
Marina Kakauridze -Problems existing in the agricultural sector and ways to.....	34
Natela Kakauridze -Organizational Change Management in Modern Firms.....	47
Marina Kakauridze -Features of the processes of merger and integration of companies in Georgia	56
Omar Mindadze -Forms of domestic violence, problems of legal regulation of prevention and protection in legislation	64
Nato Zhorzholiani -The First World War is estimated by magazine "The Rock"	76
Vladimer Tserava -Arthur Laist and Georgia	82
Giorgi Iobashvili -German architects and artists in Georgia	90
Nino Kutchaidze -Parapharmaceuticals - a promising segment of the pharmaceutical market	98
Besik Djanelidze -Primary are and insurance	102

ჟურნალი გამოდის წელიწადში ოთხჯერ
Журнал выходит четыре раза в год
Journal out four times a year
მისამართი: როძევიჩის ქ. № 2, ქუთაისი, 4600,
საქართველო; ტ: 551 60 85 60; 571 45 11 45
Адр: ул. Родзевичава № 2, Кутаиси, 4600,
Грузия; Т: 551 60 85 60; 571 45 11 45
Adress: st. Rodzevic № 2, Kutaisi 4600, Georgia; ‘
Т: 551 60 85 60; 571 45 11 45

E-mail akadtour@gmail.com www.acaduni.edu.ge



დაკაბადონდა და დაიბეჭდა
შპს "შირანის" მიერ
ქუთაისი, ცისფერყანწელთა ქ. №6
ტელ: 0431 24 68 40